ალმანახი

3 2024

აჭარის მწერალთა სახლი

ISSN 0134-3459

ჭოროხი

გამოცემის 66-ე წელი | მაისი-ივნისი | №3 | 2024 წელი

სალიტერატურო-სამხატვრო და საზოგადოებრივი ჟურნალი

მთავარი რედაქტორი

სანდრო ბერიძე

სარედაქციო კოლეგია

როინ აბუსელიძე
გენრი დოლიძე
დავით თედორაძე
ჯემალ სურმანიძე
ბელა ქებურია
თინა შიოშვილი
ცისანა ანთაძე
იაშა თანდილავა
ლალი კონცელიძე
გურამ ფუტკარაძე
ვახტანგ ღლონტი
მალხაზ ჩოხარაძე

ტექნიკური რედაქტორი და
კომპიუტერული უზრუნველყოფა

მალხაზ ფაღავა

კორექტორი

მაია ჯაფარიძე

სტილისტი

გურანდა ნიჟარაძე

დაარსებულია 1958 წელს
გამოდის ორ თვეში ერთხელ

ISSN 0134-3459

© „ჭოროხი“, 2024

რედაქციის მისამართი:
6010, ბათუმი, მელიქიშვილის ქ. №21
ტელ.: 599 91-84-80. E-mail: chorokhi.mag@gmail.com

გამომცემელი
ა(ა)იპ აჭარის მწერალთა სახლი

ჟურნალი დაიბეჭდა
შპს „ხომლი ენ“-ის სტამბაში.
ქუთაისი, ჭავჭავაძის ქ. 33

ავტორთა საყურადღებოდ:
რედაქციაში ელექტრონული სახით შემოსული ნაწარმოებები აწყობილი უნდა იყოს
შრიფტით Sylfaen, 12 pt. (კოდირება: უნიკოდი (UTF-8);
რედაქციაში შემოსული მასალა ავტორს არ უბრუნდება.

შინაარსი

ᲮᲝᲕᲜᲘᲡ, ᲮᲠᲝᲜᲘᲡ

დავით თედორაძე – ლექსები 3
ნიაზ ზოსიძე – მოთხრობები 30
რეზო თეგბიძე – ლექსები 44
გიორგი ტულუში – ლექსები 50
საბა ქვათაძე – ნოველები 56
შორენა დოლიძე – ლექსები 69
სანდრო ბერიძე – ნიამორის კოპლებიანი დღიური (გაგრძელება) 77
პოეტ პოეტიშვილი – ლექსები 86
მერაბ კილაძე – მოთხრობები 93
მონიკა ტუნაძე – ლექსები 98
სალომე აბესლამიძე – მოთხრობები 102

ᲮᲠᲘᲢᲘᲙᲘᲡ, ᲡᲣᲑᲚᲘᲪᲘᲡᲢᲘᲙᲘᲡ

ჟუჟუნა შაინიძე – ქრონოტოპი ნიაზ ზოსიძის კარნავალურ სამყაროში 106
ნანა ანთაძე – „ბოროტიმცა რად შეექმნა კეთილისა შემოქმედსა?“ 109
„მდოგვის მარცვლისოდენა რწმენა ანუ ფიქრები ნახევარწიწილაზე“ 111
„მუჭანახევარას ტრაგედია ანუ მიზანი მაცდურია ბატონებო“ 113
გუგა მგელაძე – „იუდას გოლგოთა“ 115
„გრილი სიჩუმის ექო“ 118

ᲬᲘᲠᲘᲚᲔᲑᲘ

სოსო ტულუში – არ შეიძლება მოკვდეს ლამაზი არსი ჩვენი კაცობისა 121
ალექსანდრე ჯიბლაძე – შეუცნობელის შეცნობის სურვილი თუ
უფლის ნების გასხივოსნება?! 126



ᲓᲐᲕᲘᲗ ᲗᲔᲓᲝᲠᲐᲫᲔ

გამოჩენილ ქართველ პოეტსა და საზოგადო მოღვაწეს, საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის აჭარის ორგანიზაციის თავმჯდომარეს, დავით აღმაშენებლის, ილია ჭავჭავაძის, გიორგი ლეონიძის, მემედ აბაშიძის, ლადო ასათიანის, ჟურნალ „ოლეს“, „საგურამოს“ ლიტერატურული პრემიების ლაურეატს, პოეზიის რაინდს, ღირსების ორდენის კავალერს, საპატიო ბათუმელს, ბატონ ᲓᲐᲕᲘᲗ ᲗᲔᲓᲝᲠᲐᲫᲔᲡ დაბადებიდან 75 წელი შეუსრულდა.

ვულოცავთ ამ ღირსშესანიშნავ თარიღს და ვუსურვებთ შემდგომ შემოქმედებით წარმატებებს.

ᲐᲭᲐᲠᲘᲡ ᲛᲬᲔᲠᲐᲚᲗᲐ ᲡᲐᲮᲚᲘ
ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲬᲔᲠᲐᲚᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ
ᲐᲭᲐᲠᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐ
ᲟᲣᲠᲜᲐᲚ „ᲭᲝᲠᲝᲮᲘᲡ“ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ

ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ

გამოკითხვა დასრულდა,
შეკითხვები კმარა,
მეშინია სიბერის,
სიკვდილის – არა.

ვერ შევძელი რაც მსურდა,
ვუბოდიშებ აჭარას,
სამსჯავროზე წარვსდგები,
იქ, უფალთან, აქ არა.

მიმაჩნია აბსურდად,
არც არასდროს მნდომია,
ქართველს საქართველოში
ჰქონდეს ავტონომია.

ამას ვამბობ გულგახსნით,
ჩვენს ნაწამებ მხარეში,
ღალატია, უზნეო
პარტიების თარეში.

ყველა სიტყვა, ბგერაც კი
ლოცვით ღმერთთან ასული,
უნდა იყოს სამშობლოს –
საქართველოს მსახური.

მელაპარაკე ქართულად

არ არსებულა,
არ თქმულა,
ზღვა ამოევსოს მდინარეს,
მელაპარაკე ქართულად, –
გუმბათი ეტყვის მინარეთს.

მელაპარაკე ქართულად,
წყალში მდგომს წყალი მწყურია,
ვერ ვეგუები ამ სურათს,
ენა სამშობლოს გულია.

ამ ენის სათავეებთან
უფლის სურვილი ჩათქმულა...
ქედს ნუ მოვიდრეკთ დევებთან,
მელაპარაკე ქართულად!

აღმაშენებელი

უკვდავებისთვის ეყოფა
ცხრა ერს დავითის მეფობა!

მეფე
აფხაზთა,
ქართველთა,
კახთა,
სომეხთა,
რანთა...
სხვას,
სხვას ვის ჰყავდა
თუნდ მაშინ,
თუნდ სხვა დროს,
ქართველთ გარდა!

დავითმა ხმალი იშიშვლა,
მტერი გაფუჭდა შიშისგან!

გადაირბინა
ტაოსკარი
თურქის ლაშქარმა,
ვით ტურის ჯოგმა,
ძუ ავაზის
ღრენით დამფრთხალმა.
უკუქცეულმა
სპარსმაც შარა გაავერანა,
და გაიშალა,
აღორძინდა ქართველთ ქვეყანა!
აგო ტაძრები,
ხანაგები,
გზები,
ხიდები...
კაი დრო იყო,
საქართველოს სცნობდნენ დიდებით.

უკვდავებისთვის ეყოფა
ცხრა ერს დავითის მეფობა!

საქართველოს გადამრჩენი

იქით მცხეთა მელოდება,
მელოდება გორი აქეთ,
ბიჭებს მერე დავურეკავ,
მერე ავაფორიაქებ.

გავექცევი ლომებს ფხიზელს,
რესტორნების აცილებით,
ქუთაისში ვნახავ მიზეზს
დათრობის და წაძინების.

ელგუჯასთან* სხვა ხიბლი აქვს,
სხვა მადლი და სხვა მარილი
ნაკურთხ ციცქა-ცოლიკაურს,
მკურნალს უფლის წამალივით.

ვიცი, ერთ დროს ქუთაისი
საქართველოს ინახავდა,
ხსოვნა გვმართებს გელათში და
ბაგრატში მწოლ წინაპართა.

* ელგუჯა თავბერიძესთან, ბრწყინვალე მწერალთან და საზოგადო მოღვაწესთან.

შევეგუეთ სარფში წერტილს...
ენგურს გაღმა დასმულ მძიმეს...
გვაპატიებს, განა, ღმერთი,
შუქს რომ ვაქრობთ მოციმციმეს.

ჩვენი ნებით – ბედკრულები,
ვუვარდებით ფაშვში მოლას,
ქუთაისო, მეგულები
ამ ზვირთებში მაშველ რგოლად.

ვენაცვალე შენს ტკბილ ქართულს,
სტუმრის გაოცების ჯადოს,
საქართველოს გადამრჩენი
ღმერთმა ქნას, აქ დაიბადოს!

ტბეთის ტაძარს

მინდა, შენს ქვებს ვეფერო,
ვაზის ჯვარის სადარო,
სულის მაცხოვნებელო,
ტბეთის დიდო ტაძარო.

ღვთაებრივი ფარდაგით
მრევლს ყოველთვის ჰფარავდი,
ჰქონდათ შენი იმედი
ერგეს,
კირნათს,
მარადიდს...

უფლის კვართით დაწინდულ
საქართველოს შვენოდი,
წუხდი,
ჟამით დაბინდულს
გარბევდნენ,
ვერ გშველოდი.

მითხარ, ვის მოვეფერო,
მითხარ, ვის გავუჯავრდე,
აღსდგე, ვთქვათ, გურიიდან,
ზარზმა-არტანუჯამდე.

საბა ეპისკოპოსის
ვხედავ დიდ ეპარქიას

სიზმარში და მივტირი,
რაც დღემდე დამკარგვია.

ახლა ასე, შორიდან,
შენს ხატს უნდა ვეფერო,
სულის მაცხოვნებელო,
სალოცავო ბებერო.

სალოცავო მზეგრძელო,
ვაზის ჯვარის სადარო,
სათნოების მთესველო,
ტბეთის დიდო ტაძარო.

რა ხელმა ქნა...

ქარიშხლებს გადარჩენილი
იშხანი შემხვდა მდუმარი,
მომრავლებია გულთბილი
გურჯისტანიდან სტუმარი.

მოსაოხებლად წარსულის,
ღვთისგან ჯვარგადასახული,
სულის შემძვრელი ტკივილით
მიცქერს ბანა და ხახული.

ვგრძნობ,
რა ცეცხლი უკიდია
ამ ტაძრების გამო უფალს,
რა ხელმა ქნა?!
ამის მნახველს,
ქვასაც ცრემლი წამოუვა.

ქვაც იტირებს,
ამდენი ხნის უმირონო,
უკურთხები,
ჩაქცეული გუმბათები,
ჩალეწილი ჩუქურთმები.

სადაცაა შეღამდება,
მთვარე სულში ნაღველს გარევს,
ნეტა, თვალით არ მენახა,
არ მეყლაპა ცრემლი მწარე...

დავითმა წარვლო ჯოროხი

> დავითმა ხუფთით წარვლო
> ჭოროხი და უგრძნეულოდ
> დაეცა თურქთა.
>
> *„ქართლის ცხოვრება“*

როცა სული მთხოვს
ტყეს და მდინარეს,
როცა ქალაქში ვერ ვძლებ,
მოვინახულებ პირმომცინარეს –
ჩემს უძვირფასეს ერგეს.

დავითმა წარვლო ჭოროხი,
თურქს დაეცა და
თბილისს
მიბრუნდა გამარჯვებული,
როგორც ვარსკვლავი დილის.

აქ, ჩემს სოფელში,
ღმერთის ტოლს –
მეფე-ბრძენს აუვლია,
ჭოროხი რიდით დამშრალა,
სხვა წყლებსაც დაუკლია,
ტყეს მოდებული ხანძარი
შებერვით ჩაუქრია,

სოფლის ამბავი უკითხავს,
ტაძარი აუგია,
ყმებთან წირვაზე დამდგარა,
სანთელი აუნთია.

სანთლის შუქი

ვაზი სულში გადავმალე,
ჯვარი – ჩუქურთმებში,
ვერ ჩამიქრეს წმინდა ხატთან
სანთლის შუქი მთებში.

ვერ ჩამიქრეს –
კლდე გამიხრავს ჯავრისაგან კბილით,

იავნანა მშველოდა და
დედის კალთის ჩრდილი.

შევინახე ხანძთის განძი,
ტაოს დარდი მწველი,
მეწყერივით მოვარდნილი
მიჩეხია მტერი.

კლარჯეთს ცრემლი არ გაუშრა,
ბევრჯერ მომატირა –
აღსრულდესო დედის ნატვრა, –
შესაწირავს სწირავს.

ვეფერები აჭარისწყლის
ხეობას და სივრცეს,
აქ არტანუჯს გავიხსენებ,
სულს იმერხევს მივცემ.

ვაზი სულში გადავმალე,
ჯვარი – ჩუქურთმებში,
ვერ ჩამიქრეს წმინდა ხატთან
სანთლის შუქი მთებში.

ახლა ერს უნდა ილია

შალიკო-ვალიკო წიკლაურს
ქ. ჰანოვერი, გერმანია

ისეთი ცაა ჰანოვარს,
გგონია, წვიმა წამოვა...

ვთამადობ, შალვა წიკლაურს
თვალებში ცეცხლი უნთია,
სუფრასთან ემიგრანტობის
მაძიებელთა გუნდია.

ვერიკო მღერის, – ამ გოგოს
ო, რა სიმღერა სცოდნია,
შემთვრალი მამაკაცები
ცრემლის ღვრით ერთურთს ჰკოცნიან.

ისეთი ცაა ჰანოვარს,
გგონია, წვიმა წამოვა...

– ზამთარში?! უკაცრავად ვარ,
ზაფხულში მზე თუ ამოვა, –
იტყვის შალიკო-ვალიკო
და საქართველოს დალოცავს.

ეჰ, ბედის ბორბალს რა ვუყოთ,
სად მიაბრძანებს სადაურს,
აქ გულს ერთმანეთს გავუყოფთ,
შინ ვეცილებით ხატს და პურს...

ისეთი ცაა ჰანოვარს,
გგონია, წვიმა წამოვა.

თბილისში მზეა, ამინდი,
როგორც ამბობენ, თბილია,
...ამინდს გაუწყრეს გამჩენი,
ახლა ერს უნდა ილია.

ბორკილად მადევს ავტონომია

სამასი წელი მკლავდნენ მორკინალს –
სულს მიმღვრევდნენ და ახლა მოვკივი!
ბორკილად მადევს ავტონომია,
დედათბილისო, ამხსენ ბორკილი!

სამასი წელი მკლავდნენ მორკინალს,
სულს მიმღვრევდნენ და ახლა მოვკივი!

მეც უნდა მეცხოს მცხეთის მირონი,
მტერმა ვერ შეძლოს ჩვენი გარჩევა,
მწარე წარსული, სავსე გმირობით,
გიხმობდა დედას გადასარჩენად.

მეც უნდა მეცხოს მცხეთის მირონი,
მტერმა ვერ შეძლოს ჩვენი გარჩევა.

თუ შვილს ეძებდი მტერთან მორკინალს –
მტერი ვძლიე და მწარედ მოვკივი,
ბორკილად მადევს ავტონომია,
დედაშვილობას, ამხსენ ბორკილი!

სხალთის ტაძართან

ბალღო!
მოეფერე ამ ტაძრის ჩუქურთმებს!
სანთელი დაუნთე ქვითხუროს!
მტერს რომ უნდა და რომ ჰგონია,
წარსულს წაუღია ის ხულო.
მე ვიცი, რაც მჭირს და მაცრემლებს
და შენთვის რა ტვირთსაც ვკისრულობ,
ტბელის გენია რომ ანათებდა,
შევხარი,
შევნატრი იმ ხულოს.
დაღლილს და
დაღარულს
წიოკობით,
დღეს მინდა, სურვილი მისრულონ,
მცხეთას რომ უხარია,
თბილისს რომ უხარია,
იქნები ყოველთვის ის ხულო.

ხვალ უსათუოდ საქართველო გალამაზდება

ხვალ უსათუოდ
საქართველო გალამაზდება
ჩემი თეათი,
შორენათი,
ჩემი ირაკლით,
და აღსრულდება ყოველივე, რასაც ვინატრი.

ისევ თეათი,
შორენათი,
ისევ ირაკლით –
იგრძნობს მამული მოჭარბებულ გრძნობას სიახლის.

იამაყებენ ისტორიით,
სიბრძნით, წინაპრით,
ჩემი თეონა,
შორენა და
ჩემი ირაკლი.

უნდა იცოდნენ მამულისთვის
მსხვერპლის გაღება,

ამ კუდრაჭებმა,
ამ ცელქებმა,
მხნე და ლაღებმა.

უნდა იცოდნენ – მივითვლიდით
რასაც სულ ადრე,
ტაო-კლარჯეთზე,
არტანუჯზე
უნდა ზრუნავდნენ.

უნდა სტკიოდეთ ყველა ციხის ლოდი ბებერი,
იცხოვრონ,
როგორც საუკუნეს
ახალს შეჰფერის.

არ დაივიწყონ უმთავრესი სისხლი სიმართლის,
ჩემმა შორენამ,
ჩემმა თეამ,
ჩემმა ირაკლიმ!

სველი ზღარბები

მადონას

გამთენიისას ამიტირა წვიმამ პალმები,
დალახვროს ღმერთმა,
არ მინდოდა წვიმა სრულებით...
მიბაჯბაჯებენ ბინებისკენ სველი ზღარბები –
ძილგატეხილი,
უწყინარი ღამის მდგმურები.

მე საით,
ვისკენ?!
რომელ ქუჩას უნდა დავადგე,
ვის დავუტოვო სანაპირო ბაღის სიმშვიდე...
არ გამოვიდა,
ჩემებურად ვერ ვითამადე,
ქეიფი ჩაქრა,
ვიდრე გულებს გადამიშლიდნენ.

ელვა ანათებს გაღმა სერებს,
ექვსი დაიწყო,

სძინავს ქალაქს და ჩაძირულა ნისლში ზღვისპირი,
მოვალ და გეტყვი –
ისევ დავთვერ,
ვითომ რა იყო,
დავთვერ და ყრმობას,
ჩვენს სიყვარულს ისევ მივტირი...

არ გამოვიდა კაი საქმე ღვინის გარეშე!
ქართული ღვინო –
მის დამწურავს ვენაცვალები,
ცხრამეტი კაცის სიყვარული მოვითარეშე,
ავები არა, –
გულკეთილი მიყვარს მთვრალები...

რაღა ამაღამ ამიტირა წვიმამ პალმები,
დალახვროს ღმერთმა,
არ მინდოდა წვიმა სრულებით,
მოვდივარ შენთან,
საყვარელო,
სველი ზღარბივით, –
ამავსე ცრემლით,
მოფერებით,
საყვედურებით.

ორას დოლარად

ოცნებით რძისფერ ღრუბლებში ვწევართ,
ხომ კარგად ვიცით, ვინც ვართ და რაც ვართ,
ორას დოლარად იყიდი მწერალს,
ორას დოლარად იყიდი მხატვარს.

დაემსგავსება გამოწვრთნილ მწევარს
კაცი, რომელიც აივსებს სტომაქს,
ორას დოლარად იყიდი მკვლევარს,
მეცნიერს – ძველის თუ ახლის ქომაგს.

ჭირს არსებობა, ყოფაა მძიმე
(ამ დღეში ჩამგდებს მიეცეს დარდი),
როცა დაკარგავს ყოველგვარ იმედს,
ორას დოლარად იყიდი არტისტს.

ორას დოლარად გაიჩენ ბორდელს
მზემოკიდებულ ბანოვანების,
ორას დოლარად მიიღებ ორდენს,
მასმედიაში გახმოვანებით.

შენ ხარ მგოსანი

შენ ხარ მგოსანი და უკეთურებს
არ აძლევ ნებას, სული გათელონ,
გინდა, ნუგეში სცე უბედურებს,
გინდა, უშველო შენს საქართველოს.

შენ გავიწყდება, რომ ხარ უმწეო,
როცა მგლებივით ძრწიან მზაკვრები,
შენ შენთვის ცოცხლობ სადღაც, უმზეოდ,
სულს ბორკილივით ადევს საზღვრები.

გტკივა, ტკივილმა ლამის შეგშალა,
შენ გიხუჭავენ თვალებს გახელილს,
არ მოდრკე, ბიჭო, ერს და ქვეყანას
მაინც შერჩება შენი სახელი.

რა ვუყოთ, თუკი დღეს ხარ უმწეო,
დამიზნებული შუბლში ლულებით,
სხვისთვის მზეს ნატრობ, თავად უმზეო,
მოძულე ლიქნის და ორგულების.

* * *

პეპელა უფრო დიდხანს ძლებს,
ვიდრე ბათუმში თოვლი,
და მაინც,
მაინც
მიყვარს მზე –
უპირველესად ყოვლის.

მომწონს ქარების წივილი,
წვიმაც,
სეტყვაც და
ბარდნაც...
და მაინც, დიდი ტკივილით
დამამხო მზეზე დარდმა.

მზეო,
ამოდი,
გაბრწყინდი,
გამათბე,
გამალაღე!..
ბაღში ვდგავარ და
დარდს ვყიდი,
მყიდველი დამანახე.

ვინც საქართველოს უორგულებს...

ვინც საქართველოს უორგულებს,
ცაც გაუშავდეს, –
წყალიცა!

ვინც საქართველოს უორგულებს,
ცოლიც გაუბახდეს, –
ქალიცა!

ვინც საქართველოს უორგულებს,
სულიც დაუბრმავდეს, –
თვალიცა!

ვინც საქართველოს უორგულებს,
ხორციც დაენაცროს, –
ძვალიცა!

მადლი არ ეღირსოს,
უმადურმა
ყვავი და ყორანი კვებოს,
დედა გველს შეაჭამოს,
მამის სისხლით
თმა-წვერი შეიღებოს!

ჩაძაღლდეს მისი ნაშიერიც
უწყლოდ, უდაბნოს ხანძრითა,
გვარიც წაბილწული,
ჯიშიც წაბილწული,
იხსენიებოდეს ღვარძლითა!

ვინც საქართველოს უორგულებს!..

* * *

მოსაწყენი გახდა ბონი,
დამავიწყდა ვენაც მალე,
მენატრები უკვე, მგონი,
საქართველოვ, გენაცვალე!
საქართველოვ, გენაცვალე!

შენს წალკოტში ტანჯვა მიჯობს
ამ ევროპულ რია-რიას,
თუმცა ხშირად დედინაცვლობ,
მაინც,
მაინც დედა გქვია.

დედა გქვია!

პასუხი დათუნას

შვილიშვილს

ბაბუ, როგორ მიყვარხარ –
რანაირად მოვყვე,
ბაბუ, შენი გულისთვის
დევებს თავებს მოვკვეთ.

გავაჩერებ მდინარეს,
გავანათებ ქალაქებს,
ბაბუ, როგორ მიყვარხარ –
რისთვის მალაპარაკებ.

ბაბუ, თვალის ჩინი ხარ,
ბაბუ, ჩემი ბედი ხარ,
სიყვარულზე ტკბილი ხარ და
სიყვარულზე მეტი ხარ.

უკვდავების წყარო ხარ,
ციდან ჩამონადენი,
ლოცვანივით წმინდა ხარ და
ლოცვასავით ნათელი,

ისე შვენი სამშობლოს,
როგორც ტაძარს – სანთელი.

ბაბუ, თვალის ჩინი ხარ და
ბაბუ, გულის ჩინი ხარ!

შემოანათებ მზის თვალივით

შემოანათებ მზის თვალივით,
მეც სიხარულით გავიწუწები...
შენს სილამაზეს არ აკლია ჯადო-მარილი,
გაიცინებ და ყვავილობენ ბაგე-ტუჩები.

არ დამანახოს შენს თვალებზე უფალმა ცრემლი,
თვალები შენი მოცქრიალე ისეც ტბებია,
თვალები ჩემი გულისწადილს ვერ უმხელს ვერვის,
თვალები ჩემი შენს სიხარულს ესალმებიან.

ქალი სასწაულია

აუ, როგორ მომინდა,
ლამის გავაფრინო,
ქალი აქაფებული,
დუდუკი და ღვინო.

სიჭაბუკის ანცობა
უღიტინებს შორიდან
დამწიფებულ კაცობას...
დროც, დროც ცუდი მოვიდა.

რა მაქვს სასინანულო,
რა მაქვს საწუწუნო,
მზად ვარ სასიყვარულოდ,
მზად ვარ საღიღინოდ.

აუ, როგორ მომინდა,
გაშლა, განავარდება,
ქალის უბის ბროლიდან
კოცნა რომ აალდება.

ვეძებ, ვუხმობ, მწყურია,
როგორც გვალვას წყალი,
ქალი სასწაულია,
ცხოვრებაა ქალი.

* * *

სამშობლოს გამო მქონდა ჭრილობა,
წყენაც, ტკივილიც ვმალე,
ახლა შენ აკლდი ჩემს უძილობას,
დარდით დაბინდულ თვალებს.

რომც მოგეფერო, რომც გაღიარო
ჩემი სიმღერის ლიბოდ,
ისევ და ისევ გულნაღვლიანმა
გული გულდაგულ ვქლიბო,

ვერ მოგიპოვებ, შენი წადილი
სხვა მზეს, სხვა სივრცეს ერთვის...
რა ლამაზია მაინც ამ დილით...
ვფიქრობ, სულ ვფიქრობ ჩემთვის.

უფლის ხმა როცა გესმის

სუნთქვაში,
გულისფეთქვაში
ჩაისახება ლექსი,
როდესაც ღმერთთან საუბრობ,
უფლის ხმა როცა გესმის.

აბჯარასხმული წუხილი
ცრემლად გაყვება სტრიქონს,
საქართველოში ოდითგან
ლექსი მებრძოლი იყო.

ხან სიხარული მოსავდა,
მიეცემოდა ტრფობას,
მოძღვარი გახლდათ, იწყებდა
მოზარდის სულის წრთობას.

წერდა მეფეც და ბოგანოც,
ლექსი დუშმანმაც გვიქო,

ერის სულს შემოეხვია,
როგორც ვენახი ჭიგოს.

სუნთქვაში,
გულის ფეთქვაში
ჩაისახება ლექსი,
როდესაც ღმერთთან საუბრობ,
უფლის ხმა როცა გესმის.

სახელი არ დამიკარგავს

მარტია,
საჭიკარტია
ნისლმა ჩაიკრა, ჩაბელა,
აღარ გვაღირსა წარმტაცმა
მზემ მწველი თვალის გახელა.

მოწყენილია სოფელი,
არ ახალისებს არც ღვინო,
მე, ამ წალკოტის მფლობელი,
შვილს ვმოძღვრავ, არ შემარცხვინოს.

ამინდს ვერაფერს გაუგებ,
სტუმარიც სანატრელია,
სანამ ტურები წაიღებს,
ქათმები დასაკვლელია.

გულში ჩაღვრილი ნაღველი
სასმელმა ამომიქარგა,
მაქვს და მექნება სახელი,
სახელი არ დამიკარგავს.

* * *

ტბასთან ჩრდილია...
ჩრდილში სუფრა...
გედი მიცურავს...
ცრემლი გაგვიშრა, მშრალ ხახაში
ღვინოს ვიწურავთ.

გაგიჟდა რუსი,
ცოფიანი თვალებით გვიმზერს,

გადასარჩენი გზები გავა
ხვალ ხანჯლის პირზე.

კრემლი ავსილა
კაცთმოძულე ცინიკოსებით,
სარკოზი საქმის ჩიჩმვაშია,
ჩვენ ვიხოცებით.

რუსის უკანალს
ევროპისკენ ვხედავთ მიშვერილს,
ნახეთ, ნაცებო,
ხომ გინდოდათ რუსი შიშველი.

ბაღლინჯო კრავის მანტიით

გამოძვრება
სოროსიდან ბაღლინჯო,
დაგგესლავს და
გადიქცევა კრავად,
უნამუსოს
მაწანწალა ძაღლი სჯობს –
დაგყნოსავს და
თავისი გზით წავა.

მომავლისთვის, წინაპარისთვის

ზურაბ ხაბაძეს

რას ველოდებით,
რას მოგვიტანს ყურება სულ წინ...
მშიერი მტაცებელია,
მაძღარი – ძუნწი.

მე კალამს ვლოკავ,
შენ გაგჩრია კბილებში ფუნჯი,
მაინც ვამაყობთ ჩვენი მოდგმით,
ჩვენი საუნჯით.

რაკი სამშობლო დედინაცვლობს,
გახდა ყრუ-მუნჯი,
უნდა ვიხაროთ ყვავილებით,
ზეცის სილურჯით...

ვწეროთ და ვხატოთ
მომავლისთვის, წინაპარისთვის,
ხვალ რომ გაჩნდება, იმ ბიჭისთვის
და იმ ქალისთვის...

ვწეროთ და ვხატოთ, მეგობარო,
მხოლოდ ხვალისთვის.

ამ ზამთარს ჩემთან იქნება დედა

ამ ზამთარს ჩემთან იქნება დედა
მე კი,
როგორც მზეს,
თვალნათლივ ვხედავ –
ჩემთან ივლიან ჩემი და-ძმები.

ამ ზამთარს ჩემთან იქნება დედა
და ეს ზამთარი იქნება თბილი,
ვივაზირებთ და ვიმუსაიფებთ
საღამოობით დედა და შვილი.

ამ ზამთარს ჩემთან იქნება დედა,
ჩემი და-ძმების შუქით გამთბარი,
მე კი,
როგორც მზეს,
თვალნათლივ ვხედავ –
მიახლოვდება ტკბილი ზამთარი.

მამაჩემი

მენატრება მამაჩემი,
გზაც მოკლდება მამისაკენ,
როგორც გულს და
როგორც თვალებს,
ვუფრთხილდები მამის სახელს.

მამა გვზრდიდა რაინდებად
საბას იგავ-არაკებით,
არასოდეს უცხოვრია
დალხენით და გალაღებით.

სოფელს მისი ჰქონდა რიდი,
სიტყვას მისას ჰქონდა წონა,
სძულდა მშიშარა და ფლიდი,
სძულდა მლიქვნელი და მონა.

მამამ შიში არ იცოდა,
ომმა გამოსტაცა შიში,
სტალინგრადთან სტალინივით
ამაყობდა მამა ჯიშით.

კურსკთან სიკვდილს ეთამაშა,
კენიგსბერგში ითარეშა,
გამარჯვება დაიმშვენა,
დაფლეთილი ეპყრა დროშა.

მამა იყო ახოვანი,
გუმბათივით აზიდული,
ბაყბაყდევის ძალა ჰქონდა
ზნეკეთილი ბავშვის გულით.

სიტყვის ხიბლით

ელგუჯა თავბერიძეს

რა წიგნებს წერ,
რა მირონით ინათლები,
სად პოულობ ოქროს უძრახ ზოდებს,
სიტყვის ხიბლით შემიმოსე წინაპრები,
უფალივით განიკითხავ ცოდვებს.

რა წიგნებს სწერ,
დასახურად მენანება...
ვერ ვაღირსე კარადების თარო,
უბედური უბიხები მელანდება,
მელანდება ცრემლის მლაშე წყარო.

რა წიგნებს სწერ...
რა მირონით ინათლები,
სულ მახსენებ, ვინ ვიყავთ და რა ვართ,
შარვაშიძის ანთებული ჩირაღდნებით
აფხაზეთში უსათუოდ ჩავალთ.

რა წიგნებს სწერ,
ღამეები მათევინა,
ფხიზელს მიდევს ლოცვანივით თავთან,
ვინ გიამბო, სად ნახე, რამ გათქმევინა, –
აღარ მახსოვს სხვა რამ წიგნის გარდა.

აშორდიამ სულ არია ივერია
ჩალის ფასად ნაჩალიჩარ გვარით,
შენ ღვინჯუას ამფსონები გიმღერიან,
არ გაუჩნდეს წეს-ადათებს ბზარი.

გაზაფხული

ჩამოდნა, ჩამოილია
თოვლი ქმარმოკლულ ქალივით,
შემოგოგმანდა აპრილი
ტყემლების ფერუმარილით.

ჩიტებმა გამოზამთრება
ერთმანეთს სტვენით ახარეს
და სიხარულის ცრემლები
სველ მიწას გადმოაყარეს.

პეპლები, ფერადკოპლება,
ყვავილზე ნაზად სხდებიან,
ცეცხლს უკიდებენ ცის წიაღს,
ვარდის სურნელით თვრებიან.

ამობიბინდა ბალახი,
გამოხალისდა გზა-შარა,
სკა აზუზუნდა, ფუტკარმა
ჯაფისთვის ფრთები გაშალა.

გამოეფინა ნახირი
ეჟვნების აჟღარუნებით,
ველ-მინდვრებს ალამაზებენ
ბოჩოლები და ფურები.

მთას და ბარს ზამთარგამოვლილს
სულ სხვა ხიბლი და ფერი აქვს...
მღერიან გოგო-ბიჭები,
ემღერებათ და მღერიან.

* * *

გარდაცვალების დღეა
სულზე უტკბესი მამის,
გული წუხილის ტყვეა,
სული სავსეა შხამით.

ვერც წლებმა უსალბუნა
მამის დახარჯვის ტკივილს,
სევდა-კაეშნის ბუნაგს
შევეხიზნე და ვტირი.

თვალებით მთხოვდა ექიმს,
თვალებით მთხოვდა წამალს,
ჩემი გულადი მამა,
ჩემი ამაყი მამა,
ჩემი გულუხვი მამა.

ახლა საფლავთან ვდგავარ
ცრემლებით სავსე სურა
და ვეფერები წყნარად
გრანიტზე ნახატ სურათს.

იქნებ არმოსვლა მერჩია

რამ შემქმნა ადამიანად,
რატო არ მოველ წვიმადა?..
ვაჟა-ფშაველა

დალოცვილ ვაჟას უთქმია –
„რატო არ მოველ წვიმადა“...
მე რა ვთქვა, როცა მას შემდეგ
სიგლახემ ასჯერ იმატა.

ქვეყანა არეულია
და ყველგან შხამი თესია,
და უმტკიცებენ ძმები ძმებს,
ვინ ვისზე უკეთესია.

საშოვრად უნდათ სამშობლო,
ნახვეჭ-ნაძარცვით ტკბებიან,

ხალხს აბრიყვებენ, მშრომელ კაცს
სიმშვიდე მონატრებია.

ლიქნამ კაცობა წაბილწა
და პირფერობამ – ღირსება,
ქვეყანა – გმირთა, რაინდთა,
ქურდბაცაცებით ივსება.

განმკითხავს სადღა შეხვდები,
ყველა კანონი მკვდარია,
ვის ენაღვლება – რა გიჭირს,
რა გიმძიმს, რა გიხარია.

შე დალოცვილო, მე რა ვთქვა,
ვის ამოვუდგე გვერდშია,
იქნება არ მოვსულიყავ,
იქნებ არმოსვლა მერჩია.

ფრიდონ ხალვაშს

ქეიფი მიყვარს დიდებთან,
მეძებენ მეც მოდიდონი,
ჩამობრძანდება ქედიდან
შაბათს – ბატონი ფრიდონი.

ყელში გაჩნდება წალკოტი
მის მიერ ჩამოტანილი
ღვინით,
მსგავსი აქ არ მოდის,
აქ თევზია და მწვანილი.

აქ სიყვარული ვარვარებს,
როგორც ღადარში ლითონი,
ზღვასავით შვენის ამ მხარეს
ფრიდონი, დიდი ფრიდონი.

* * *

ფრიდონი ბრძენია, –
ხელისუფალთ
ცერად და განდაგან გაჰყურებს...
ლექსს მარილს აყრის,

ცრემლისფრქვევით
ისვრის
ქვემეხივით სამყურებს.

ბორჩხაში

გავშინაურდით,
გავიკრიფეთ
სიტყვის მტევნებად,
დიასახლისი დედასავით
თავზე გვევლება.

უერთმანეთოდ
დავღლილვართ და
ცრემლად ვქცეულვართ,
ასე შორიშორ როგორ გაძლოს
ერთმა სხეულმა?!

იყო კითხვები,
გახსენება –
პაპის,
დიდედის,
ჭოროხს ეფინა
სასწაული სხივი იმედის.

ვივაზირეთ და –
მასობაში კიდეც გათენდა...
სისხლის ყივილმა გააღვიძა
გული ქართველთა.

ვცნობ ქართველებს ღიმილზე

სხვა სიყვარულს რა უნდა,
თუკი გული გულობს...
ბორჩხა ქედას მაგონებს,
ართვინი კი – ხულოს.

აჩუქურთმებს დილის მზე
სოფლებს სასწაულად...
ვცნობ ქართველებს ღიმილზე,
გადავკოცნი ძმურად.

კაცი ხულელს ჩამოჰგავს,
ქალბატონი – ქედელს,
ქართული იავნანათი
გამოუზრდიათ დედებს.

ჟამმა ვერ გახრა სიმუხთლით
მშობლიურ სიტყვის ჯადო,
მოდიან, მეფერებიან, –
ჩვენებური ხარ მთლადო.

მეც ვეფერები გულგახსნით
და ქართველობას ვუქებ,
ხოფელ,
ბორჩხელ და ართვინელ
თვალებსაცერა გურჯებს.

მეფეების სპასალარი

მურად თედორაძეს

სიყვარულში სწორუპოვარს
გიხსენებთ და გეფერებით,
ღვთისგან პირჯვარდაწერილო,
სპასალარო მეფეების.

ფარნავაზთან ერთად ქმნიდი
ქართულ ანბანს სასოებით,
გადაგქონდა ეტრატებზე
საამბორო ასოები.

ჭოროხისპირს დავით მეფის
ლაშქარს გადასახე ჯვარი,
შვიდმნათობი თამარისთვის
ბრძოლით გახსენ ტაოსკარი.

აბრეშუმით ქსოვდი დროშას,
უმზადებდი რუსთველს მელანს,
თინათინის მიჯნურს გაჰყევ
ტარიელის დასახსნელად.

მოუსინჯე ქაჯებს ღონე,
ხანჯლით გამოსჭერი ყელი,

დაჰკარი და დაიმონე
პირუტყვნიც და პირმეტყველნიც.

აშენებდი, ამშვენებდი
მამულს – მუმლით შენაწუხარს,
შინ შვილებთან ბრუნდებოდი,
ტოტებძლიერს ჰგავდი მუხას.

„დედა ენას“ გადაშლიდი
მოძღვართუხუცესი, ქველი,
იყავ მარჯვე მოსაუბრე,
გულწრფელი და გულფიცხელი.

ცხრით ხარობდი, ცხრანი ვიყავთ,
ცხრა ზღვა, ცხრა მთა, ცხრაკლიტულით...
საქართველოს ველ-მინდვრებში
ცხრათვალა მზით გაზიდული.

გვჯერა, ღმერთთან ახლოსა ხარ,
ხსოვნას შენსას ვეფერებით,
ღვთისგან პირჯვარდაწერილო,
სპასალარო მეფეების.

როცა წვიმები ამირბარობენ

წვიმს –
ბათუმს წვიმა როდის უკვირდა,
ცა წარბის გახსნას არც კი აპირებს,
ამოაგორე, ცაო, უბიდან
მზე – სიხარულით რომ ამატიროს.
რომ მოილხინოს ჩემმა სტუმარმა
და ზღვას დარდები მიასამაროს,
რომ მიატოვონ რეტრო ქალებმა,
იენძელონ და იასამანონ, –
ამოაგორე, ცაო, უბიდან
მზე და სიცოცხლეს მიეც ხალისი,
დაბრუნდებიან სიყრმის სიზმრები
და სიყვარულიც მოვა თავისით.
მაგრამ ვის მისწვდეს
სიბრძნე სურვილთა,
როცა წვიმები ამირბარობენ,
ამოაგორე, ცაო, უბიდან
მზე და ქალაქი ამიგალობე!

სამშობლოს დარდი მაცვია

ცრემლით გიხსენებ, მამაჩემო,
გულში ტკივილად ჩანაჭედო.

საბედნიეროდ, მე ვბერდები
და არა ჩემი იმედები,
საკუთარ ჩრდილში ვერ ვჩერდები,
შენი სამყაროდან ვიხედები.

აქ ყველაფერი მკაცრია და
თვალები სევდით დამეღარა,
სამშობლოს დარდი მაცვია და
გული ტარებით დამეღალა.

ცრემლით გიხსენებ, მამაჩემო,
გულში ტკივილად ჩანაჭედო.

არ ესინჯება წნევა

მადონა ფალავანდიშვილს

მიყვარხარ თავდავიწყებით,
გიყვარდი სიგიჟემდი,
მიყვარხარ, არ მავიწყდები,
სული ჰაბია სევდის.

ვლოცულობ ქრისტიანულად,
სანთელს სულს ვატან შენთან,
ცრემლსაც გიგზავნი მალულად,
სანამ ვიქნებით ერთად.

სხვა რა ვუბრძანო ახლა გულს,
მტერს, რა განცდებშიც მე ვარ,
ცხოვრებას, ჩემსას, ჩახლართულს,
არ ესინჯება წნევა.



ნიაზ ზოსიძე

„ღობე სიყვარულს დააკავებს?!“

ვუძღვნი **შორენა ლომაძეს**

მარადიდი...

მაჯაგადახსნილი მარადიდი...

ორად გახლეჩილი მარადიდი...

შუაში მავთულხლართი... საზღვარს იქით თურქი ასკერი დგას, საზღვარს აქით – რუსი ჯარისკაცი...

ღობის გადაღმა და ღობის გადმოღმა თვალცრემლიანი, თვალებმილეული, სისხლგაყინული ძმები, დები, ბიძაშვილები...

ვერც გაღმელი და ვერც გამოღმელი მარადიდელი ვერ და არ ურიგდება თავის ხვედრს...

მარადიდელი, ვინც თავის ბედუკუღმართ გზაზე ტაძარიც აგო, წიგნიც წერა, მართლმადიდებლობას პირველმა ეზიარა, ბრძოლებიც მოიგო, სისხლის ბოლო წვეთამდე ებრძოლა რჯულის წამბილწველ ძალას...

მარადიდელი, უღიმილო, თავჩახრილი, გულში ჯავრჩახვეული, ცრემლი რომ უმდუღრავს თვალებს, გული ხელით რომ უჭირავს...

ბედის სამდურავი და ღმერთის სავედრებელი ტირილით ტირის მარადიდელი...

...ბოლო-ბოლო მოირყა სსრკ, მოყანყალდა სასაზღვრო მავთულხლართიც...

შიშნეული მზერა გააპარა იქით მარადიდელმა... იქითა მარადიდელმაც გამოაღიმილა აქით...

* * *

გაღმა მარადიდელი რეჯები ასკერიდან თავის სოფელში დაბრუნდა და თავისუფლად გამოიხედა გურჯისტანისკენ, საზღვართანაც მივიდა და საზღვრისპირა ჭოროხთანაც...

– ერთხელაც ჭოროხისპირს სათევზაოდ ჩეველი, – იცინის რეჯები, – გაღმა, კირნათის მხარეს დევნახე გურჯი ციციები ყანაში საქმობენ. ზოვლი ცხელოდა და წყალში შევდენ, სახეზე წყალი შეისხეს, ფეხები დეისველეს, დუუყვირე: – წაით მაქიდან, ვერ ხედავთ ვთევზაობ-მეთქი. გედეიკისკისეს, სხვა ადგილზე წაი და იქ ითევზავე, მაინცდამაინც ჩვენიდან წამოსული თევზი დეჭირონაო!.. ერთი გოგო მემეწონა ნამეტანი, თვალებაბრიალებული, რაფერი თვალები ქონდა იცი? ქვას გახეთქავდა და მზეს გააშავებდა. მოსირმული, ყვავილებიანი კაბა ეცვა... გულში გევფიქრე, ამდენ დავდივარ აღმართ-დაღმართებზე, ღელე-ღარტაფებზე, გზა-ბილიკებზე, ამფერი ვინმე ჯერ არ დიმინახია... მოვიწყინე და

მოვიღრუბლე, ფეხათრევით წეველ სახლისკენ, უკან-უკან ყურებაში კინაღამ კისერი მომეღრიცა, ეზოში რომ შევდგი ფეხი, ქარმა თვალებში ჩამდგარი ცრემლები მაშინ ამომიშრო...

* * *

მეორე დღეს ცისფერ კაბაში გამოწყობილი დახვდა ის გოგო...
მესამე დღეს გვირილების გვირგვინით თავშემკობილი...
მეოთხე დღეს ნაცრისფერ კაბას თეთრი საყელო უმშვენებდა...
მეხუთე დღეს:
– ცავ, ვინ ხარ და რა გქვია?
– ნინელი მქვია, კახაბერიძის გვარის ვარ, შენ ვინ ხარ?
– მე რეჯები ვარ კახიძე, ხვალაც მოხვალ აქა?
– კი, ხვალაც მოვალ, ზეგაც, მაზეგაც, სულ აქ არ ვარ?

* * *

– რატომ არ გძინავს, რეჯებ? რაცხა ფერი არ გაქვს, ნენი, რამე ხომ არ გტკივა, შვილო?

– ღობის გადაღმა გურჯი ნინელი შიმიყვარდა, ნენი, იმ ღობეს რა ვუშველო? იმასაც ვუყვარვარ, ნენი!

– შენ მოგიკვდი, რეჯებ შვილო!.. მთავარია ჩვენი ნათესავი არ გამოდგეს, ჩვენი სისხლის! ღობე სიყვარულს დააკავებს?! მარა, ჯერ ფრთხილად იყავ, დენი ყოფილა მაგ ეკლიან ღობეში, რამე არ მოგეწიოს! ნუ გეშინია, შვილო, მეწყერ, ზვავ და შვავს მივუშვებ მაგ ღობეს, ქვა-ღორღს წავაღებიებ მაქაურობას, შენ გულს არ მოგიკლავ, შვილო, ქალი თუ ვყოფილვარ, გურჯ ნინელის ფატას დავახურავ თავზე! თუ არადა, გვირაბ გევყვან აქიდან იქამდე და ნინელის ისე გამევყვან აქა!

* * *

რეჯები მეგობარ მუზაფერთან ერთად მუხლებამდე შარვალაკარწახებული დგას ჭოროხის პირს, გულისფანცქალით ელოდება ნინელის. გამოჩნდა ნინელი, ხელი დაუქნია.

– ნინელი, შენზე ამომდის მზე და მთვარე. ახლა მუზაფერაი მაქეთ ნიშნობის ბეჭედს გამეიქნევს, ასწიე და სახლში წაი, რაცხა დღეს გაღმა-გამოღმა ბევრი გველებია...

– რეჯებ, ნუ იზამთ მაგას, თვალსატყუარა წყალია ჭოროხი!

– ნუ გეშინია, ნინელი, აბა შენ იცი, დეიჭირე ბეჭედი!

...მძლავრად მოიქნია მარჯვენა მუზაფერმა და ქვაზე გამობმული ბეჭედი ჭოროხგაღმა გაისროლა... ქვამ იბზრიალ-იბზრიალა და შუა ჭოროხში ჩავარდა... ნინელიმ ზეაწეული ხელები ჩამოყარა და თავი ჩაღუნა... გარშემო ყველაფერი გაშავდა... მუზაფერი სულგავარდნილივით მიწაზე დაეცა და ველური ხმით შეჰბღავლა: რეჯებ, აწიე დანა და კისერში გამომისვი!

რეჯებს ფეხები მოეკვეთა, ქვაზე დაჯდა და ატირდა...

გაღმა-გამოღმა ნაცრისფერ კლდეებზე გველები სისინებდნენ...

ნინელიმ თავი ასწია, თვალები რეჯებს შეანათა და დაშაქრული ხმით გასძახა:

– არ იდარდო, ბიჭო, ჩვენი ჭირიც წაუღია, ჩათვალე თითზე მიკეთია!

რეჯები ზეზე წამოდგა, ნინელის გამოძახილმა ტანზე თბილ ტალღებად გადაუარა, გულში ათასი მზე ამოუბრწყინდა...

– ნინელი, იცოდე, ნიშნობის ბეჭედს მაინც წამოგაცმევ თითზე! მანამდე კი საქვეყნოს გავხდი ჩვენს სიყვარულს, გავალ ახლა სოფლის შუაში და ხმამაღლა ვიყვირებ, ნინელის გარეშე ვერ ვიცოცხლებ-მეთქი, ამხელა სოფელია, ხალხია, დამეხმარებიან!

– მეც მიყვარხარ, რეჯებ და იცოდე, ქუდჩამოწეულს არ გატარებ, მთელი ცხოვრება შუბლგახსნილი იქნები! – თვალცრემლიანი ნინელი თავისი მარადიდისკენ შეტრიალდა...

რეჯები აწყვეტილი ქარივით თავისი მარადიდისკენ გაფრინდა...

* * *

ნინელის თვალები სიწმინდით გაუბრწყინდა ბათუმის უნივერსიტეტის ეზოში რეჯები რომ დაინახა...

იდგა რეჯები ენაჩავადნილი, სახეგახევებული, გული ყელს აწვებოდა...

მოლივლივე თვალებით შეათვალიერა ნინელიმ...

დიდხანს იდგნენ მუნჯებივით...

ბაგე აუთრთოლდა, ცრემლი დაეკიდა ლოყებზე ნინელის...

– რას გაყურსულხარ ცაჩამოქცეულივით? ხმა ამოიღე!

– რა ვთქვა, ნინელი, ჩამოგაკითხე!

– გოგოებო, ეს ის ბიჭია, რომ გეუბნებოდით! – მიუბრუნდა მეგობრებს ნინელი...

* * *

მერე ქორწილი იყო...

თვალცრემლიანი ეთხოვებოდა მარადიდს ნინელი...

– სარფის საბაჟო რომ გავიარეთ, მაშინ მივხვდი რომ ნინელი ჩემი იყო. ნამტირალევი თვალები დავუკოცნე და ვუთხარ, ჩვენი სიყვარული ღმერთმა ცაში დაწერა და ღმერთს არასოდეს ვუღალატებ-მეთქი... მერე ბაბამ დეიბუბუნა: სალიხ, გარმონი გაწიწე, ისკენდერ, იმღერე, მუზაფერ, იცეკვე, დანარჩენებმა დაატაშუნეთ, გურჯის გოგო შემოდის ჩემს სახლშიო!

* * *

ახლა მე რეჯების და ნინელის ბაღან-ბუღანით, ბადიშებით „დაჭვირთულ“ ოჯახში ვარ...

კი, ვიცი, ცოტა სხვანაირია აჩქარებული კალამი, აზრის, ფიქრის ასიარულება და წელში გამართვა, მაგრამ რაც არის, ეს არის, უბრალოდ, ჩემს ხელთან მოფრენილი სიტყვები რიგითობით ჩავაწიკწიკე...

* * *

ჟანგიანი რკინის რგოლი ჩემსკენ გადმოვწიე და კარი ჭრიალ-ჭრიალით გამოვაღე... თაგვების ნაჯირგალი ქაღალდები იქით-აქით მიმოვყარე, ობობას ქსელი მიმოვწყვიტე, ტყავგაცვეთილ სავარძელზე დადებული ხელით სატრიალებელი წისქვილი კედლისკენ მივაჩოჩე, ძირს დაგდებული გამურული ნავთის ლამპა თაროზე დავდე, აყირავებული საბავშვო ეტლი გავასწორე, ხელის ფანარი კედელზე ჩამოვკიდე, ჯერ უწესრიგოდ დახოხოლავებული სათამაშოები და გაყვითლებული სურათების შეკვრა ტომარაში ჩავყარე, შემდეგ დარკილული სკივრი ზურგზე მოვიკიდე და სარდაფიდან გარეთ გამოვედი, მტვერი, ნესტი ამოვისუნთქე, სუფთა ჰაერი ჩავყლაპე ხარბად.

ცალფეხა, თავისივე ხელით მოჩორკნილყავარჯნიანი „ნემეცი“ გადაფერდებულ სარდაფში ცხოვრობდა. არავინ არ იცოდა ვინ იყო, საიდან მოვიდა. სხივჩამქრალი თვალები და მიწისფერი სახე ჰქონდა... გერმანელიაო, ეს იცოდა სოფელმა და მეტი არაფერი, რა მოხელე ნაჩალნიკი ხარო, რომ

შეეკითხნენ, გერმანელი ვარ, ომში შესვლაც ვერ მოვასწარი, ფრონტისკენ მიმავალს ყუმბარის ნამსხვრევმა ცალი ფეხი გამაგდებინა, დამიჭირეს და ახლა აგერ ვარო. თქვა ერთხელ და იმის შემდეგ ამ თემაზე დამუნჯდა, სათქმელი გულში ჩაიკლა...

სოფლის ბავშვები ყვირილით დასდევდნენ: „სიკვდილი ნემცებსო“... სიტყვას არ შეუბრუნებდა, ცალ მუხლზე ჩაიჩოქებდა, ცხვირის იქით-აქით ორი ობოლი კურცხალი ჩამოუგორდებოდა, მარწყვივით ყლაპავდა გამწარებული და გაშავებული სოფლის გინება-თათხვას... თანდათან სოფელმა ბოღმა გულიდან გადაიყარა... „ნემეცი“ ძმობის და მეგობრობის სულ-გულად იქცა, ყველა სიყვარულით და ნდობით განიმსჭვალა...

ჭვარტლიან ფარდულში ცხოვრობდა ხელდალოცვილი „ნემეცი“, მაგრამ ზღაპრულ ნივთებს ჰბერავდა სულს და სარდაფში ინახავდა, კარადებს, მაგიდებს, აკვნებს, კუბოებს აწყობდა, ჯამებს, გობებს, კოვზებს თლიდა, ყველა ბავშვს ჰქონდა მისი მოძრავხელებიანი ხის კაცები, წაწვეტებული ცხვირით და ნიკაპით... ხშირად მახსენდება გაკაპასებული ბებიაჩემის მიერ აივნიდან მოსროლილი და ტალახში ამოთათხული „ნემეცის“ ნაჩუქარი ხის კაცის ნაღვლიანი თვალები...

ჯიბეში სულ ჰქონდა გამხმარი მჭადის ნატეხი, სულ იმას ლოღნიდა, სულ საქმეში და ვიღაცის შველაში იყო, სამუშაო იარაღს ხელიდან არ გააგდებდა, უპატრონო ვინმე თუ იყო, დაბანდა, გაპარსავდა, ჩააცმევდა, კუბოში ჩაასვენებდა, საფლავს გაუთხრიდა. ქელეხების არ ესმოდა, უკვირდა მხრებს იჩეჩავდა, ლუკმას პირს არ დააკარებდა...

ერთ დღეს გაზეთებისგან გამოჭრილი მტრედი, ქუდი და პეპელა მომიტანა, ბეღლის გვერდით გამიხმო და მითხრა: – მზემ, წვიმამ და ქარმა გამომფიტა, სისხლისღებინება დამჩემდა, სამი დღე-ღამეა ძილად ვარ მივარდნილი, დიდი ბიჭი ხარ, თუ რამე დამემართა, ანდერძის წერილი შენ გეცოდინება, იცოდე, ჩემი სახლის გადაღმა, ყორის ძირში დამასაფლავეთ, ხის დაფაზე დააწერინე: „კონრად ზიმერმანი, ბრაუნშვ აიგიდან“, კიდევ ერთი თხოვნა მაქვს, მარა ვფიქრობ გითხრა თუ არა.

– მითხარი კონდრატ ბაბუ, მითხარი, ჩემი იმედი გქონდეს! – მოვეხვიე „ნემეცს“.

– კონდრატი კი არა, კონრადი მქვია, კ ო ნ რ ა დ ი! – დამიმარცვლა „ნემეცმა“ და თუთუნი ააბრჩოლა, – ძალიან მინდა ქართული სიმღერით გამაცილოთ! – თქვა და თვალები ვედრების ცრემლებით დაუსველდა... – ახლა მთავარი, წამო სარდაფში, ლამაზი აკვანი მაქვს, მაღლა ფერიდეს აუტანე, „ნემეცმა“ გამოგიგზავნა საჩუქრად-თქო, რომ ჩამოხვალ, იგერ სახლს უკან გადახურულში, ძროხა რომ აბია, ახსენი, თქვენს ახორში გადააბი, დედაშენს უთხარ, „ნემეცმა“ თქვა, შენი პატარა დაიკო მაგის ნაწველით გაზარდოს... ხვალ დილით რომ მოხვალ, მე არ მეცლება, ჩემი შეჭედილი შილერის და გოეთეს ვერცხლის პორტრეტები, ვერცხლის ქამარი, ყელსაბამი და სამაჯური წაიღე, შენია! მერე, დროთა განმავლობაში თუ ვინმეს გავახსენდი და მომიკითხა, თაროზე დაწყობილი ქაღალდები და სურათები გადაეცი... წადი ახლა და ქენი რაც გითხარი!...

– რა დროს სიკვდილია, კონდრატ ბაბუ!

– ბიჭო, როგორ ვერ დაიმახსოვრე: კ ო ნ რ ა დ ი!

– რა დროს შენი სიკვდილია კონრად ბაბუა! – ისევ ამოვიკნავლე მე.

– სიკვდილი აგერაა, ერთი ხელის გაწვდენაზე, ბედისწერას ვერავინ დაემალება! შვილო, რა გითხრა, რა გასწავლო და რა დაგიბარო?! ადამის მოდგმის სიცოცხლე წელიწადის დროებს ჰგავს, ბავშვობა სიცოცხლის გაზაფხულია, წამოჩიტვა-წამოზრდა ზაფხულია, მუხლებში სისუსტეს რომ იგრძნობ, ეგ შემოდგომაა, ჩემსავით ღრმა სიბერე სიცოცხლის ზამთარია, მე ზამთრისთვის სულ ვემზადებოდი, ასეა საჭირო და იმიტომ. პირტიტველა ჩამოვეთესლე აქ, შერცხვენილი არ მივდივარ ამ სოფლიდან, ამას არც შენ, არც სინდისი და არც ღმერთი არ მომიტევებდა, მეც თქვენიანი და თქვენნაირი ვარ რაღა!

იმღამით ფიქრებმა ლამის გული ამომართვა... უთენია „ნემეცის“ ფარდულს მივაშურე... კონრადის ღიად დარჩენილი თვალები სარკმლისკენ იმზირებოდნენ...

ბებიაჩემმა თეთრი ლეჩაქი გადაიძრო, თმები წინ გადმოყარა და ისე დაიტირა „ნემეცი“...

სოფელმა ანდერძი აუსრულა კონრადს...

უთავბოლო ქარის შტიალს, წყლის თქიშინს, წვიმის წვეთების წკაპაწკუპს დაგუდული „წინწყარო“ შეერია და ცისკენ დაიძრა... ათასნაირი ყვავილები ათასნაირი სურნელით ყელყელაობდნენ...

* * *

მკაცრი და სიტყვაძვირი კაცი იყო არტემი. ცოტა რომ შეღვინიანდებოდა, მაშინ ენამახვილობდა, უფრო ღიღინებდა: „ჩიტო, ჩიტუნიავ, ჩვენ კაი ამბავი, შენ კიდევ ოქროს ნისკარტი, აფრთხიალდი და გადაიარე ათასი მთა!“

ბავშვობაში მეგონა, სადაცაა არტემს ხელები ფრთებად გადაექცევა და გაფრინდება-მეთქი...

თვალწინ მიდგას პატარა ქოხი, პატარა აივნით... არტემის მეუღლე ემინე დგას მხარზეგადაფენილი პირსახოცით, ალუმინის კრუშკით ქვაბიდან შემთბარ წყალს ხაპავს და არტემს ზურგზე და კისერზე ასხამს, არტემი ვეებერთელა ხელებით წყალს დაძარღვულ ტანზე იფათქუნებს...

მთელი ცხოვრება, ზამთარ-ზაფხულ საქმე არ ელეოდა, გაბმულად მუშაობდა, ხნავდა, თხრიდა, რწყავდა, აპობდა, თლიდა, გლეჯდა, აჭედებდა, წმენდდა, ხეხავდა... ხანდახან შეისვენებდა, მეხსიერების ფერფლს ჩამოიფერთხავდა, ხმადაბლა აღუღუნდებოდა, ნელ-ნელა ქსოვდა მთისა და ბარის, მოგონილი და ნამდვილი ამბების ქსოვილს...

წლების მატებასთან ერთად გულიც უჩვილდებოდა:

– დავმარტოვდი, დამიცარიელდა გული, აქამდე ჩემი ხორცი და სული ერთმანეთს ავსებდნენ, ახლა ჯანი აღარ მომდევს, მთელი დღე ტყუილა დავღინტილობ, არადა, რამდენი საქმე მაქვს, ჩვენს სოფელში მიწაში ჯოხიც რომ ჩაასო, ამწვანდება და აფოფინდება. ნათესავები მეუბნებიან, მოისვენე, წამოწექი, რას დაბანცალებ, ისეთი ნაგრამი გყავს, სიკვდილს ახლოს არ მოგაკარებენო, ვითომ მე არ ვიცი, არსთგამრიგემ რაც დამიდგინა, იმაზე მეტს რომ ვერ ვიცოცხლებ!..

ბოსლისკენ მიჩანჩალებს... მაისა გამალებით კუდს იქნევს, ფერდებზე იტლაშუნებს, ეტყობა, ექავებაო, არტემმა, საფხეკი მოიმარჯვა და ზურგზე დაუსვა. გაყუჩდა მაისა, სველი თვალები აუციმციმდა. პატრონი გაჩერდა თუ არა, დაიზმუილა, ისევ აღმა-დაღმა აამოძრავა საფხეკი. კვასკვასა დეკეული ხაოიანი ენით ქვამარილის ნატეხებს ლოკავდა და კუთხეებს ამრგვალებდა...

ჭიშკრისკენ წავიდა არტემი, ბარემ ღიას დავახვედრებ ქალაქიდან მომავალ შვილს და აივანზე დავუცდიო... ფეხი დაუმძიმდა, გულის მხარეს ჩხვლეტა იგრძნო, სუნთქვა შეეკრა, ნაბიჯი ვეღარ გადადგა, კორდზე ჩაიჩოქა... როგორმე უნდა გავძლო, წამოვდგე და წელში გავიმართო, გიორგიმ არ უნდა გაიგოს შეუძლოდ რომ ვარ, მის წასვლამდე უნდა მოვითმინო, კი მითხრა დღესვე უნდა დავბრუნდე ქალაქსო, ჩემი სიკვდილის ყურებით რატომ დავტანჯო... თუ შვილთან ჯობია? არა, არა! ისე, მართალი ყოფილა დედაჩემი, სიკვდილის წინ, ვინც სიცოცხლეში განსაკუთრებით გიყვარდა, იმათი ნახვა მოგინდებაო... მე კაი, წამოვდგები, მარა ამ კაკალს რა ეშველება მატყუარა სითბომ ნაადრევად რომ გამოიტყუა და კვირტები მოწვა.

– როგორ ხარ მამი, შენ გენაცვალე, ხომ ხარ კაჟივით! – ჭიშკრიდან გამოჰყვირა გიორგიმ, – რას ჩაყუნცულხარ სველ კორდზე, ადე, ქაფქაფა რძე ხომ გამიმზადე?!

– კარგად ვარ, შვილი, რძეც მოგიმზადე და სხვა რამეებიც, მოდი მომეხმარე, ძილბურანში ვარ, ჩამძინებია გრილ ბალახზე.

ხელიხელგადახვეული მამა-შვილი სახლისკენ წავიდნენ...

– აბა, ვიჩქაროთ, შვილო, ვიცი გაგვიანდება!

– რა ვქნა, მამი, მაპატიო უნდა, ათასი საქმე მაქვს...

– კი, შვილო, კი, საქმის ღალატი როგორ იქნება! სარდაფში ჩადი, ხაპი, ლობიო, ნიორი, ვაშლი, ასკილი, მსხალი ამოიტანე, ყველაფერი გამზადებული მაქვს, ღვინო პლასმასში არ ჩაასხა, გემოსაც და ფერსაც დაკარგავს! – აზრმიუცემლად თქვა არტემმა, ხელი მკერდზე მიიდო და ტახტზე ჩამოჯდა...

– არა უშავს მუხლმაგარი ყოფილხარ! – შეაქო თავისი თავი არტემმა, – ახლა მთავარია არ წამთვლიმოს, თვარა ძილში საშინელი ურჩხულები მესევიან, – წამოდგა მუხლი გამართა, ოთახში შევიდა, ჩამქრალი ღადარი გამოქექა, ფანჯრის რაფიდან ცინტალი გადმობობღდა, ამის დამნახავს, მოქანცული თვალები დაუწყნარდა, გული გაუხალისდა, ბოხად ჩაახველა: აბდლობაა სიკვდილი, აბა რა არი! ღმერთო, ეს ღამე მშვიდობით გამითენე, მერე მე ვიცი!

კიბეზე ფეხშემოდგმულ გიორგის გაუჯავრდა: – რას აიტეხე, მივდივარ, მივდივარო! ბოლობოლო ნაკელის ჭიასაც ჭამა უნდა, შენ რა გჭირს, ამოდი, სამზარეულოში ჩაჟუჟუნებული მაწონი გიცდის...

– რა ვქნა, მამი, უნდა გავიქცე, თვარა იცი, ღვინის წყურვილი როგორ მახრჩობს?! არ მომწონხარ, მამი, დაბეჟილი ხმით მელაპარაკები, გპირდები, კვირის ბოლოს ბადიშებს დაგასევ თავზე და ავადმყოფობა დაგავიწყდება! – გახუნებულ ულვაშებზე ხელი მოუთათუნა გიორგიმ...

უკვდავების ნამად დაეპკურა მოხუცს ეს სიტყვები...

წავიდა გიორგი... ხელისქნევით დაემშვიდობა არტემი. ყურებში თავისივე ხმა ზარივით რეკდა: რა დროს ავადმყოფობა და წელის ტკივილია! გურგურა ბადიშები მოდიან, ღელე-ღურდანს, ხეს და ქვას აამეტყველებენ, მეც ამაპეპლებენ და გამანედლებენ, გაქრება ჩემი წუხილიც!... მოჭუტული თვალები ეშმაკურად აუღიმილდა...

– ტყუილად მჩხვლეტ და მფხოჭნი ტკივილო, შენზე მომხედავი არ ვარ! – ფანჯარასთან მივიდა და რაც შეეძლო ხმამაღლა შეაგინა და მიაჯოჯოხეთა სიკვდილს...

ქათმები ხავსმოდებულ ყავარზე შებუდრილიყვნენ...

* * *

პირმომღიმარი და გულგახალისებული მომედილამშვიდობა:

– შენი წიგნი „ქაშუეთური ჩანაწერები“ წავიკითხე, არა უშავს ნოველები მოგიქარგავს, ძველი და ახალი ამბები ლამაზად ჩაგიწიკწიკებია, რომ მცოდნოდა, მეც გეტყოდი რაღაც-რუღაცებს.

– რისი თქმა გინდოდა, ამბერკი, ხელმეორედ რომ დავბეჭდავ, იქ შევიტან.

– დიდნენეს მონაყოლს გეტყოდი, მაქო, ქაშუეთის ეკლესიის მშენებლობისას ირმები ჩამოდიოდნენ, გლეხები მივიდოდნენ, მოწველიდნენ და რძეს დუღაბს ურევდნენო, კიდევ ბაღნებს რომ გვეტყოდა, ქაშუეთის ნასაყდრალზე ჩადით, ხავსიან ქვებს აკოცეთ, გამჩენელს წვიმა შესთხოვეთ და ნახავთ რაფერ გაწვიმდებაო.

– ვაა, რა კარგი რამეები გცოდნია, გამომადგება ახალ გამოცემაში.

– ირანში ყოფილხარ ფერეიდნელ ქართველებთან, სურათი მაჩვენეს შაჰ-აბასის საფლავთანაც გამოჭიმულხარ, წიგნიც დაგიწერია, ჩემთვის რატომ ვერ გამოიმეტე?!

– კი ვიყავი, წიგნს აუცილებლად გამოგიგზავნი. შაჰის საფლავთან ფოტო რა სატრაბახოა, მაგრამ მივაკითხე, ჩემი სათქმელი ხომ უნდა მეთქვა!

– რა უთხარი?

– ჯერ გინებით ვიჯერე გული, მერე, ყური მომე, ხმამაღლა ვერ გეტყვი, მესირცხვილება. – მომისმინა, გენაცვალე სულში, მოგიწერე ხელიო!

– ამბერკი, ჩემი ამბები აქ რა მოსატანია, სხვა რამეზე ვარ მოსული.

– ვიცი, ტყუილა არ იყრი ენაზე შაქარს. რაღა დროს ჩემი მოგონებებია, ჰა და ჰა, შაქარივით დავდნები და გავალ გაღმა მარილზე!..

ამბავს კი არ ჰყვებოდა, ქვეყნის ბედზე ჩიოდა, მოგონებათა ტალღებში ჩაიძირა:

– ამ წუთში რა გამახსენდა იცი? აკვანში ჩაკრულ-გაკრულს დედაჩემი „იავნანას“ სიტკბოს ძილში რომ შემაყოლებდა, კიდევ, ბატონები რომ შემეყარა, თავთანმჯდარი შუბლზე ხელს მისვამდა და არაკრაკებდა:

აქ ბატონები მობრძანდნენ –
იავ, ნანინაო,
მობრძანდნენ და თავს დაგადგნენ,
ვარდო, ნანინაო.
ბატონების მამიდასა, –
იავ, ნანინაო,
წინ გავუფენთ ხალიჩასა, –
ვარდო, ნანინაო,
აბრეშუმი დედას არ აქვს, –
იავ, ნანინაო,
და საჩუქრად ჩითი მოაქვს, –
ვარდო, ნანინაო!
მიწა ჰკოცნის ციურ სხივებს!
იავ, ნანინაო,
სიხარულით ოჯახს მივსებს, –
ვარდო, ნანინაო!

– მეზობლებმა მითხრეს, სოფელში ყველას უყვარდა ამბერკის დედაო.

– კი, უჩრდილო გულის და ალალი ღიმილის ქალი იყო... არა ჯადო-წამალი და ბალახები არ დამიკლია, მარა სულ ღიმილ-ღიმილში გამიფრინდა... არ ვარ ჯანზე, ხომ ხედავ, ვერ აგყევი საუბარში, მოდი, სხვა დროს ვიჭუჭუნოთ, – თვალში ცრემლი და სევდა ერთდროულად ჩაუდგა ამბერკის, – ჩემს ბიჭზე კი იცი, „ვეფხისტყაოსნის“ ავთანდილი ისე მომწონდა, ავთანდილი დავარქვი... არზრუმიდან წამალი ჩამოვუტანე, მარა კუბოში დამხვდა... კაი ახლა, ნიაზ, დანარჩენი ხვალ ვთქვათ...

სკამიდან წამოვდექ, ამბერკი გულში ჩავიკარ, წავალ ახლა და სხვა დროს გესტუმრები-მეთქი...

– არიქა, მეზობლებო, მიიპარება აი ოღრაში, ვახტანგ, თავს დაუარე, გიო, შენ დაბლა გზა მოუჭერი! – ჩიტის გული გაუმრისხანდა ამბერკის, – სად მაქვს მე ამის გაკავების თავი!

– ვრჩები, კაცო, ვრჩები, ამეღამ შენი სტუმარი ვარ, – დავაწყნარე.

ქვაზე ჩამოჯდა, იდაყვებით მუხლებზე დაეყრდნო და პირშიმიჩერებულ გიორგის ანიშნა, შედი სახლში, რამე თუა, სუფრაზე დააწყვე, სასტუმრო ოდაში ღუმელი ააგუზგუზე, გიორგი ადგილიდან მოწყდა.

– იცის მაგან კაი ტყემლის არაყი რომ მაქვს და მაგიტომ ბზრიალებს, თვარა იმფერი ზარმაცია, ხაფანგში რომ ჩავარდეს, გამოსახსნელად არ წაიკუზება, – ჩაიკუსკუსა მოხუცმა.

სახლში შევედით... ძველი გრაგნილებით, წიგნებით, სურათებით სავსე სკივრი გახსნა: – ნიაზ, ესენი უფრო ბევრს გეტყვიან, ვიდრე მე, წაიღე და მოიხმარე... იცი, გაგონილი მაინც გექნება, რა ბაზრობები მაქვს მოვლილი, ისფაჰანის, სტამბოლის, სამარყანდის, ტრაპიზონის, ცივ მხარეშიც ვიყავ გადასახლებული... ძალიან გულგატეხილი მივდივარ იმ დუნიას... ჩვენდა სავალალოდ, ღამაზად ვერ ვპატრონობთ ჩვენი ძველებისგან გადარჩენილ სამ ღვთაებრივ საუნჯეს: მამულს, ენას და სარწმუნოებას! ისტორია ასე თუ ისე იცი, ცნობილი, სახელგანსმენილი კაცების დაბადებაც გვიადვილდებოდა და ჩვენივე ხელით მისიკვდილებაც... ჩვენ, ადამიანებმა არ ვაცვით ჯვარს იესო?! რა ერქვა იმას, ზარათრუსტა თუ ზარათუშტრა, მისიანებმა არ აწამეს?!.. ახლა ერთი სადარდებელი დამაქვს მე ბედდამწვარს, ხანგრძლივ სიცოცხლეგავლილს და სიკვდილისგან მივიწყებულს, მარტო სამარეში რა გამაძლებინებს, ჭკუიდან შევიშლები! ადვილია სიკვდილი, მარა ჩემი სოფელი და ჩემიანები რომ მომწყურდება და მომენატრება, იმას ვჩივი! წადი ახლა, ნიაზ და რაც გითხარი სიმშვიდეში დაწერე, წერას სიმყუდროვე უყვარს!

ეზოში გამოვედი. დილის მზე ოქროს ისრებს მიშენდა, დაბლა აჭარის დედა-მდინარე ზათქით და ზვავით მიდიოდა...

* * *

იდგა იღლიაში ამოჩრილი გაყვითლებული გაზეთებით. ჩემს დანახვაზე ჯოხდაბჯენით ნელ-ნელა კიბეებზე ამოიკაკვა, მალი-მალ ზევით იყურება:

– იმდროინდელი გაზეთები მოგიტანე, მაგრამ რაც აქ წერია არ დაიჯერო! უბრალოდ გადაათვალიერე, რასაც მე გეტყვი, ის დაწერე, მე თვითონ ვერაფრით მოვახერხე, სიტყვა სიტყვას ვერ გადავაბი, ასო ვერ გამოვიყვანე, გეგონება კალმის წვერზე ეშმაკი მიზის. არადა, იმ ამბებს ცხადად ვხედავ, თვალწინ მიდგანან მოსწავლეები, ბავშვები, ღამენათევი, დასისხლიანებული, ცრემლიანი, გაოგნებული სახეებით, რას იფიქრებდნენ ლექსების მოსმენისთვის თუ ხიშტს მოუქნევდნენ, ტყვიას დაახლიდნენ... მე მაშინ ახალჩასული ვიყავი თბილისში, თანაკურსელებმა, წამო, სანაპიროზე ხალხი იკრიბება, ნიკიტა ხრუშჩოვს სტალინისთვის უგინებიაო... ოთხი დღე დავდიოდით სტალინის ძეგლთან... ხალხი დაიღალა ფეხზე დგომით, მაგრამ მომსვლელთა ნაკადი ემატებოდა და ემატებოდა... მოჰქონდათ გვირგვინები, ყვავილები და ბელადის ძეგლთან აწყობდნენ... რადიოფიცირებაც დაამონტაჟეს... ხმა გავარდა, ლენინის მოედანზეც იკრიბებიან მწერლები, მსახიობები, სტუდენტები, მოსწავლეებიო, ბათუმის, გორის, ქუთაისის, სოხუმის, ცხინვალის მთავარ მოედნებზე ტევა არ არისო...

მახსოვს, ჩემს გვერდით ახალგაზრდები ჯოხიან მოხუცს იქით-აქით ამოუდგნენ, ბაბუ, შენ უნდა თქვა „რეჩიო“. ვერაო, მოხუცმა, „რეჩს“ ვერა, მაგრამ პატარა კუპლეტს წავიკითხავო, ტრიბუნასთან დადგა და:

„დიდება მუდამ მის სახელს,
რომ არის ცად ატანილი,
მშვიდობა არის სოსელო,
უკვდავებაა ლენინი“.

– ხალხო, ახლა ლექსების დრო არაა! რას ვდგავართ ლაგამამოდებულივით, ახლა დამოუკიდებელი საქართველოს დროა, თავისუფლება საქართველოს! – იხუვლეს ტრიბუნასთან მდგომმა სტუდენტებმა...

...სამხედროებმა პირველი სისხლის კალო კავშირგაბმულობის სახლთან დაატრიალეს... მალე ჩვენთანაც ყველაფერი მოთქმა-ტირილით დაყრუვდა... ალყაში მოგვაქციეს... კონდახების ხათქა-ხუთქი, ხიშტების ტრიალი, სისხლი, ოხვრა, კვნესა, ტირილი, ყვირილი, გინება ერთმანეთში აიზ-ილა... ვხედავ მკლავი გასისხლული მაქვს, ძირს დავეცი, შუბლში რუსის ჩექმა და ყურში რუსის ღრიალი მხვდება: „ქართველო ძაღლებო, მოვიდა თქვენი ბოლო!“ „სვაბოდუ ზახატელი, და?!“

...რადიო მონოტონურად იმეორებდა: „ავლაგმოთ ხალხის მტრები!“

აგერ, გაზეთები რომ მოგიტანე, ამაში წერია, 1956 წლის 9 მარტს 27 დაიღუპა, 54 დაიჭრაო, ისიც წერია, ამდენი და ამდენი კუკიის, პეტრე-პავლეს, ღრმა ღელის სასაფლაოზე დაასაფლავესო... ტყუილია მაგი, ასზე მეტი მკვდარი გაიტანეს მაშინ მოედნიდან!

მთავრობამ, ყველა გარდაცვლილს თბილისში დავასაფლავებთ პატივით, ხალხმრავალი პროცე-სიის გარეშეო...

...ტირილი აკრძალულია, მარტო იქვითინეთო...

რუსთან და სულგაყიდულ ქართველებთან ბრძოლას შევეწირებითო, სტუდენტთა ერთმა ჯგუფმა... მახსოვს, ესენიც ააორთქლეს თბილისიდან, სატვირთო მატარებლის ერთ ვაგონში შე-ყარეს და... მეც მომიკაკუნეს ღამით, მარა კოჭლ-ხეიბარს მისი გაჭირვება ეყოფაო და წავიდნენ...

...ნამეტურ ერთი შაოსანი ქალბატონის სახე ჩამეფესვა ტვინში, შვილიშვილის სურათს რომ ეფე-რებოდა, ეჩურჩულებოდა, მკერდში იხუტებდა, თვალებში ჩაჰყურებდა, რუს სამხედროს ევედრე-ბოდა: ბადიშს მის სიცოცხლეში ქუდი ვერ ვუყიდე და უქუდოდ ნუ დამისაფლავებთო!.. ნათქვამი რომ გადაუთარგმნეს, სამხედრომ: „ლადნა, პუსტ შაპკუ პრინესიოტო“...

...ერთმა სოფლელმა დედამ შვილს თმა შეაჭრა, ჩანთაში ჩაიდო, შეტრიალდა და წავიდა, იმ დღი-დან დამუნჯდა, ხმა აღარ გაუღიაო...

ორი წლისთავზე ბიჭები პეტრე-პავლეს სასაფლაოზე ავედით... ვიღაცას ერთ-ერთ საფლავის ქვაზე დაეწერა: „უსამართლოდ დაღუპული“... ის ქვაც ამოთხარეს და დაფშვნეს...

...ნიაზ, ახლა ერთი თხოვნა უნდა შემოგბედო, შენ მოგეცა დიდი დღე, ხათრს ნუ გამიტეხ, სანამ ეს დაკრუნჩხული ტანი გამციებია, ეს ძირში მოსაჭრელი ფეხები გამშეშებია, ეს თვალები საბო-ლოოდ დამვსებია, ჩამიყვანე თბილისში, იმ საცრემლო ალაგებზე მიმიყვანე და მერე თუნდაც სუ-ლგამძვრალი ჩამოგიტანივარ!

...მოხუცს მოვეხვიე, მხრები და ხელები დავუკოცნე, შევპირდი, წაგიყვან და წამოგიყვან-მეთქი...

სახეზე ღიმილი დაეფინა...

* * *

სოფელში მიმავალს, ნაგომარში, დაფეთებული მეზობელი მივარდა:

– ვაჩე ძია, ნუ ამოხვალ სოფელში, მოშორდი აქაურობას, წადი, გაქრი, გადაიკარგე, დაჭერა უნდათ შენი!

– ღვთის ძალას ვენაცვალე, რატომო, რა თქვეს?

– თუნდაც მაგისთვის, სულ ღმერთს რომ ახსენებ, ხომ იცი, ესენი ღმერთს არ წყალობენ, შენ კიდევ წარამარა ღმერთი, ღმერთიო!

– რახან გადაწყვიტეს, რაკი განწირული ვარ, რა მნიშვნელობა აქვს როდის დამიჭერენ, ცოლ-შვილს მაინც დავემშვიდობები. პატიოსან და მართალ კაცს თავში უჩაკუნებენ, სულს გვხდიან, ტყავს გვაძრობენ, წელში გვწყვეტენ და აღარც ღმერთი ახსენოთო, ნამუსგარეცხილები, უსინდისო

ნაძირლები!!! – მხრები აუცახცახდა, სული ყელში მიებჯინა, თვალიდან ცრემლმა გამოჟონა, თავ-ჩაღუნულმა გააგრძელა გზა...

ვაჩემ ჯერ მეუღლეს ეამბორა შუბლზე, მაშომ სახე მდუღარე ცრემლებით დაუსველა, შემდეგ აკვანთან მივიდა და ბაკურს ნამძინარევი თვალები დაუკოცნა, სიტყვა ყელში გაეჩხირა, ნაკვერცხლებად ქცეული თვალებით მაშოს მიაჭყირდა და ძლივს ამოსთქვა:

– მაშო, რაცხა თვალი და გული კარგს არ მეუბნება, ამ საღამოს სოფლის ორღობეში რომ მოვდიოდი, ყველა თვალს მარიდებდა, სულიერი არ შემხმიანებია, გეგონება ხოლერა მჭირს. იცოდე, ივარგო უნდა, მაღლა ღმერთია და დაბლა შენ, შენ ხარ ჩემი ჭირისუფალი, ეს კიდევ, – აკვანს გადახედა, – ნუგეში და სიცოცხლის გამგრძელებელი!..

თოფიანები ეზოში შეცვივდნენ, სახლის კარს დაეძგერნენ, შეანგრიეს და დერეფანში აყვირდნენ, ხელები შეუკარითო! ვაჩეს ხმამ ყველა გააშეშა:

– ძაღლიშვილებო, ეს ხელყუმბარა ჩიტების სახოცად კი არ მაქვს გამზადებული, იცოდეთ, თქვენი დღის სინათლეც ბეწვზე ჰკიდია და აგერ მაჯაზე მაქვს დახვეული. არ გაბედოთ ოთახში შემოსვლა, თვარა წამში მზეს დაგიბნელებთ! ქალ-ბაღანა არ შემიშინოთ, გამოვალ ახლა მე დერეფანში, სახლს რომ მოვშორდები, მეზობლები რომ ვეღარ დამინახავენ, ხრამში გადავაგდებ ამას და მერე რაც გინდათ ის ქენით!

მკვდრისფერი დაედოთ კბილებდალესილ თოფიანებს, დაბნეულები და ენაჩავარდნილები ერთმანეთს შეაჩერდნენ...

ვაჩემ ხელყუმბარიანი ხელი მაღლა აღმართა, მეორე ხელით კარის სარაზავი გადასწია, დერეფანში გავიდა და ჯარისკაცებს ანიშნა, წავედითო...

...უკივლია მაშოს, მიწას დავფხოჭნი და სამართალს ვიპოვიო!..

...იმ ღამით მაშოს წკვარამივით შავი თმა გათეთრებია...

მიდის სოფლის ორღობეში გულგადალეული და გულგაგლეჯილი ვაჩე...

თოფიანები სიძულვილით სავსე თვალებით მიჰყვებიან...

გული უდუღდა შეშინებულ, ფარდას ამოფარებულ, თვალებადქცეულ სოფელს...

– ბიჭებო, ცოტა შევისვენოთ, ხელი დამეღალა, არ ამიფეთქდეს აი დასაწვავი და იმ დუნიას თქვენც არ წაგიმძღვანიოთ! განა გასაჟუჟები ხართ თქვენი წუნკალი სული ვატირე, მარა თქვენი შვილები მეცოდება, იმათ რა დამიშავეს! ვიცი ცოდვას ვამბობ, მარა ახლა საკუთარი თავის ჩამოხრჩობა მესურვილება ჩემივე ხელით, ანდა შუბლის გახვრეტა. სულაც, თქვენს დატენილ თოფს მივუშვერ ამ ჩემს გულ-მკერდს, მარა მაინც არა, თქვენი ხელით სიკვდილს, ისევ ხრამში, უფსკრულში და უსასრულეთში ამოვიწვა ჯობია! ვიცი, ახლა გულში ამბობთ, რა ვქნათ, ასეთია ჩვენი სამსახური, უფროსობა რასაც გვიბრძანებს უნდა ავასრულოთო. თქვენ, მუცლის ამოყორვისთვის საკუთარ სინდისსაც შეაფურთხებთ! თქვენნაირად მოფიქრალებმა დაუბნელეს მზენათელი მემედ აბაშიძეს, ქაქუცას, მიხა ხელაშვილს! თქვენთან საუბარს რა აზრი აქვს! ჩვენი საქმე იცით როდის წახდა? როცა მიმოვწარწალდით, გურიის მთავარი თავისთვის მეფობდა, რაჭის ერისთავი ცალკე ირჯებოდა, სამეგრელოს პატრონი ცალკე, სვანეთის მთავარი კოშკში შეიკლიტა, აჭარა-ტაო-კლარჯეთი თურქმა ამოიჩარა იღლიაში, ქართლ-კახეთი-იმერეთი ავად უმზერდნენ ერთმანეთს, ახლა კიდევ გაჰკივით: ხელმწიფე არ გვინდა, ღმერთი არ გვინდა, მიწა არ გვინდაო!

...აბა, ჰე, მოემზადეთ, ხელყუმბარას ხრამიღელეში ვაგდებ!

ამის თქმა და აფეთქების ხმა გაისმა... ჯარისკაცებმა იმ წამსვე კონდახები მოიმარჯვეს და ვაჩეს მისცვივდნენ, მაგრამ ვაჩეს ხმამ ისევ გააშეშა:

– მეორეც მაქვს, ველურებო!

დაწინაურებულმა ჯარისკაცმა იფიქრა, სანამ ხელყუმბარას გახსნის, ამას მივასორომგორომებო და ხელი მოუქნია, ვაჩემ ჩაკუზვა მოასწრო, ჯარისკაცმა თავი ვეღარ შეიმაგრა და ფლატეზე დაგორდა...

სიმწრით ამოიღმუვლა ვაჩემ:

– ოჯახქორებო, ხომ გითხარით, თქვენი ხელით სიკვდილი არ მიწერია-მეთქი!

...ხელყუმბარა გულთან მიიდო და... კლდიდან გადაფრინდა...

სანთლის ალივით წმინდა, თავშიშველი და ფეხტიტველი მაშო ხრამიღელესკენ მირბოდა, უკან გულყვითელა ჩიტები და ფრთებჭრელა პეპლები მიჰყვებოდნენ...

ქოხში აკვანში ჩაკრული ბაკური ჩხაოდა...

ვლასი

– როგორ ხარ, ვლასი, ჩემთან მობლაცუნობ?

– მივბლაცუნობ სიბერისკენ, შენთან მოვდივარ.

– რა გაგჭირვებია? ფილოსოფოსობა არ დამიწყო, პირდაპირ საქმეზე გადადი.

– შენ, ბიჭო, გულის ნაცვლად ე, იმ ყორის ქვა ხომ არ გიდევს, რას ისვრი აუწონავ სიტყვებს? მოზვერი მყავს დასაკოდი და იმიზა მევედი! ვიფიქრე, წიგნის კაცია, ლექსს, შაირს, ანდაზას მეტყვის, სულის საზრდოს მიწილადებს-მეთქი.

– ვლასი, გეტყობა, სიბერეში ხუმრობის ჭანჭიკი მოგეშალა, მოდი, დაჯექი, შენი ჭკუის და მუხლების ჭირიმე!

ვლასი...

დილიდან საღამომდე მუშაობდა, მიწას აკვდებოდა...

კარგამოკეტილი მეზობლების შემომპალ ღობეებს მესარს უცვლიდა, ბაღჩა-ბოსტანს ჭინჭრისგან და ეკალ-ბარდისგან ასუფთავებდა...

ჯეელობისას ისეთი ღონე ჰქონებია, ბუღა მოუღუნავს წელში...

ბოლშევიკები ეკლესიებს რომ დაერივივნენ, ამას ჩუმად ხატები, სანთლები, შანდლები, მოციქულთა სახეები მოუპარავს და სახლის ქვეშ დაუფლავს, „ისევ აყვავილდება რწმენის“ იმედად...

სანამ ბოლომდე არ ჩაიკითხავდა, წიგნს ხელიდან ვერ გამოგლეჯდი, ერთხელ, მეც მომემარილა: შენს ლიტერატურულ გმირებს ცოცხლებივით დავსტირიო!..

შური რა ხილია არ იცის, მაგრამ ერთხელ მაინც შეშურდა: ე, იმ მერცხლის მშურს, აფრინდება და ცაშია, დაფრინდება და მიწაზეო...

ცარიელი გულია, ყინულიდან სითბოს რომ გამოწურავს ისეთი...

მისი ნათქვამები ახლაც მიმომდევს:

კი მოგვატყუეს ქართველები ბერძნებმა და ოქროს საწმისი კი წაიღეს, მარა მაინც კაი იქნა, ბოლოს თათარი ან რუსი წაიღებდაო...

ოქროს თევზს ერთი გოდორი პურის კაკალი მირჩევნია, მეზობელს ხელს წამოვუკრავო...

მაი იმფერი ვინმეა, გამჩენელს სამოთხეში უკანა ღრიჩოდან შეეპარებაო...

ქართული მიწა, შვილო, ღვინოსა და ოფლშია მოზელილიო...

ტყუილის გარეშე სიცოცხლე არც ყოფილა და არც იქნებაო...

...შუადღემდე ხეჭეჭურის ქვეშ ვიჯექით ვლასი და მე. რა არ ვთქვით და ვისზე არ ვთქვით, ვის არ ვეგურგურეთ და ვის არ ვაგინეთ!

წამოდგა ნელ-ნელა:

– წამოი ახლა ჩემთან, თვარა კარგად მოგეხსენება, რა მისამართიანი და დამარცვლითი გინება ვიცი! წამოი, გამაძღე შენთან ჭუჭუნით, თან იმფერი ცოლიკაური მაქვს სულელს ჭკუაში რომ ჩააგდებს, კაკრაზ ჩვენზაა...

მზე სიცილისგან სხივებად იღვრებოდა...

რა შავქვად მინდა წიგნი?!

– ბოლო-ბოლო როგორ მოგმართო, გელოდი გქვია, ველოდი თუ არველოდი?

– მშობლები – გელოდიო, ნათესავ-მეზობლები – ველოდიო, „მეტრიკაში“ არველოდი მიწერია. სამივეზე მოგიბრუნდები და მოგისმენ.

– ჩემი წიგნები მოგიტანე, არველოდ ბაბუ.

სახეზე სინათლემოფენილი მომემარილა:

– იცი შენ, წერა-კითხვა არ ვიცი, ვერც ფულს ვცნობ. ისეთი ჟამი იდგა, ისეთ დროს მომიწია ფრთების აქნევა, სწავლისთვის ვის ეცალა? თურქი რომ წაშავდა და რუსი შემოშავდა, მაშინ ავიდგი ფეხი. ყელზე ძაფზე ასხმული, ხისგან გამოჩორკნილი ქართული ასოები მეკიდა, მარა... ცოტა რომ წამოვიზარდე, იმდენს ვმუშაობდი, ჩემი კისრის ოფლი ლამის წვიმად იქცა... დავრჩი ასე უწიგნო-უსწავლელი...

...ასე მგონია, დედომიწაზე ყველაზე დიდი მგოსანი ჩვენებური შოთაა რუსთაველი. ჩვენებურიო, იმიტომ ვამბობ, რომ მისი და ჩემი ენა თითქმის ერთნაირია, ჩემიანია, ერთნაირად ვჟღურტულებთ... უსწავლელი ვარ, მარა მეც შოთასავით თანასწორობას, ხელის შეშველებას, უფროს-უმცროსობას, სტუმარ-მასპინძლობას, მეგობრობას, სიყვარულს, კაი სიტყვას და კაი საქმეს ვიხვეწები! წიგნი არ ვიცი, მის კითხვაში თავი არ დამიხრჩვია, მითხარ ერთი, რა შავქვად მინდა წიგნი?! უწიგნოდაც ვიცი ცოდვა-მადლი, როდის გაწვიმდება და როდის მზე გამოანათებს, როდის დავხნა, როდის დავთესო, როდის გავთოხნო, როდის გავმარგლო, როდის ჭიგო დავუსო, როდის ავდგე, როდის დავიძინო, როდის გავიცინო, როდის ვიტირო, როდის მხარში ამოვუდგე, როდის გავეცალო, ვიცი რომელი ბალახი და ფოთოლი რა სენს არჩენს, სახლი, ეზო-კარი, ბაღჩა-ბოსტანი, ყანა, ჭალა, სოფელი და ქვეყანა სუფთა და დაწკრიალებული, სიყვარულით სავსე რომ უნდა მქონდეს, მაგას წიგნი უნდა?! მუქთა და უდარდელი პური რომ არ იჭმევა, წიგნმა მასწავლა?! წიგნიერია და დღემუდამ ვინცხა კანტის ფრაზები აკერია პირზე მიღმა ბუხუტის, მარა მთელი დღე გზაკვალარეულივით დაბორიალობს, დღეში სამ ურემ სიაბდლე-შტერობას ამბობს, სიცილსა და ლაზღანდარობაში აღამებს...

...ნახევარი დედამიწა სისხლის ნიაღვრით რომაა მორწყული, წიგნიერების მიერ ხომ არ არის ეგ ნაქნარი?! წიგნიერები რატომ ვერ აჩერებენ?!

წიგნიერთა სხვა უსირცხვილობებს რა ჩამოთვლის?! ღვთის გულისთვის, მითხარ ერთი, შემთხვევით, წიგნიერთა ბრძანებით ხომ არ ფრეწენ ადამიანები ერთმანეთის ტყავს? მაგენის ბრძანებით ხომ არ ბომბავენ მძინარე ბავშვებს?! მე მაგას ქრისტე ღმერთმაც რომ მთხოვოს, ვერ ვიზამ!!!

რა შავქვად მინდა მასეთი წიგნი?!

ნაკითხი, წიგნიერი კაცი რომ სხვის ქუსლქვეშ ხოხავს, რა ჰქვია მაგას?!

ღმერთი რომ არ სწამს და მაინც პირჯვარს იწერს, რა ჰქვია მაგას?!

უღმერთო ლენინის წიგნები რომ აქვთ ნაკითხი და სწავლულებად მოაქვთ თავი, რა ჰქვია მაგას?!

რა შავქვად მინდა მაგფერი წიგნი?!

კედლის მოსართავად ლამაზყდიანი წიგნები რომ ულაგიათ და შიგ არ იხედებიან, რა შავქვად მინდა მასეთი წიგნი?! მაგფერ წიგნიანებს იგერ ჩალის ზვინი არ სჯობს, რაცხა დანიშნულება მაინც აქვს... გულალალი კაცის ხელშია წიგნი კაი, თვარა, უჟმური კაცის ხელში წიგნი ბოროტებად იქცევა! მაგფერი კაცის ტვინის და სულის წყობას ვინ გაიგებს?! სულ არ იცოდა გლეხმა წერა-კითხვა, მარა ვერ შექმნა შედევრები?! ხალხური ჰქვია ახლა ამ შედევრებს. გამოდგებოდა ვინმე შარაზე, შენ ჩემი ბატონი ხარ, გადმოაფრქვევდა ჰაერში ალალ ლექსს, მოისმენდა ერთი, მეორე, მესამე, მეათასე... სხვა ვინმე დაავლებდა ხელს ფანდურს, სალამურს, დოლს, გუდა სტვირს და აამღერებდა, აასიარულებდა, თაობიდან თაობას გადასცემდა... ხომ არ მიბრაზდები, ნიაზო, ამდენი რომ ვიქაქანე?

– როგორ გეკადრებათ, არველოდ ბაბუ, გულის კაცი ხართ და პირშაქრიანი. სანამ წავალ, მაგრად უნდა ჩაგეხუტოთ!

გულზე მოხვდა მოხუცს ჩემი ნათქვამი, სახე სიცხიანივით აუელვარდა:

– შენ გადაშენდი საცხა, შე ძაღლთაპირო, რაფერი ხუმრობა იცი ხანჯერ! ხეირიანად არ დამინახიხარ და მიდიხარ?! ხომ არ გინდა მაგ ცხვირპირი ჩაგიმსხვრიო, ადამიანიშვილი არ ხარ?! – მეზობლის ბიჭებს გასძახა: – ამის გამშვების ჭკუაც ვატირე მე, მოით, ბიჭებო, გამაკოჭიეთ, შემაგდებინეთ სახლში და იბღანკალოს რამდენიც უნდა!

– კაი, ვრჩები, არველოდ ბაბუ!

თვალებში ციმციმი ჩაუდგა: – ბიჭო, მივალო, რაფერ მითხარ? ჰა და ჰა, სიკვდილის პირში ვარ მიცემული, მერე გული არ გეტკინებოდა?

– ჯერ რაის სიკვდილია, რომელ სიკვდილზე მელაპარაკები?

– რომელზე და კარს უკან რომ მიცდის, იმაზე, ეგეც უწიგნოდ ვიცი! წამო სახლში მივიდეთ და თუ გინდა, შენს ბედ-იღბალს ხელის გულზე გადაგიშლი, ჰე, გამოადგი ფეხი!

ნელა, ზლაზვნით, ბანცალით, მაგრამ გამხნევებული წამიძღვა სახლისკენ...

გულბაათი

(ნამდვილი ამბავი)

ნელ-ნელა მიბორძიკობდა, გეგონებოდა ფეხებზე წისქვილის ქვები აქვს მიბმულიო, ჭუჭყიანი ხელები წვიმის წყლით დაისრისა...

– რას ჰგავხარ, ბიჭო, სულ გალიგვულხარ, ხელები გაგყინვია, ამოდი სახლში, მოთბი, სა გეჩქარება?

გულბაათმა ლატავრას სახლისკენ გადაუხვია, შეგაწუხეთ, ცოტას გავთბები და წავალო, ნაღველშეპარული ხმით უთხრა მასპინძელს...

აივანზე მომდგარმა ლატავრამ სახე მიატრიალა, ცრემლები ჩუმად ჩაყლაპა... „ეჰ, რა მხიარული ბიჭი იყო! სიკვდილმა შავი ფეხი რომ შედგა მაგათ სახლში, იმ დღიდან დარდ-სატკივარმა დააძაბუნა და გაანახევრა საწყალი“, – გაიფიქრა გულში, ქვასანაყი ისევ ააჩაკუნა, თან გულბაათს გაუწყრა:

– რას ჩამოგიფაფრავს წარბები, გასწორდი წელში, მხარჩამოვარდნილივით ნუ ხარ, შემო სახლში, შენისთანა ღვთისდარი ვინ მესტუმრება? მეც შენსავით მარტოხელა ვარ, შვილო, მარა რა ვქნა, მოვისწრაფო სიცოცხლე? ბევრჯერ მითქვამს, ღმერთო, ბარემ მომკალ და ჩამასვენე მიწაში-მეთქი, მარა კი ხედავ, კიდევ დავღოღიალობ!

ბუხარში ცეცხლი გურგურებდა...

სულგრძელი და ბედს შეურიგებელი ბიჭის სახელით მიმოდიოდა სოფელში გულბაათი, მთელი დღე წაკუზული თავის, უფრო მეზობლების მიწას უბაყუნებდა თოხს, ხან ახოში კუნძებს გლეჯდა, ოფლს იდაყვით იხოცავდა, დახეთქილ ხელებს შერუჯულ კისერზე ისვამდა...

სახელდახელო სუფრა გაშალა ლატავრამ – ცოტა მჭადი, ცოტა ყველი, თოთო კვერცხი, ჭიქით ჭაჭის არაყი...

– საით გაგიწევია, გულბაათ?

– ყინულს წისქვილის ღარა დაუგუბებია და დავამსხვრიო უნდა.

– რავა ყველას ვარამი, ნაღველი და დარდი შენი სანაღვლოა, ბიჭო! გასულ კვირას, ღამით, ეკლესიასთან რა გინდოდა? ფრთხილად იყავ, შვილო, ქვეყანა გადაბრუნდა, ვინმემ არ გიხიმანოს და ციმბირი უკან არ დაგატოვებინოს, ხომ იცი, არ შეიძლება ეკლესიაში შესვლა! ღმერთი თუ გწამს, სახლში ილოცე, ბეღელში, ნალიაში, ბოსელში ილოცე, სულაც გულში ილოცე ჩემსავით...

– ხანდახან უკანა სარკმლიდან ვძვრები, ლატავრა დეიდა და ნახანძრალ, გადამწვარ, შავად შებოლილ კედლებს, გამურულ ხატებს ვწმენდ. – ამოიგმინა გულდანისლულმა გულბაათმა და ჭიქა გადაჰკრა, ჭაჭამ ძარღვებში დაურბინა, ნელ-ნელა წამოდგა.

– გულბაათ, აგერ სიმინდი, ჩადი ახლა ეზოში, აჩვენე მამალს, ახლოს მოვა თუ არა, წაავლე კისერში ხელი!

გულბაათმა აფათქუნებული, თავმოგიჟიანებული მამალი იღლიაში ამოიჩარა, კიბესთან მივიდა და ლატავრას გაუწოდა.

– მაი მამალი უბრალო არ გეგონოს, შვილო, მაგის სილამაზის გამო მეზობლები ქათმებს ჩემსკენ დენიან, კაი გამწვდომი ხმაც აქვს, წეიყვანე, შენია მაგი, გაყიდე, ოღონდ იაფად არ გაყიდო, ჩამოუთვალე მუშტარს მაგის ღირსებები! ნუ მიყურებ მაგფერი საწყალი თვალებით!

– ლატავრა დეიდა, მე... – რაღაცის თქმა უნდოდა გულბაათს.

– არ უნდა ახლა ბევრი ლაილაი, ხვალ-ზეგ ქალაქს წადი, შენ იმფერი ნაკითხი ხარ, ყველა უმაღლესში გაგიღებენ კარებს! – ბუჩქა ქოჩორი და ნათელი შუბლი დაუკოცნა გულბაათს.

– მე... მე... ქალაქში როგორ, ლატავრა დეიდა?

– როგორ და ლამაზად, ჩემი დის ოჯახში იცხოვრებ, დაგბანს, დაგვარცხნის, გაჭმევს, წიგნს გიყიდის და რვეულს, ისწავლი, დაამთავრებ უმაღლესს და შენზე კაი მასწავლებელი არ იქნება დუნიაზე! მემრე პროფესორიც გახდე იქნება და აკადემიკოსიც. წადი ახლა, რავარც გითხარი, ისე მოიქეცი, სოფლის გზა არ დაგავიწყდეს, იცოდე, თვალები შენ უნდა დამიხუჭო, სხვა არავინ არ მყავს მე! თან გაღმა გოგოსაც პატრონობა უნდა, ისეთი პირი უჩანს, მალე დამწიფდება ეგ გასახარებელი, კაი გოგოა, ტანალორთქილი, თავაწეული გატარებს, გულის დუღილს დაგიამებს! დღეის ამას იქით პირი საითაც ქნა, უფალი შეგეწიოს!

კვირის ბოლოს ნაფიქრ და ნაოცნებარ გზას დაადგა გულბაათი...

იმ დღიდან მისი საქმე წაღმართიანად წავიდა...



რეზო თეგზიძე

* * *

ახლა არავინ არ ფიქრობს ჩემზე,
არავინ მოდის ჩემთან იათი,
არ დაიფიცებს არავინ ჩემს მზეს,
სუყველა ხარობს თავის ჭიათი.

ნუთუ ვერვის და ვერაფერს ვშვენი,
უთანაგრძნობო და ულაიქო,
შეძახილი კი მაფხიზლებს შენი:
– რა გემართება, ბიჭო, რა იყო?!

ჯერ სანუგეშოს ვერაფერს ვიტყვი,
მაგრამ კი ვეტყვი ეშმასტორიანს:
– ეს ცრემლის წვეთი თუ წვეთის რიტმი
ცხრაბალიანი ტალღის ტოლია!

სულაც არ მიკვირს, თუ ჩემზე გითხრეს,
რომ ყოფნით ყოფას ვანაგვიანებ,
მოდი და ჩემსას სისხლძარღვებს ჰკითხე
მტკვარჭოროხრიონარაგვიანებს.

* * *

ლექსს, მავანთაგან, ლიბრი გადაეკრა,
თვალგაბრწყინებული კაშკაშებს ვერლიბრი,
ვერლიბრით ვერ ეგების
„ხელი ხმალს იკარ(!)“ და
ვერც „შეიბ მახვილი!
მახვილი შეიბი!“

ვერლიბრით
შეიძლება ერთმანეთს დავუკოცნოთ
რაც კი გვაქვს:
ყოველი ასო თუ უბანი,
კატრენ-ტერცეტივით
ვერ დაგვინთებს კოცონს,
ვერ გაგვხდის მამულის
ტარიგ-ყურბანივით.

ვერლიბრით
შეიძლება პაემანზე წახვიდეთ,
ვერლიბრის
შეიმოსო ტყავკაბა-შლეიფით,
მაინც სხვა გემო აქვს
კატრენის შეძახილს:
– შეიბ მახვილი!
მახვილი შეიბი!

ვერლიბრით
თუმცა მეც კი ვიკოცნები,
მე – უფრო მლოცველი,
ნაკლებად – ლოცვილი,
შემმოსეთ,
შემმუსრეთ ანათემის კოცონებით
პოეზიაში ცოდვილ-მოცლილი!

* * *

ათიათასობით მოწვიმს საფიქრალი,
თავი მისცემია ფიქრს და საგონებელს,
მეათასედ, ხვნეშით, თუნდაც ქვა ფიქალი
ააქვთ მწვერვალზე და ისევ აგორებენ.

ვინ იცის, მერამდენედ, ვითომ გახაჭული
გგონია კამათელი ნებისად გაგორდება,
მაინც მეტოქეა მუდამ გაყაჭული,
გულის მოსაოხად რა არ გაგონდება!

დიახ, გაგთიშავენ და გიბატონებენ,
სანამ ბურიდანის შენ ხარ სახედარი,
ჰოდა გენატრება ზოგჯერ ჭკუა ბატის

შენგან უფსკრულებში
მტრების ჩამხვეტავი.

– ჭკვიანი ჭაბუკი უშნოდ მიბერდები! –
სანთლის ცრემლებით ტირიან იმედები.

* * *

არა, გასაკვირი არ იქნება,
თავი გაყავი თუ შარში,
სჩვევია დუშმანთან გარიგება,
საშენოდ არ გორდება დუშაში.

ყურებს არ უნდათ გაგონება,
არდასანახი თვალისთვის:
რა უნდა დუ-იაქეს გაგორებას,
ოხერი გორდება თავისით!

გჯეროდეს

არცთუ საეჭვოდ შეიმღვრა ფერი,
წაიქცა აზრი, გახუნდა სიტყვა,
შენი თვალების ოვალს ცაფენილს
სევდა-ნაღველი უყვავის ტიტრად.

წამწამს ნოტიო ნისლების თქორი
მოუსხამს. შუა გიპობს თუ გიხსნის
გულს შუბი გამოტყორცნილი შორით –
დღისით და ღამით, ცხადში თუ სიზმრით.

ქუხს კი მოყმისა და ვეფხვის ლექსად
ჯიში, საფლავში დუშმანს რომ ზარავს,
ეს მაშინ, როცა შემყურეს ჩვენსას
აეტირება მტკვარსა და არაგვს.

შხამი (საშველად...) ბევრი აქვს მყობადს,
გვეყოფა წვეთი, სულ ერთი წვეთი,
და სწორედ ამ დროს შენგან:
– ამ ყოფას,
გჯეროდეს,
ერთხელ დავუსვამთ წერტილს.

უთოვლო ზამთარი

აქ რომ მყავდეს, სიხარულით ვიყვირებდი,
გარჩენილი ლეგენდად თუ მითად
სევდაშეღვრილი ღიმილებით
ობოლივით იყურება მთიდან.

ღვთის ხატები ადრე არ ვიშლიდით
ერთმანეთის სიყვარულ-შეყვარებას...
თოვლის უცოდველი ქალიშვილი
ამ ბოლოს ახლოს აღარ გვეკარება.

ცოდვის კარმიდამო არ ისურვა,
(ვიჩივლოთ ჩვენ და ჩვენდარებმა!),
ოცნების ქვეყანაში გახიზნულა
თოვლზე თოვლისფერი ნეტარება.

ბაგე შეფიფქულა თრთოლვით,
აქამდე ისედაც ვუძელ ბევრი,
ძნელია სიარული თოვლის
ქალწულზე ჯვარდაუწერელი.

იქნება მოხდეს სასწაული,
თოვლმა გაგვიწვიოს საგუნდაოდ,
თოვლის ქალი
სიყვარულს გვასწავლის და
მე და შენ შეგვარიგებს სამუდამოდ.

გალაკტიონი

რიონი საქართველოს ნიჭია,
რიონთან ერთი სოფელია
(დამახსოვრება იოლია),
სოფელში ერთი ბიჭია,
ის ბიჭი გალაკტიონია.

განგებამ მუზასთან აქორწინა,
მზითვად ლექსები მოჰყოლია,
ადიდდა და ნაპირებს გადმოსცილდა,
კბილი გაუსინჯეთ როგორია!

– მგოსნად ვისგანაა ნაკურთხი? –
დრონი არ ასვენებენ თაობებს,
მოდგნენ და ათას 905
და 917-ც კი დაობენ.

– რიონის მირონით მოვნათლულვართ! –
ტიციანს უქებს ჯიშსა და წონას, –
ქართველი ვინმეს მონა თუა,
დარჩებაო საქართველოს მონად.

პოეტები ჩუმი განგაშით ჩაივლიან,
განგაშით, კრძალულით და მწველით:
– მის მუხლებთან დაცემა ადვილია,
მისგან გაქცევაა ძნელი.

მის წილ დიდებას რომ წაეტანა,
კრძალვით გასუსულა გალაქტიკა,
ქარი ჩურჩულებს გამბედავი:
– გალაკტიონ,..
გალაკტიონ,..
გალაკტიონ...

აჯაფსანდალური

1
აქით ისმის, იქით ისმის
ეჭვად, შიშად, ძრწოლად:
– ეს ამისი, ის იმისი
ყურმოჭრილი მონა!

თვალსაჩინოდ, რუკასავით,
გადამიშლის ის მე,
დახეთქებულს რუქასავით
ყური რას არ ისმენს!

სულ მონებით დახუნძლულა
იბერიის ხე და
თვალი ისე დაუძლურდა,
ვეღარაფერს ხედავს.

შენ ესა ხარ, შენ ისა ხარ,
ის – ლაფი და ტლაპო,

ცრემლის ქვაბში მოსახარშო
შენ დაგვღუპავ, ღლაპო.

ჭკვაზე არცთუ აცენცქილი,
სულ მძებნელი ბეწვის,
ბოროტებით გაძეძგილი
ვითომ ბოროტს ებრძვის.

უფრო... აჯაფსანდალური...
ჩვენგან, ყოვლისშემძლე
დიდბატონი მზარეული
მოამზადებს კერძებს.

ეკა, კეკე, კაკო, მოსე,
კი გვექნება გემო,
კი გვექნება და გემოზეც
მიგვირთმევენ, ჩემო.

ყველაფერი ნათელია,
ჩემო, ყველაფერი,
საოცნებო გამთენიას
დაჰკარგვია ფერი.

2

კბენა-ღრენით შემომენთო
ძაღლია თუ პატრონძაღლი,
ცუდადა ვარ, დიდო ღმერთო,
და საშველად შენ გეძახი.

გიორგი ტუღუში

თესალონიკს

(სტუდენტობის ქალაქს)

თოვა რომ ჭირდა და მზეც არ იყო,
მენატრებოდა როცა ბათუმი,
მაინც მზიანო თესალონიკო,
შემომცქეროდი, როგორც ხანუმი.
ასლი ხარ მწველი კაპერნაუმის,
უძველესია შენი მშვენება,
ათასწლეულებს შევეუღლებით,
თუმცაღა ჯერაც გვეწარსულება.
თან იქვე დგახარ, სადაც იდექი,
ვერ ჩამოგახრჩო ბიწიერებამ,
ღამე მოისხი და ამეთვისტოს
წელზე გარტყია ქარი ეთერად.
არც ამიერი, არც იმიერი,
რაღაც სხვა ხარ და რაღაც ქალური
ფერავს შენს ქუჩებს, მე გეფერები,
შთამომავალი ქეთელაურის.
გეხები, მაგრამ ბურნისეულად,
ეს მონატრებაც ვეღარ ივსება
და მძიმე სუნთქვით-გახშირებულით
ჩემი სიზმარი ამოივსება.
შემოგეღალე, თესალონიკო,
უშენობა კი – გადაზედმეტდა,
მინდა გჯეროდეს, მკვდარიც რომ ვიყო,
გეამბორები ცხელ საფეთქელთან.
ო, ეს როტუნდა და თეთრი კოშკი,
ზღვას გადასცქერის მაკედონელი,
გავტიტანდებით მჩქეფარე დროში,
მაოხრებელთა მაოხრებელნი!

ისევ მიმიღებ დაუფიქრებლად,
მოვდივარ გმირი, უძღები შვილი,
დაგვიანებას ნუ თვლი ვენდეტად,
ქრისტეს წამება მქონდა მოსჯილი!
რაც კარგი იყო, მართლაც ხომ იყო,
მე – გადმოხვეწილს და შემოხიზნულს,
გადამიშალე გულ-მკერდი თბილი,
თესალონიკო, თესალონიკო!

ხავსისფერი აივნები

მომელანდა გაწაფული ჩემი ლანდი,
მაგრამ ვისგან, ვერ გავიგე ვერასგზით,
გადმომეცით ცეცხლოვანი – ძველი ლანდო,
აღარ მინდა ვიარსებო ხელდასმით.
ოკეანურ სიცისფრეში რომ დაგლანდო,
საცისფრეთი გაიპნევა ცახცახით,
არ დამტოვო, არც წუხილი გადმომადო,
არ დამზაფრო დიაცური დაზაფვრით.
მარად მყავდე სიზმარში და შორი-ახლო,
ვერ შემოგწვდე, თუმცა ყველგან გთანგავდე,
შესულება წარმოსახვით მოვიაზროთ,
ნეირონთა ილუზია გვფანტავდეს.
შემეხიდე ფარისევლურ წამებაში,
გულის ძგერა აღარასდროს გათავდეს,
დამეხმარე ციხე-კოშკთა აღებაში,
შემდეგ წადი, სულთა სული გფარავდეს!
ოკეანურ განდგომაში რომ გმინავდე,
შენი გული ჩემი გულით ფეთქავდეს,
სიმარტოვეს დანანებით მიგატოლე,
რომ გიღირდე, უსხეულოდ გხიბლავდე!
მომელანდე თეთრ მტევნებთან ცხელ ქვიშაში,
თეთრ სხეულით ყვითელ პეპლებს ათრობდი,
ზღვისპირეთის უსახელო ხეივანში,
ვერ გხედავდი, ამიტომაც გნატრობდი!
თუ მოვკვდები უშენობით, დავრჩე მეფედ,
ყველა კვდებით, მაგრამ დაშორებულნი
– პოეზიას უდაბნოში ავედევნეთ,
ვიბრძვით ასე, უერთურთოდ ქებულნი!
ფოტონივით უგზო-უკვლოდ რომ სცურავდე,
უშობელად რომ გალიო დღეები,
ჩემზე მეტად ოკეანე შეიყვარე,

სადაც ჰქრიან მარჯნის აიეტები!
მარიფათულ სიშორეში დავიგანგეთ,
ნისლეულში მოკანკალე შეგატყვე,
მომენატრა ხავსისფერი აივნები,
დაბრუნდი და მერე თუნდაც მევაჭრე!

აღარ მიტაცებს

გოდერძი ტოტოჩავას ხსოვნას

აღარ მიტაცებს დაისი, ზღვები,
არც აისი და ბინდში გაფანტვა,
შავი ხვრელივით რომ გადაქრები,
ახალ სამყაროდ მოვა დაზაფრვა.
რომელიც ძველის ალაგმვის ხმაა,
რომელიც ახალ სიცოცხლეს ელის,
მხურვალე სხივთა ალებარდაა,
ნასტყორცნი მაგნიტიური ველის.
ნაუდაბნოებს დაემზევები,
სხეულში იგრძნობ უწინდელ ჟრჟოლას,
ეს ჩვენი გრძნობის ამოფანტვაა,
რომ შევურიეთ უმჩატეს თოვას.
აზრთა მეეტლევ, უკვე აღარ ხარ,
მაგრამ აივსო სიკვდილი შენით,
უჰაერობამ ველარ გადაგთქვა,
ჩაგიყოლია პოეტურ ფრენით.
შენი სახლის წინ პარკს ისევ ათოვს,
ცივი სითეთრე იქცა აჩრდილად,
მე გამოვედი ამ დილით მარტო
და უბედობამ გაგვააჩრდილა.
აღარ მიტაცებს დაისი, ზღვები,
არც გრიგალი და ბინდში გაფანტვა,
რატომღაც მაინც მეიმედები,
დარჩი ბათუმის ურყევ გალავნად!

ვან გოგის სურათში

სიზმარში თავი მოვიკალი და ამოვფიგურდი
იქ, სადაც ვერასდროს წარმოვიდგენდი.
გამეღვიძა ვან გოგის ერთ-ერთი ლურჯყვითელი
ნახატის მწვანე ვარსკვლავზე და პირველად ვიგრძენი,

რომ მარტო არ ვარ,
რომ ირგვლივ არავინაა,
მაგრამ მაინც ვიღაც სუნთქავს,
რომ ჩემს საუფლოს,
წმინდა წერილივით შეთხზულს-ვერავინ წაშლის.
გენიოსის ფუნჯმა დამსაჯა და სასჯელად
მარადისობა მერგო, მარადიული ყოფნა,
თუმცა არ ვნანობ,
რადგან უსასრულოდ გაძლიერების
შესაძლებლობა მომეცა,
რაც საბოლოოდ ღმერთად მაქცევს.
აქ არ არსებობს მტრობა,
აქ არ არსებობს შერიგება,
აქ მხოლოდ მოუბეზრებელი ტკბობაა.
აქ სახლიდან ვერ გაიგონებთ
დაჩაგრული ქალის განწირულ კივილს,
გაბოროტებული კაცის ღრიალს და მშიერი ბავშვების მოთქმას.
როდესაც ჩემს კარმიდამოს იაფფასიანი
ფუნჯი თხზავდა, მის მამოძრავებელში არ იყო ღვარძლი,
არ იყო ბოღმა, არ იყო ანგარება და განდიდების მანია,
არამედ მხოლოდ ფუნჯის მოძრაობებით ტკბობის სურვილი,
მხოლოდ საკუთარი მუზების არგაზიარების დაუოკებელი წყურვილი.
და მე მუდამ ვიარსებებ ამ ლურჯყვითელ სურათში
და არასდროს გავქრები, როგორც ენოქი.

ობელისკივით

ნინო ზაქარიაძეს

შენ გაიარე მქრქალ სულში მარშით,
შლეგი მენავე აღარ დაგჭირდა
და სული ჩემი კლდესავით მყარი,
დაგემორჩილა, არ გაგიფრინდა.
ისევ წახვედი, დავრჩი უდაბნოდ,
კოიოტისფერ, უდაბურ დაბად,
გამაპოეტე ასე უზადოდ,
ველარაფერს ვგრძნობ ტკივილის გარდა.
რომ დაბრუნდები, მოგიწევს შთენა,
როცა სხეული იქცევა ნისლად,
ვნებები ღვაფად და აღმაფრენა
მოვიდეს თქეშად, მოვიდეს სისხლად.

და ამის შემდეგ თუ შეგიყვარე,
ავბრიალდები მოცისფრო ცეცხლად,
ნეტავ ვიცოდე, რატომ ნარნარებ,
რომ ერთად შეგვთხზან სრულყოფილ ლექსად?
მიმოგვფანტავენ არსად და ყველგან,
მაგრამ აღვდგებით ოსირისივით,
გადმომედები უძველეს სენად,
ჩვენ ასე ვიბრძვით-ღმერთი იცინის.
ეს სიყვარული დარჩება ქალაქს,
ეპოქალური, მძიმე ფილმივით,
რადგან გაცვეთილ სიყვარულს არ ჰგავს,
დარჩება ქალაქს ობელისკივით.

შენ ღიმილი ხარ

გიორგი ძინძიბაძის ხსოვნას

შენ ღიმილი ხარ უფლის, მისი ბოლო ღიმილი,
დასრულდები და დასრულდება ბედნიერება,
თუმც უმიზეზო გულის ფეთქვას აღარ მივსტირი,
დაე, წაშალოს ქარიშხალმა მეხსიერება.
შენ მოწყენა ხარ უფლის, მისი ბოლო მოწყენა,
გალაღდები და გაქარწყლდება ძრწოლა, კანკალი,
მე კი მომიწევს გაღმერთება ლაოკოონის,
რომ აღარ გვყავდეს მელექსეებს ქვეყნად ბადალი!
შენ დუმილი ხარ ზეცის, ხანაც მისი ხარხარი,
უკანასკნელი აღმაფრენა პოეტთა მოდგმის,
დასრულდები და გამეყრება გულში ხანჯალი,
დადგება ერა ბიბლიური არმაგედონის!
თუ ვერ შევმუსრეთ კარიბჭენი რომის, აშურის,
ნუღარ იდარდებ, არყოფნაა მარად იმედი,
სისხლი რომ გვიდუღს ონისესი, ქეთელაურის,
ვერ გაგვაკვირვებს ვერც მეხი და ვერც განიმედი!
შენ ღიმილი ხარ, ღმერთის ხასა, მისი მგმობელი,
მზით ნაწამები შუადღე ხარ, სიზმრად თანმდევი,
ძველის დანაცვრის, ახლის შობის მახარობელი,
უმზეობის და უძილობის რისხვით დამძლევი!
შენ ატილა ხარ, სავანების გმირი-მფარველი,
სიმამაცეა შენი სიბრძნე, ელვის მათრახი,
ვნებების შფოთვით და წუხილით გადამფარველი,
შენ ღიმილი ხარ, მონავარდე ცეცხლის ნაბადით!

არ მესმის

სანდრო ბერიძეს

არ მესმის, კაცმა თავი რატომ უნდა მოიკლა,
მთელი სიცოცხლე ხომ ნელ-ნელა თავის მოკვლაა,
მე ყოველ დილით მაინც ვუსმენ დედის სუნთქვას და
მამაჩემივით მამამაცებს ზაფხულის მოსვლა.
არ მესმის, კაცმა თავი რატომ უნდა მოიკლა,
მთელი სიცოცხლე ხომ წამებით თავის მოკვლაა,
თუ ეს წამებაც სწრაფად გინდა დაასრულო და
უნდა გაუწყო, წამებულო, მეორედ მოსვლა.
არ მესმის, კაცმა თავი რატომ უნდა მოიკლა,
მთელი სიცოცხლე ხომ ჭამა-სმით თავის მოკვლაა,
მაგრამ მაინც ვჭამ საშობაოდ ცხელ ღვეზელებს და
ცივი არაყიც გათოშილი სევდის მოსხვლაა!
არ მესმის, კაცმა თავი რატომ უნდა მოიკლა,
მთელი სიცოცხლე ხომ ფიქრებით თავის მოკვლაა,
მაგრამ მე ვიბრძვი, როგორც სული ჯოჯოხეთში და
ამ ფიქრებითაც მერამდენე თოვლი მოსულა!
არ მესმის, კაცმა თავი რატომ უნდა მოიკლა,
მთელი სიცოცხლე ხომ შუადღით თავის მოკვლაა,
მაგრამ მე მივალ ამ შუადღეს შენს საფლავთან და
კი არ ვიტირებ, ძალას მომცემ ბოლო მოჰიკანს!

14.06.2023

საბა ქვათაძე

აღსარება

მოგესალმები, მკითხველო, და ისიც არ ვიცი ვის მივესალმები, შეიძლება არც მოხვდეს ეს ციცქნა ხელნაწერი შენ ხელებში. დღეს კი უფრო სწორი იქნება, რომ ვთქვათ პლანშეტში, ლეპტოპში, პერსონალურ კომპიუტერში, ამაზონ ქინდლში და ასე გაგრძელდეს უსასრულოდ.

რა უცნაურია ადამიანი, სათაური მთელი რიგი ამპარტავნობით წავაწერე, ხომ წაიკითხე – აღსარება.

არა, კიდევ ერთხელ წაიკითხე – ა ღ ს ა რ ე ბ ა. ჰო, ასე ჰქვია.

ახლა იმაზე კი არ ვფიქრობ, რასაც გული მკარნახობს და ხელებიც მას ემორჩილებიან ის დავწერო მეთქი. არა, ეს რომ ვთქვა, წმინდა წყლის ტყუილი იქნება და ჩემი მეცადინეობაც, რომ როგორმე მაინც შევუსაბამო ნაწერი სათაურს, შენვე ჩათვლი, რომ ამაოა.

ჯერ მარტო იმას ვფიქრობდი, ამ ციცქნა ჩანახატს მკითხველი ჩემგან გამიზნულად თუ უნებლიეთ რომ შეხებოდა, რა უნდა ყოფილიყო ისეთი, რაც მის გულზე, ანუ შენს სიკვდილამდე გაუჩერებელ ძრავზე, ბულვარული რომანის საოცარი ქალწულივით რომ მოათათუნებდა თითებს.

ვინ სვამს აღსარების ჩაბარების დროს ყავას? – არც არავინ. მე კიდევ ვდგები, ონკანიდან წყალს ვუშვებ, გასახურებელ ჩაიდანს პირს ვუხსნი, ონკანიდან წამოსულ წყალს ამ ჩაიდანში ვუკრავ თავს, ჩაიდანს უკვე პირიც დავუკეტე, ვახრჩობ, ვადუღებ წყალს, აი, ფინჯანიც ვიპოვე როგორც იქნა, ორი ჩაის კოვზი ხსნადი ყავა, სამი ჩაის კოვზი შაქარი, მორევა, დედაჩემის ჩხუბი დიაბეტს დაიმართებო, ჰოდა, ყავას ვსვამ, კოფეინით გამძღარი კუჭიც მითბება და წერასაც ვაგრძელებ.

მერვე კლასში ვიყავი, ქუთაისში, ახალგაზრდობის პარკთან ახლოს მდებარე 31-ე საჯარო სკოლაში, რაც საერთოდაც არაა ასე გაწელვით წარდგენის ღირსი, რომ ერთი ნორმალური შესახედაობის, თავის ასაკთან შედარებით ბევრად უფრო მხარბეჭიანი ბიჭი ჩემს კლასში გადმოვიდა. წაბლისფერი თმა, მოზრდილი თავი, დიდი მოთაფლისფრო თვალები, მუქი ლურჯი ჯინსის შარვალი, დამტვერილი შავი ბოტასები და პრიალა შავი თხელი ქურთუკი. ასე დამხვდა. მერე გავიგე თავისი დაც გადმოსულა იმ წელს მასთან ერთად. ჰოდა, ორივე და-ძმას უკვე ამპარტავნულად შეეძლოთ ეთქვათ, რომ ჩემი საჯარო სკოლის მოსწავლეები იყვნენ.

იმ დღეს შემაგვიანდა. მიზეზი არ მახსოვს, დერეფანში ბიჭები მოვიდნენ. ახალი გადმოვიდაო თქვეს და არაფრის მთქმელი ღიმილი ედოთ უმეტყველო სახეებზე. მეც წელში გავიმართე, არადა მარტო მაშინ ვიმართებოდი, როცა კარგა გვარიანად შემომძახებდნენ სახლში, მხრებში გასწორდიო. რაო? – ახალიო? ჰოდა, ასე ბეჭებგაშლილი და აზნექილი შევედი საკლასო ოთახში. მაშინ უნდა გენახათ რა საოცარი ვიყავი.

ჯერ ჩემი კლასელების უმეტყველო, ღიმილიანი აზრნაკლული სახეები და მერე, მათ შორის, მე ვიყავი ყველაზე უმეტყველოც, ყველაზე ღიმილიანიც და ყველაზე აზრნაკლულიც. აზრნაკლულსაც იმიტომ ვწერ, რომ „უაზრო“, ცოტა არ იყოს, ბანალური მგონია.

აი, ასე ყოყლოჩინად დავდიოდი წინ და უკან. შუა რიგშიც დავჯექი. ახალი მესამე რიგში იჯდა. გაზუთხული გაკვეთილი ჩავაბარე. მომდევნო გასაზუთხი გაკვეთილი ამიხსნეს. 45 წუთი გავიდა. ზარის დასარეკად ბავშვი გაგზავნეს. ბავშვი ზარის დასარეკ ღილაკს ვერ წვდება. ოთახში მყოფები ეხმარებიან. ზარი დაირეკა. სიცილი. მივედი. წინ მიდგას. თვალებში ვუყურებ. დავცინი. მიყურებს. ილიმის. არ დამცინის. ღიმილი წრფელია. კითხვა.

– რა გქვია ბიჭო?

– ივანე.

– გვარი?

– გაბუნია.

მიღიმის.

– და მაგარი ხარ?

მიღიმის.

– შენ რა გქვია?

– ხელი ჩამომართვი ჯერ!

მიღიმის.

– როდის გადმოხვედი?

ვითომ არ ვიცი.

– დღეს

– მერე?

მიღიმის.

– რა გაცინებს?

– არაფერი.

მიღიმის.

ზარი ისევ დაირეკა. ყველა ფეხზე დგას და მეორე მასწავლებელს ლამის სამხედრო სალამს ვაძლევთ. დასხედით. დავსხედით.

ჩავაბარე კიდევ ერთი გაზუთხული გაკვეთილი. ისევ იგივე მეორდება, ოღონდ ახლა ცოტა მოზრდილი ბავშვი გაუშვეს ზარის დასარეკად და აღარ გაჭიანურებულა.

მოდის. მივდივარ. მიღიმის.

– რა გაცინებს-მეთქი, ბიჭო?

– არაფერი.

მიღიმის.

– გეკითხები, რა გაცინებს მეთქი?

როგორც მეგონა, რომ ისე ვღრიალებდი ტორში ისარგაყრილი დათვიც კი ვერ გამიტოლდებოდა და ჩემი შემხედვარე დარცხვენილი უკან თავის ბუნაგში გაძუნძულდებოდა. არადა, სად მქონდა მაშინ ხმის იოგები დაბოხებული.

მიღიმის. ხელს ვკრავ. ხელს მკრავს. ჰა, ლეწე! ვლეწე. მლეწა. გვაშველებენ. დამრიგებელი შემოდის.

არ მახსოვს რა გავიფიქრე, ალბათ, ვფიქრობდი, ახლა მშობლებს დაიბარებენ, მაქამდე კიდე არაფრის მომცემი ლექციები დაიწყება ჰუმანურობის ტრიუმფზე, სათნოების დღეგრძელობაზე, მაგრამ დედა რომ მოვა და უამბობენ ჩემს დღევანდელ გმირულ, საზოგადო მოღვაწეობის შესახებ, აი, მერე კი სიტყვა ჰუმანური აღარავის ემახსოვრება-მეთქი. ეგრე არ ყოფილა. დამრიგებელმა გამომხედა და ხმამაღალი ტონით მკითხა.

– შენ იცი ეგ ვისი შვილია?

– დირექტორის?

სიცილი.

– იცი-მეთქი ვისი შვილია?

– ვისი?

– შინდისის გმირებზე გაგიგია რამე?

– არა.

– შინდისის გმირის შვილია.

ლუღლუღი.

– გმირის შვილი თუა ჩვენს კლასში რა უნდა?

სიცილი.

გმირი – ამ ხუთი ცალი ასოსგან შემდგარმა სიტყვამ ჩემზე იმხელა გავლენა იქონია, პირველად ვიგრძენი, როგორ ჩამიხუტა სინდისმა გულში, წითელი ვიყავი, სულ წითელი. ვხედავდი არეულ სახეებს, ყველა იცინოდა, დამრიგებელიც. ივანეს გარდა, ივანე იდგა სამ რიგად დამწკრივებულ მერხებიდან მესამე, ბოლო რიგში, ძველ, დაჟანგულ გამათბობელთან, საღებავგადაფხეკილ მომწვანო კედელთან და დამტვერილ

ფანჯარასთან ახლოს. იდგა და ისევ მიღიმოდა. თავი დავხარე, ყოველ შემთხვევაში, ახლა მინდა, რომ მაშინ თავდახრილი ვყოფილიყავი ან ასე მახსოვდეს.

საკლასო ოთახი ცარიელი იყო, იქ არავინ ყოფილა ჩემი, ივანეს და ივანეს მამის, ილიას გარდა, ვიყავით მხოლოდ ჩვენ, ვიყავით და ვუღიმოდით ერთმანეთს ჩვენ სამნი.

დავახლოვდით მე და ივა. შემდეგ ისე მოხდა, მამაჩემი სამსახურიდან თბილისში გადავიდა, მეც წავედი, იქ გავაგრძელე სწავლა. დღეს აღარ მაქვს ივანესთან ურთიერთობა, მანძილი მაინც თავისას შვრება. შეიძლება გზაში რომ შემხვდეს ვერც მიცნოს, იფიქრებს, ჭკუამცდარია ასე გახარებული გამარჯობას რომ მეუბნებაო და გვერდიც ამიაროს. მაგრამ მე ვცნობ და ვიცნობ ყველგან.

1975 წელს ვანის რაიონის სოფელ ზედა გორაში დაიბადა ილია გაბუნია. სადღაც წამიკითხავს, მეუღლე, ქალბატონი თეა ოქროპირაშვილი, ივას დედა, ილიაზე ამბობდა, სულ შრომისმოყვარე იყო და არც ერთ საქმეს არ ითაკილებდაო. საქართველოს ისტორია უყვარდა, ქართველი მეფეების საგმირო საქმეებით ყოფილა გატაცებული. გმირის დედა ამბობს იმ დღეს ვნატრობ, როცა იმიერში გადავალ და ჩავეკონები ჩემს მოუსიყვარულებლად დაღუპულ შვილს, ილოსო.

2008 წლის 11 აგვისტოს, შინდისის ბიჭები მტერმა ალყაში მოაქცია. ვერ დაუღწევიათ რუსის წრისთვის თავი. მაშინ დაიღუპა. 17 აგვისტოს გადმოასვენეს პატრიარქის დახმარებით. დაკრძალეს ილია. დაკრძალეს და მიანიჭეს მედალი მხედრული მამაცობისთვის.

მის მერე ვფიქრობ, ვფიქრობ ასე ჩემთვის, მაინც რა უნდოდა, რატომ გადმოვიდა, გმირის შვილი თუა, რა უნდოდა ჩემს კლასში?..

ესეც აღსარება. ზემოთ რომ ვახსენე ტყუილია, ყავა არ დამილევია წერის დროს, მაგრამ ეგ არაფერი...

მე კი არა, თურმე ილიაც ატყუებდა ოჯახს გარდაცვალების დღეს, ახლა გორში ვარ, რა მინდა ომში, ერთ ბრძანებასღა დაველოდები და სამშვიდობოს გამოვალო.

ზმანება

დილაადრიან ამდგარმა კირილე კაიშაურმა მოქარგულ-მოჩუქურთმებული, კედელზე აკრული ქოფაჩი გადმოიღო და რუდუნებით წმენდდა.

ბრაზით ავსილი მამალიც ალმაცერად უცქერდა კაიშაურს, ვერაგმა ადგომა მომასწრო და შეიძლება თოფიც ჩემთვის გაამზადა საგულდაგულოდო. დაუბრუნდა თავის ადგილს ქოფაჩი, კირილე გაიწკიპ-გამოიკაზმა და მხრებში აზნექილ ულვაშ-აპრეხილი სახლს გარეთ გამოვიდა. კაიშაურს უცნაურად ეჩვენა არე-მარე, იგივეობის განცდა აღარ დარჩენია და არა იგივეობით შემცბარი ცალწარბაწეული გარემოს ფიქრიანად შეთვალიერებას მოჰყვა.

ერთიღა ის გაიფიქრა, ვაი, ჩემო თავო, ხევსურული ლუდი ამდენი არაფრის დიდებით უნდა შემეხვრიპაო და ასე მოზომილი ნაბიჯებით მოჰყვა სიარულს ბედისანაბარა. მტვერი მოსდებია კირილეს ჩოხას, შმაგივით ისუფთავებდა, რომ შუეწყვეტელი უცნაური ხმაური შემოესმა.

– წინ ვერ იყურები ბიჭო? რა შუა გზაზე მოდიხარ!

ჩვენთვის ადვილი მისახვედრია, რომ ეს უცნაური შეუწყვეტელი ხმაური ავტომობილის სიგნალი გახლდათ.

გახელებულმა კაიშაურმა არც აცია, არც აცხელა ჩოხის ქირუბიდან მასრის მოძიება დაიწყო და ქოფაჩიც შეჰყეფდა კირილეს რკინის მფარველი ანგელოზი სახლში რომ არ დარჩენოდა. ავტომობილის მძღოლმა მთელი ძალით სატერფულს ფეხი ჩააჭირა და ხედვის არედანაც უმალვე გაქრა. ეს ჩვენი ულვაშებაპრეხილი კაცი

საიდანაც მოვიდა, ისევ იმ მიმართულებით, დოღის ულაყივით გარბოდა თავქუდმოგლეჯილი, მაგრამ ვერც კაცობრიობამ გაიგო საით მიჰქროდა და არც თავად გახლდათ მთლად თავდაჯერებული.

აღარც სახლი აქვს ამ ჩვენ კაიშაურს, აღარც ქოფაჩი და აღარც მამალი. უმამლუსახლუქოფაჩო კირილე განუწყვეტლად მიაბოტებდა. როცა მისი ყურადღება თბილის ქალაქისთვის დამახასიათებელმა საზოგადოებრივმა აქტივობამ მიიპყრო. თბილისიო? დიახ დიახ, მართალი ბრძანდებით, კირილე კაიშაურმა, ამ სახელგანთქმულმა ოციოდე წლის ვაჟმა, თავზარს რომ სცემდა მომთაბარე ავაზაკებს არაფრის გადამეტებითა და ყოველგვარი ლაყბობის გარეშე პირდაპირ შუაგულ თბილისში ვაკე-ვერას გასაყარზე ამოჰყო თავი. ეჭვის თვალით უმზერდა კაიშაური ათიოდე კაცთა კრებას. იფიქრა სოფლისთვის საჭირბოროტო საქმეებს განიხილავენო და ნელ-ნელა უახლოვდებოდა რომ ამ ნელ-ნელადვე იმდენი გასაოცარი რამ მოისმინა, სულ მთლად ჭკუამცდარობისკენ აიღო გეზი.

– ქურდმა დარეკა, ჰოდა ლიჩნად მე გეუბნები, როგორც კაი ბიჭი, რომ იმ ფულს რაც აიღე, დაუბრუნებ, თუ არადა სათითაოდ გაგიხვრიტავ ორივე მუხლს. რამე გაუგებარი ხომ არაა-მეთქი, ბიჭო?

– არა... არა... მოვიტან.

ამ გაცრეცილ ჯინსიან, სათვალეებიან, წელში მოხრილ, თავგადაპარსულ შეხლა-შემოხლიან, ხმა დაყენებულიან სოციუმში ერთ რეგიონიდან ჩამოსულ ბიჭს ცხრა აგრეთვე რეგიონიდან წარმოშობილი, მაგრამ მაინც თბილისელი ბიჭი გარს ეხვია და დისერტაციას უკითხავდა კრიმინალის საპატივსაცემო კვლევითი საქმიანობის შესახებ, რომელიც არც თუ ცუდად გამოუვიდოდათ, იქვე კაიშაური გაწკეპილი ჩოხა-ახალუხითა და აწეული ნიკაპით ჰამლეტში ხსენებული მამის აჩრდილივით თავზე რომ არ წამოსდგომოდათ ბედშავებს.

– შესდექ ურჯულნო!

პირდაღებულმა ბიჭებმა ლამის სოციალური პლატფორმის მეშვეობით პირდაპირ ქურდს დაურეკეს, რადგან თეორიულად განხილული მრავალი ჰიპოთეტური შემთხვევიდან მსგავსი არაოდეს ენახათ კი არა, არც გაეგონათ.

არა, მაინც ნეტა გენახათ როგორი ამაყი და სიამით დასანახი გახლდათ ჩვენი ვაჟკაცი კაიშაური, პაპანაქება ზაფხულის სიცხეში მძიმე ჩოხით შემკული ულვაშქუდიანი კირილე ზეცისკენ მარჯვენი რომ ჰქონდა აწვდენილი და საჩვენებელი თითიც აშვერილი. უწინ ასეთ მომენტებში კირილე ხან ქოფაჩს დააჰყივლებინებდა, ან ისე უმოწყალოდ მოსტაცებდა ხოლმე ქარქაშს ხმალს, მართლაცდა ურჯულონი როგორც შვილებს სტაცებდნენ ხოლმე სამარადჟამო კაეშნისთვის განწირულ დედებს. მერედა მისი ერთი დასჭექვა ხომ შიშის ზარს სცემდა მტარვალებს, ვინ სად გარბოდა უზენაესიც თუ იშვიათად გაარჩევდა ხოლმე. ლამაზი კაცი იყო კირილე და ახლაც მშვენივრად იდგა მქუხარე თვალწარბით, განმგმირავი რომ აღმოჩნდებოდა ხოლმე ყაჩაღ-ავაზაკთათვის.

ფიქრობდა კაიშაური, თოფი მე არ მაქვს, არცა ხმალიო, მარტო მასრას ხომ არ დავიჭერ ხელში მოკლე წკეპლასავითაო, ამიტომ თითის აშვერა არჩია და ისევ საკუთარი სახელისა და მრისხანე თვალების იმედად დარჩა. სიტყვა იმედიც ზედმეტია, ხევსურმა დანამდვილებით იცოდა თავისსავე სულისშემძვრელ ხმაზე მტერი რომ დამფრთხალი ცხვრის ფარასავით აღიგვებოდა, ხოლმე, პირისაგან მიწისა.

სანამ კირილე ფიქრობდა ბიჭები ისევ გაოგნებულის ფაზაში იყვნენ დარჩენილები. შემდგომ, თითქო საღათას ძილისგან გამოღვიძებულებმა, ერთმანეთს გადახედეს და გნიას-ხარხარი დასცხეს, რეგიონიდან ჩამოსულ ბიჭს თითქმის დაავიწყდა მომხდური და ბრბოს ეგზალტაციაში მოქცეულმა ლამის თავადაც სიცილი ატეხა, შემდეგ მომენტალურად გონებაზედ მოვიდა, უი, უი, მე მჩაგრავდნენო და კვლავ თავდახრილმა განაგრძო ასფალტის გულისყურით დაზუთხვა.

კაიშაური ამაზე მთლად გადაირია და ისევ სცადა ბედი, უკანასკნელიც დასცინოდა კირილეს, მაგრამ ბედს თმაგადაპარსული თავი არა

ჰქონია და არც გრავიტაციის ძალისგან მიწაზედ რაც შეიძლება დაბლა დაწეულ შარვალს დაატარებდა.

– შესდექ-მეთქი, გიაურნო! რას მიქვიან შენი კაი ბიჭობა! არა მიცვნიხარ კაი ბიჭადა, ბოროტ საქმესა შესდგომიხარ მარტო კაცს ლეშის მჭამელი სვავებით რომ დასეულხართ. მერედა რაო, შე, პირშავო? აგრე გაგზარდა გამდელმა ქურდზე და ყაჩაღზე რომ უბნობ, ფული მიუტანეო. ქურდი მპარველია, როდის იყო, მპარველთა უკან უბრუნდებოდეს. გულისყურით მისმინე, აფთარო და შენდობა ითხოვე, სანამ გიმუხთლა საწუთრომ დაუდგრომელმა.

უცნაური საზოგადოების წევრებს შორის კაი ბიჭად წოდებულმა კაიშაურის თითქმის ვერც ერთი სიტყვა ვერ გაიგო იმის გარდა, რომ უკადრებელი ჰკადრეს და არა ხარ კაი ბიჭიო უთხრეს. ალიაქოთი ატყდა, ის-ის იყო კირილეს თბილისის ქუჩების გაგებითა და მსოფლმეხდველობით მისაღებზე აყენებდბენ, რომ ჩიხში ლურჯად და წითლად ელვარე ნათურებმა შემოანათეს.

– ძაღლები, ბიჭო, დავიშალეთ!

გაიქცა ყმაწვილკაცობა, მაგრამ კირილე ვერა ხედავდა და ვერა გაეგო რა, სად იყვნენ ძაღლები ან რად ვერ დაენახა ვერც ერთი მათგანი, იმას ფიქრობდა ძაღლის დანახვამ კაცი ასრედ რამ უნდა დააფეთოსო და სულ მთლად გადარეულგასულელებული ადგილზე გაძეგლდა. ყველა გაიქცა კაი ბიჭად წოდებულის გარდა. რადგან მიაჩნდა, რომ ავტორიტეტები ამ ფრიად მამაცურსა და ლომგულურ აქტივობას დაუფასებდნენ და იერარქიულ საფეხურზე წინსვლა ექნებოდა.

– აქ რა ხდება? გურო, შენ ჭკუა კიდე ვერ ისწავლე, ჰო? მერამდენეჯერ უნდა წაგათრიოთ, ბიჭო, განყოფილებაში! ამოგალპობ მანდ ერთხელაც, იცოდე.

– რა უნდა ხდებოდეს, ტო? შენ რას გადაგვეკიდე, ბიჭები ვიდექით და ვლაპარაკობდით.

გაჯგიმული პოლიციელი სწრაფად უახლოვდება კაი ბიჭად წოდებულს, აწ უკვე ცნობილს როგორც გუროს, რომ ვერა-ვაკეში ჩოხაახალუხიან მრისხანე თვალება კაიშაურს თვალი მოჰკრა.

– შენ ვინღა ხარ, ან თემაზე ტრადიციულად მოკაზმულები როდიდან დადიხართ, ასე უფრო ეფექტურია, თუ სულ გარეკეთ!

– კირილე კაიშაური!

დასჭექა ხევსურმა და პირდაპირ სახეში უთავაზა ამ ჩვენ სამართალ დამცავს. რომელიც პირდაპირ რეგიონიდან ჩამოსული ბიჭის მუხლებში გადაგორდა.

გურო ბედნიერებისგან ლამის ჩაეხუტა კაიშაურს და კმაყოფილების ღიმილი დასთამაშებდა, როცა კირილე მობრუნდა, ერთი ლაზათიანი მუშტი ამ ჩვენ კაი ბიჭსაც ჩაახუტა და ფორმიანის გვერდით მიაწვინა.

გაშმაგებული კირილე ორთავეს იწვევდა, ადექით პირშავნოვო, გაჰყვიროდა, თუმცა სხვა განზომილებაში გადასულები ჯიუტად აგრძელებდნენ ასფალტთან ალერსს.

გაბრუნდა კაიშაური, შემოირტყა დოინჯები და გააგრძელა გზა. მიდიოდა და მიდიოდა. მოწყდა ხედვის არეს ხევსური. მობეზრდა მიწასაც პოლიციელის ამბორი, გამოფხიზლდა ამასობაში და წელის თრევით ლოყა გვარიანად შესინიაკებული ფეხზე წამოდგა, ჩამოიფერთხა წვივ-მუხლი, თავი მაღლა ასწია და კაიშაურზე გაანჩხლებული გუროც მთელი სულითა და გულით გამოთათხა.

– ამდენი ხანია ქვეყნის სამსახურში ვარ და ჩემთვის ეგეთი რამ არავის გაუბედია, გამოფხიზლდი და ფეხი გამოადგი, არავის გავაგებინებ ამ სირცხვილს, მე თვითონ ვიპოვი და ორივეს განყოფილებაში მიგათრევთ.

ცალკე გურო იყო თავის ადამიანურ ბრძოლებში, ბიჭებს როგორ ვუთხრა ეს ამბავიო. ეგებ კაი ბიჭობის წოდება-რეპუტაციას ჩრდილი მიადგეს, ჰო დავიღუპები ეს პერსპექტიული კაციო. ჰოდა, ამ ფიქრებში გართული უსიტყვოდ გაჰყვა ამ ჩვენ დასინიაკებულ სამართალდამცავს.

მოსაღამოვდა, თბილისში ციცინათელებივით აციმციმდნენ ლამპიონები. დრო აზვირთებულ დინებაში ისევ შეუჩერებლად აგრძელებდა ცუ-

რვას. ასე შეუჩერებლად დადიოდა აქეთ-იქეთ კაიშაურიც ვერის ჩიხებში. არც ერთი მათგანი არაფრის დიდებით არ გამორჩენია, რომ კიდევ ერთ თბილისურ ამბავს შეესწრო.

– კიდევ ერთხელ დავინახავ მაგას შენთან და მერე შენ თავს დააბრალე.

– რა ვქნა გამაგებინე, ბარში ვიყავით, შემოვიდა და აგვეკიდა, ვუყვარვარ.

– გახედე შენ ოჯახს და მერე მაგისას, რას ჰქვია უყვარხარ. ეგ სენსიტიური იდიოტიზმი სიყვარულზე დაივიწყე, ახლა პერსპექტივაა მთავარი. მაინც და მაინც წელებზე ფეხებით გინდა რომ შედგეთ ჩემი და დედაშენის სულის ამოხდის მერე? თუ რა გინდა გამაგებინე?

– რა მინდა და მეც მიყვარს!

– შენ რამდენს ლაპარაკობ!

რა ხდება აქ, რა ამბავია ამ შუაღამეს? რად უფრთხობთ ძილს კომლებს?

ამ საღამოს 9 საათზე, თბილისის შუაგულში გაჩენილმა უცნაურმა კითხვამ, რომელიც ჩოხა-ახალუხიანი ულვაშებ-აპრეხილი კაცის მიერ დაისვა.

მამა-შვილს თავგზა დაუბნია.

– როდემდე უნდა იდგეთ ახლა სარგადაყლაპულებივით?

– ვინა ხარ კაცო, შენ?

გაოცებულმა კაცმა ძლივს წამოილუღლუღა, არ იყო მიჩვეული ასე ლაპარაკს. სახელგანთქმული მოსამართლე იყო ქალაქში, ჰოდა ამ სრულიად მიუკერძოებელ კაცს ვინ გაუბედავდა კაიშაურისებრ საუბარს, თავად კაიშაურის გარდა. არასდროს ქრთამი არ აუღია ამ კაცს საზოგადოების დაბალი ფენისგან. აბა ამხანად საშუალო ფენა აღარ არსებობდა თბილისში და რა ექნა. ჭკვიანი კაცი იყო, ამიტომ მხოლოდ მაღალ ფენაზე მუშაობდა.

– კირილე ვარ, მე, კაიშაური.

– რა გინდა მერე, ბატონო კირილე?

– რას ჰქვია, რა მინდა, შე, ურჯულო, შენ, ამ შუა ღამეს დგახარ და ქალთან ღრიალებ.

– შვილია ჩემი.

– რადაა მერე, რო ღრიალებ?

– რა გინდა-მეთქი, კაცო, გამაგებინე, ვინ გეკითხება შენ მე ჩემ შვილთან ვიღრიალებ თუ რას ვიზამ?

ამ კითხვის მერე, მოსამართლე კირილეს დღის მოცემულობის მესამე მსხვერპლი აღმოჩნდა. ზღართანი გაადინა მიწაზე და იწვა ახლა გაშოტილი. თვალწინ ჩაუარა თავისმა საზოგადოებრივმა მოღვაწეობამ, მაგრამ იურისტის გონებამ არ დააყოვნა, სწრაფად გამოითვალა ახლა თუ მონანიება ვერ მოვასწარი, დავუშვათ და მართლა რამე არსებობს, არ მეშველება არაფერიო. ერთი შემიწყალეო მოასწრო. მე ცოდვილიო, ვეღარ დააყოლა, მაგრამ სანახევრო სამოთხესაც არაუშავსო იფიქრებდა, ალბათ, იმიერში.

დუმილი ჩამოვარდა, დრომ ერთი გაფიქრება იფიქრა, ხომ არ გავჩერდე და ვნახო რა მოხდებაო, მაგრამ მერე უმალ გამოფხიზლდა, ასე ხომ ყველაფერს ავრევო და გააგრძელა სვლა უსასრულო.

შეცბუნებული ზარდაცემული ქალი ხმას ვერ იღებდა, ტუჩ-მუხლი უკანკალებდა. კირილემ ხელში ჩვილი ბავშვივით აიტაცა მოსამართლე, მხარზე გადაიკიდა, მიიხედ-მოიხედა, ქალს თვალი მოავლო, ასე უყურებდა ცოტახნით და უთხრა აცახცახებულს:

– რას დგახარ მანდ? ვერა ხედავ ჭკუაზე აღარ იყო კაცი, ორჯერ მკითხა, ვინა ხარო. გამოაფხიზლებს ეს, მიხვდება ვინცა ვარ. ჰა მიყურე ახლა. შემაყვანიე შინ, მიჩვენე გზა და გამიძეხი.

შიში ოხერია. ვეღარ გაიგო ქალმა საშველად ვინმესთვის ეთხოვა, ეყვირა თუ უბრალოდ კაიშაური ნებას დაჰყოლოდა. შიშმა, ბოლო ჯობიაო, უკარნახა. ერთიანი ძალებით დააბინავეს გონებადაკარგული მოსამართლე.

– სად მივასვენო ეს უბედური?

– აა..აქ. – მიუთითა ქალმა სავარძელზე და სავრძლის ფორმა მოსამართლემაც კარგად შეითავსა.

ისევ დოინჯი შემოირტყა კირილემ და მისაღებში წინ და უკან სიარულს მოჰყვა, კუთხეში ატუზული ქალი ფერდაკარგული უყურებდა.

ფიქრიანად ათვალიერებდა კაიშაური ქალს, მომენტალურად გაჩერდებოდა ხოლმე, დაჟინებული მზერით შეხედავდა და ისევ სიარულს მოჰყვებოდა. უკანასკნელი რამდენიმეჯერ გაიმეორა, მერე ღრმად ჩაისუნთქა და...

– სახელი მიბოძე შენი.

– კატო მქვია.

– რა გვარისა ხარ?

– ამილახვარი.

– თავადის ქალი ყოფილხარ, მოასწარით უკვე ღალატი?

– ვერ გავიგე?

– მოასწრებთ აწი.

– რადაა რომ გაგიწყრა მამაშენი? კერის შემარცხვენელი ჰქმენი?

– თქვენ ვინ ბრძანდებით?

– კირილე ვარ, მე, კაიშაური.

დუმილი ჩამოვარდა ერთხანს. უყურებდა ქალ-ვაჟი ერთურთს. მათ შემხედვარე დუმილმაც დაირცხვინა, მოერიდა, დუმილი არ მერქვას, მე ავლაპარაკდებოდიო.

– მეტყვი ახლა რა მოხდა, თუ მოვყვე მარჩიელობას.

– პირადი ურთიერთობის საკითხია.

– არ მგონია ეგ საქმე მთლად სწორი. პირადული თუა, მთელ სოფელს უნდა მოდოთ და ამოდენა ამბავი ატეხოთ? – არ მოეშვა კაიშაური კატოს, ჯიქურ დაუდგა. რაღა დარჩენოდა ქალს. არავისთან უსაუბრია ამ საკითხზე და ეგებ გამიმართლოსო, ბედი სცადა.

– ერთი ბიჭი მიყვარს, დიდი ხანია. მასაც ვუყვარვარ, უბრალოდ ცოტა სხვა ტიპია. დოგმატური სამყარო არ მოსწონს და თავის ცხოვრება აქვს. ვერავინ უგებს. ჩემს გარდა რეალური არავისთანაა. საზოგადო პერსონა აქვს შექმნილი. ზედმეტად შეტოპა და ცუდ საქმეებშიც გაეხვა. ყველაფერი იმიტომ, რომ ერთად ყოფნის საშუალებას არ გვაძლევენ. მეუბნება და დარწმუნებულიც ვარ, რომ თუ ჩვენ შორის საკითხები დალაგდება, ადამიანურ ცხოვრებას დაუბრუნდება. მჯერა, არასდროს მოუტყუებია ჩემთვის. უმამოდ გაიზარდა, მესმის, შეიძლება სასაცილოდ ჟღერდეს, მაგრამ თავის წრეში საკმაოდ საპატივსაცემო რეპუტაციით სარგებლობს. არავის უყვარს. ვიცი, რომ სამეგობრო წრე მასზე ცუდ გავლენას ახდენს. ვცდილობ ჭაობიდან ამოვათრიო, არ მინდა მის გარეშე. უბრალოდ, არ მინდა. დედამისი საზღვარგარეთაა. თავის უფროს დასთან ერთად ცხოვრობს ნაქირავებში. უნივერსიტეტში არ დადის, ვერ შეეგუა. ჩაბარებითაც მხოლოდ დედის გამო ჩაბარა. არც მომზადებულა და უმაღლესი ქულებით ჩაირიცხა სასწავლებელში. საკმაოდ დიდი განათლება აქვს. მაგრამ ოჯახის და თავისი ცხოვრების გამო მამაჩემი ვერ იტანს, მისთვის მატერიალიზმი და სტატუსი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ადამიანის ადამიანურობა. ორად ვარ გახლეჩილი და არ ვიცი როგორ მოვიქცე.

– სახელი მიბოძე მისი.

– გურო.

– ვგონებ სიდანმე ვცნობ სახელს. მიგდე ყურ...

– სახლშიც შემომეჭერი! – შეჰყვირა შორეულ მოგზაურობაში წასულმა და ძლივს უკან დასაბრუნებელ გზაზე მდგარმა მოსამართლემ. წამოდგომა დააპირა, მაგრამ ჯერ ისე იყო გაბრუებული რომ ისევ სავარძელში ჩაესვენა. შემდეგ კვლავ წამოდგომის მცდელობა ჰქონდა, მაგრამ კვლავაც უკან დაბრუნდა. ამაოების შემდგომ, მიხვდა აზრი რომ აღარ ჰქონდა, არადა ფეხზე დამდგარი უკეთესად ვიჩხუბებდიო. რაღა გაეწყობოდა, დამჯდარმა განაგრძო ღრენა კაიშაურისადმი.

– ჯერ ერთი, ხელი დამარტყი. მეორე, ქალიშვილი შემიშინე, მესამე, ჩემს სახლში ხარ, მეოთხე, ჩოხა-ახალუხით ხარ, მეხუთეს სასამართლოს ჩაქუჩს რომ თავში ჩაგარტყამ, მერე გეტყვი.

აქაოდა, კაიშაურმა ეს კიდევ დიდგულზეაო, ბრდღვნას აღარ დაუტევდა ჩვენ მოსამართლეს, რომ ანაზდად მუსიკა შემოესმა. მიუხედავად ტრაგედიის დატრიალების ჟამს უეცრად მოვლენილი სასწაულისა, რომელიც ზედმეტად პოეტურად ჟღერს, საქმე ამ შემთხვევაში მხოლოდ კატოს მობილურთან გვქონდა.

– კატო, იცოდე, კიდევ თუ ის რეკავს...

– არ ვპასუხობ, ხო ხედავ.

– არ პასუხობ კი არა, ისე ქენი, რომ ველარც დაგიკავშირდეს, მერამდენედ უნდა გითხრა!

– უპასუხე.

– რას ჰქვია უპასუხოს, მამამისი ვამბობ, რომ არაფრით არ უპასუხოს, ვინა ხარ კაცო, შენ, გამაგებინე ბოლო-ბოლო.

კაიშაურმა სულის გამჭრელი მზერით გახედა მოსამართლეს, აათვალიერ-ჩაათვალიერა კბილი-კბილზე დაადო და მუშტიც მოჭიმა.

– არა ისე, მართალია, კატო, ეს კაცი! უპასუხე ერთი, რა უნდა, მაინტერესებს.

კატო თანხმობამ უმალვე გამოაფხიზლა, ელვის სისწრაფით წვდა ტელეფონს, ნაზი ხმა ისედაც დაინაზა, სულ მთლად გადაავიწყდა რაც ხდებოდა და ქალური კეკლუცობით უპასუხა.

– ალიო, გისმენ...

– კატო უცებ გეტყვი, ბევრი დრო არ მაქვს რა. ძლივს დავითანხმე, რომ დამერეკა შენთან. ასეთი ამბავია, დამიჭირა ძლიერიშვილმა. არაფერი ყოფილა ჩემი ბრალი. ვიღაც ტიპზეა აჭრილი. ბიჭები ვლაპარაკობდით და წარმოიდგინე, ვიღაცა კაცი მოვიდა, ხელი გაგვარტყა, რის გამო, არც მე ვიცი და არც ძლიერიშვილმა. მაგიტოა გაცეცხლებული. ჰოდა, მგონი, ახლა ველარ გამოვძვრები. ვეხვეწე, სანამ ციხეში შემაგდებ, კატო უნდა ვნახო-მეთქი. და ახლა მომიყვანს შენ სახლთან. მთელი თბილისი მოვიარეთ, საცობებია რა, შემაგვიანდება, გნახავ და მერე ისევე ის დამთხვეული უნდა ეძებოს და მიგვათრიოს ერთად განყოფილებაში, ყველა წესს არღვევს, მარა ხო ხვდები როგორი სიტუაციაცაა.

მოსამართლეს მობილურზე ყური ჰქონდა მიდებული. კაიშაური მოშორებით იდგა და არაფერი ესმოდა ხევსურს. იდგა ასე თავისთვის და მძვინვარე თვალებს აბრიალებდა აქეთ-იქეთ. ამ ჩვენ მანტიამოსხმულ კაცს არასდროს ასე არ გახარებია გუროს და კატოს შეხვედრა. ღმერთს მადლობა, დამთხვევაც ამას ჰქვიაო, მიშველა ძლიერიშვილმაო, ფიქრობდა და ხელების ქნევითა და ლამის ფერხულის ცეკვით, ჩუმად ანიშნებდა კატოს – მოვიდეს, მოვიდეს უეჭველადო. კატოც დაეთანხმა გუროს, შეგხვდებიო, საუბრის დასრულების შემდგომ მოსამართლემ ტელეფონი უმალვე გამოსტაცა და მიწერა, პირდაპირ სახლში შემოდი, კარი ღია იქნება, ძლიერიშვილი მარტო არ დაგტოვებს, ამიტომ უთხარი, რომ შემოგყვესო თვითონაცო.

ლაზათიანად ჩაისუნთქა მოსამართლემ სუფთა ფულით ნაშოვნი ლამაზი სახლის ჰაერი, გადახედა ღიმილით ქუში პირისახის მქონე კაიშაურს. როგორც იქნა, გული დაუდო ხევსურის დაკვირვებას. მშვენიერი ყმაწვილკაცი ყოფილა ეს ჭკუა მცდარიო. კიდევ ერთხელ აავსო ფილტვებიც და...

– ბატონო კირილე, მინდა ბოდიში მოგიხადოთ შექმნილი გაუგებრობისთვის. იმდენად გაბრაზებული ვიყავი საკუთარ შვილზე, რომ ველარც კი გიცანით! დაბრძანდით ბატონო კირილე, სამზარეულოში ისეთი ციცქა მაქვს, სულ რომ არ მაპატიოთ, მე უგუნურს და აქვე დამკლათ, მაინც უნდა გაგასინჯოთ, არაფრის დიდებით არ მითხრათ უარი, ბატონო კირილე!

მოსამართლე ფიქრობდა, ყველას თავის ენაზე უნდა ელაპარაკოო. ჩარჩენილია ეს უბედურიო. ეშმაკობაში გამოწვრთნილი და დახელოვნებული კაცი იყო, ჰოდა, ეს როლიც ბრწყინვალედ შეითავსა.

– დაგეწყო მასე თავიდან მერე, შე კაი კაცო, ის კია, შეცდომა ყველას მოსდის, მთავარია ვინ როგორ გამოასწორებს.

მაინცდამაინც არ იყო კაიშაური მუხთლობასა და გაიძვერობას მიჩვეული თავის მხარეში, სუფთა გულის კაცი იყო, ამიტომ ძირითადად ყველა სუფთა გულისა ეგონა ხოლმე, კარგის მეტს არა ეძიებდა ადამიანში.

– მართალი ბრძანდებით, ბატონო კირილე, კატო! მამი გენაცვალე, გამოიტანე ერთი ჩემი საქები ციცქა.

მოარბენინა კატომ ღვინო, სუფრის გაშლასაც მოჰყვა. სანამ სუფრა შელამაზდებოდა, მოსამართლესა და კაიშაურს შორის დიალოგი გაგრძელდა.

– რამდენი აბრაგია ჩვენ სოფელში ბატონო კირილე! სამართალია საჭირო. ს ა მ ა რ თ ა ლ ი!

უპოვრებს პარავენ, გაშიშვლებულებს აშიშვლებენ, ადამიანობა დაიკარგა! სასწაულია პირდაპირ. გუშინ დავბრუნდი სამსახურიდან დაღლილი, ასე გავერანებული მოვლასლასდი. ჯამაგირის დღე იყო. ავიღე ეს ჩემი გაჭირვებით ნაშოვნი ჯამაგირი და იცი რა ვქენი, ბატონო კირილე? დავიარე უპოვრები, დავიარე გაშიშვლებულები და დავურიგე ეს ჯამაგარი ასე ამ ხალხს. აბა! როგორ გინდა სხვანაიარად. უზენაესი ადამიანს ადამიანის ხელით ეხმარება. საჭმლის ფულიც კი აღარ დავიტოვე, ერთი ქალიშვილი მყავს, არადა, დიდი მჭამელი არაა, მაგრამ ჭამა ხომ უნდა? – უნდა, ჩაცმა ხომ უნდა? – უნდა, სწავლა ხომ უნდა? – უნდა. და კიდე ბევრი უნდა და უნდა ბატონო კირილე, მაშ! ასეა ეს საქმე. თუმცაღა, რომ ვხედავ ამ ჩემ ქალიშვილს, ნაჭამ-ნასვამსა და ნასწავლს, ასე უნებურად მეფიქრება ხოლმე სხვების ქალიშვილებზეც, მაგიტო აღარ ვიტოვებ არც საჭმლის ფულს და მთელი დღე ერთ კინკილა ლობიანზე ვარ ხოლმე. კატო! ჩაადგი შვილო ხინკლები ან მწვადი, რით ვეღარ გაცხელდა, მოდი, ბარემ, ჩაქაფულიც შეაცხელე, ეშიება კაცს!

– აბრაგობა თარეშობს ველად, მართალია ეგ საქმე. მაგრამ, გვიფიქრია კი რატომ ხდებიან აბრაგები – აბრაგებად. რად შეიქმნენ, რომელმა პირშავმა გააბოროტა. მართალია, ზოგი იმდენად ლაჩარია, სულ დედის კალთა და ღვთის მადლი თავზე რომ ეფაროს, მთელი ცხოვრება თავისი ავყია ბუნებისა და პატივმოყვარეობის გამო, ღირსეულ კაცს ზურგშია მასრას მასრაზედ დააჯენს. ეს დაფხრილი თავადობაც არად ზრუნავს ბალღებზე. აიღებს ხელში ბალღი იარაღს, რომ გაიზრდება აბა რას იზამს, დაფასება ვერ ნახა, სიყვარული ვერ ნახა, წიგნი ვერ ნახა, სითბო ვერ ნახა. ჰოდა ნახა მაუზერი, გადატენა მაუზერი. ნახა მერე დაფასებაც, სიყვარულიც და სითბოც. ოღონდაც შიშის გამო და არა ჭეშმარიტებისა. მაგრამ ვერა ნახა წიგნი. რა ქნას ახლა? რა ვუთხრათ ამ ბალღს. ვინც ეძიებდის, ჰპოვებდეს-თქო? როგორ უნდა ჰპოვოს კაცის კვლითა და გავერანებით? ჩვენი ბრალია ეგ საქმეც ზოგჯერ. სხვებს ტყუილა ნუ მოვთხოვთ სამართალს. აგრემც თქვენი თქმისა არ იყოს, თქვენსავით კი არ აპურებენ ცისფერ სისხლიანები გლახაკებს. აგრემც თქვენებრ რომ მოიქცეს ყველა და თვისი ჯამაგარი უპოვარ-გლახაკისთვის გაიმეტოს, პურის გატეხვის წინ კაეშნის დალევა კი არ მოგვიწევდა ქართველობას. აბრაგებიც იმსახურებენ ლოცვაში მოხსენიებას, ვინ იცის მათ ტკივილებზე.

მოსამართლემ ასე კარგად ჯერ არავის აღვუწერივარო, გაიფიქრა, მაგრამ გაახსენდა, რომ ნეგატიურ კონტექსტში მოიხსენიეს. გულიც არ დაწყვეტია, მით უმეტეს, წინ შიშხინა მწვადები რომ დაუდეს, სულაც აღარ ახსოვდა შენი აბრაგობა და მათი ტკივილები.

– აბსოლიტურად მართალი ბრძანდებით, ბატონო კირილე! სამართალია საჭირო. სა მა-რთა ლი! ჰე, მიირთვით ახლა, აბა, გამარჯვება ბატონო, გამარჯვება! დალოცვილი იყავით და კეთილი იყოს თქვენი ფეხი ამ ოჯახში. რომ გიყურებთ, ახლა პირდაპირ ცას ვეპორტყიალები სიხარულით, მაშ! აბა, როგორ გინდა.

– გამარჯვება ბატონო, დაგლოცოთ ღმერთმა, დიდება უფალს.

მცირე იყო შესვენება ღვინის ჭიქების რახა-რუხს შორის. მოედნენ ყველა საკითხს კაიშაური და მოსამართლე. ისაუბრეს გავერანებულ საქართველოზე, გატიალებულ ქართველებზე, ბოროტებაზე, სიკეთეზე, თავადებსა და გლეხებზე, ღირსეულებსა და უღირსებზე, განიხილეს საჭირბოროტო საკითხები, სხვანი და სხვანი. მოეწონა მოსამართლეს კაიშაური, თითქოს, აღარც ახსოვდა მომხდარი. ნაკლებად ეკიდებოდა თრობა კაიშაურს, ხარივით მსმელი ვაჟი გახლდათ. მობეზრდა ჭიქები. ყანწი მოითხოვა, ჰოდა სუფრაც ყანწთა შესმით გაგრძელდა. თავს კარგავდა მოსამართლე, გონება ებინდებოდა, ეხვეოდა ვაჟს. მგლის ლეკვო, შენ ყოფილხარ ქართველიო! გაჰყვიროდა. ოჯახში მიგიღე, გინდა თუ არა მიგიღე ჩემ ოჯახშიო, უარი არ მითხრა, თორემ აქვე დავიკლავ თავს შენ მუხლებშიო.

კატოსაც ველარ გაეგო, ეცინა თუ ეტირა. ქართულ ფოლკლორზე რომ მიდგა ჯერი, მოსამართლემ აციმციმებული თვალებითა და უკვე გულწრფელი ღიმილით შეხედა კაიშაურს. კატო, გიტარა ან ფანდური შვილო! გასძახა მოსამართლემ, დაბნეული ტრიალებდა კატო აქეთ-იქით. თავად ფანდურსაც თავბრუ დაეხვა და ლამის თვითონ მიაძახა აქა ვარ, აქო. მოკიდა ხელი ფანდურს კატომ და ამასობაში მოსამართლეც ამღერდა.

– კირილე, კირილე! ოქოთომეს მუ გოკოდუ, სი ეშმაკი ჭიჭე ტურა!

– აიტ! შენ გენაცვალე!

– ღორონთქ ვაგაჭყორასუ დო, ქოთომეფი ვაკომჭკუმა!

– კირილე!

– სისა!

– სისა!

– სისა ტურა!

– ვაგუტუა!

– ვადოღურა!

– სისა!

– სისა!

– სისა ტურა!

– ვაგუტუა!

– ვადოღურა!

ასე სიმღერაში იყვნენ გართულნი, კატოც ხომ გამალებით უკრავდა ფანდურზე, სრულიად ახალი ფურცლიდან დაიწყო ყოველივე, ძველი ნაჯღაბნი ნაფლეთებად იქცა. გრძელდებოდა მხიარულება. ამ დროს ძლიერიშვილმა კარი შემოაღო, გუროც ფეხდაფეხ მოჰყვა. დაინახა თუ არა სანახაობა, ამღერებული სიმკაცრითა და რისხვით ცნობილი მოსამართლე, აქამდეც რომ იცნობდა, მასთან ერთად მომღერალი ჭკუამცდარი ხევსური და კატო, რომელიც ფანდურზე უკრავდა, ზარდაცემული შეიქმნა. გუროც დაბნეულობისგან მხოლოდ კატოს შესცქეროდა და სიცილს ძლივს იკავებდა.

– ბატონო მოსამართლევ... ეს კაცი... ეს...

– ეს კაცი ჩემი ოჯახის წევრია! კირილე კაიშაური! ღმერთი არ გაგიწყრეს და ხელი არ დაიკარო, მოდი ახლა და მოსვი ღვინო! უკეთესი თანამდებობებიც არსებობს როგორც ვიცი. ან შენ რას დგახარ მანდ? თუ დღესვე იტაცებ ჩემ შვილს? მოდით სუფრაზე, არა! ახლავე მოდით სუფრაზე.

ვაი, უბედურო თავო, ეს ჭკუამცდარი თურმე ვინ ყოფილაო, გაიფიქრა ძლიერიშვილმა. უჯიკა გუროსაც, ფეხი გამოადგიო. მიუსხდნენ სუფრას და გააგრძელდა ჭამა-სმა. პირველი 7-8 ჭიქა ძლიერიშვილი, მართლაც, ძლიერი შიშით იყო შეპყრობილი. გუროს ჭიქებს აწოდებდნენ და აწოდებდნენ, ღვინოც არაფრის დიდებით არ მთავრდებოდა. ყველა გამოთვრა, მღეროდნენ და მღეროდნენ, საბოლოოდ ფშავ-ხევსურული ცეკვა-თამაშიც დასცხეს. გადახვია ოთხმა ხელი ერთმანეთს და ასე ხელგადახვეულებმა თბილისის ქუჩებისკენ აიღეს გეზი. მიდიოდნენ და ილტვოდნენ გაურკვეველი მიმართულებით.

– გურო! – გაჰყვიროდა მოსამართლე, – სიმღერა თქვი, გურო!

სად იცოდა გურომ ქართული ფოლკლორი ან მისი ფასი, თითო ოროლასთვის თუ მოეკრა ყური აქა-იქ.

– წინწყარო!

– რამე ხალისიანი თქვი, თორემ დაგიჭერ იცოდე! – ლაზღანდარობდა სამართალდამცავი ძლიერიშვილი.

– დოუძახი... რა ქვია... ღორებს...

– ეს სხვა საქმეა!

– ჭირიმე შენი!

– დოუძახე ჯოღორებს შარიქა დო არამი!

– არამი დო შარიქა!

– ჰარიქა დო შარიქა!

– არამი დო შარიქა!

– ჰარიქა დო შარიქა!

ასე და ამგვარად ჩამოვიდნენ აწ უკვე ძმადნაფიცნი ფილარმონიის დარბაზამდე. თავყრილობა იყო, ხალხი დარბაზში შესვლას ცდილობდა. ქართულ-ფოლკლორული სიმღერების გუნდი სანახაობას მართავდა. უახლოვდებოდნენ ფილარმონიას სილაღ-სიხალისით. მაგრამ ვაი, რომ კაიშაურმა შესასვლელთან გაკრულ ფოტო-სურათს მოკრა თვალი. სადაც ათი კაცი ჩოხა-ახალუხში იდგა გამოჯგიმული.

– ა ბიჭო ხალხი! – დასჭექა ხევსურმა, დაადო თავი, მოწყდა ძმობილებს და არაბული ულაყის სისწრაფით გავარდა ფილარმონიისკენ თავდადებული.

ძლივს გამოერკვნენ მოსამართლე და ძლიერიშვილი რა ხდებაო, თავს რამე არ მოუწიოსო და დაედევნენ კაიშაურს. გარბოდა ძლიერიშვილი. კარგა ნაჭამ-ნასვამი მოსამართლე გზაში სამჯერ ლაზათიანად დაებერტყა, ყოველ ჯერზე მისი წამოყენება გუროს უფრო და უფრო უჭირდა. შევარდა კაიშაური ფილარმონიაში. გაგიჟდა დაცვა, ვინაა ეს დარეხვილიო, მისდევდა დაცვა, მისდევდა ძლიერიშვილი, მისდევდა მოსამართლე და მისდევდა გურო.

გაჰყვიროდა კაიშაური.

– სისა, სისააა!

აუვარდა გუნდს შუა სიმღერის დროს შუავე სცენაზე. მიჰყვნენ კაიშაურს თავისივე ძმადნაფიცნიც.

– სისა!

– სისა!

– სისა ტურა!

– ჭირიმე თქვენი!

მაგრამ ყველაფერი მაშინ მორჩა, როცა ფილარმონიის დაცვაც სცენაზე ავიდა.

დაიჭირეს კაიშაური, დაიჭირეს მოსამართლე, დაიჭირეს ძლიერიშვილი, დაიჭირეს გურო.

მაგრამ ძმობილნი გაწევ-გამოწევის დროსაც ჯიქურ აგრძელებდნენ ჭიჭე ტურას ყვირილს. აგრძელებდნენ და აგრძელებდნენ სამარადისოდ.

და მაინც, დილაადრიან ამდგარმა კირილე კაიშაურმა მოქარგულ-მოჩუქურთმებული, კედელზე აკრული ქოფაჩი გადმოიღო და რუდუნებით წმენდდა.

გამოვიდა სახლს გარეთ კირილე. თოფიც ჰქონდა, სახლიც, ქოფაჩიცა და მამალიც. თოფიან-სახლიან-ქოფაჩიან-მამლიან კაიშაურმა წარბები შეჭმუხნა, ხევსურული ლუდი ამდენი არაფრის დიდებით არ უნდა დამელიაო.

გაიღვიძა მოსამართლემ, ვგონებ, ქვეყანაში მართლაცდა საჭიროა სამართალიო, სა მა რთა ლი! მაგრამ ამდენი ციცქა არაფრის დიდებით არ უნდა დამელიაო.

გაიღვიძა ძლიერიშვილმაც, მაგრამ თავი ვერა და ვერ ასწია, ამიტომ მიჰყვა ძილის სიტკბოებას სამართალდამცავი.

გაიღვიძა გურომ, ბარში ამდენი არაფრის დიდებით არ უნდა მომეწიაო.

არავის აღარ ახსოვდა მომხდარი. ძმადნაფიცებსაც დაავიწყდათ ერთმანეთი. ზმანება იყო? ცხადი? ვინ იცის. მართლაც რომ, ვინ იცის...

გაიღვიძა კატომ.

გუროს გადაურეკა.

მომენატრეო.

თავსხმა

– ბიჭო, თომაია...

– რა იყო, გაგო?

– ბიჭო, სად მოვხვდით ეს, ა? აგერ მილიონერი, ეგერ მილიონერი... ყვავილებს თუ მაინც შეხედავს ნეტა... ვარდებია, რა ვიცი... ხომ არ შევრცხვები.

– შეხედავს, რატო არ შეხედავს, შენა და გამახსენე ბილეთები რა დაგიჯდა?

– ბილე... ბილეთები დამიჯდა 200 ლარი, კაცზე!

– კარგი, გაგო, ნუ ყვირი, ხმადაბლა ცოტა. 200 ლარი? აბა ფასდაკლებაო?

– ფასდაკლება... ჰო, 300 ღირდა თავის დროზე. მარტო ხომ ვერ წამოვიდოდი, 400 ლარი ბილეთების, 150 ლარი ვარდების, 500 ლარი ტანსაცმლის, ეს მანქანა კი არ წვავს, სვამს. ეგეც შენი 100 ლარი.

– კი გაცდი აბა 1000-ს.

– გავცდი, ჰო, თან რამე ხომ უნდა შევჭამოთ სირცხვილია... შევუკვეთავ ახლა.

– უკაცრავად, თუ შეიძლება!

– რა ვიცი, მე რო გითხრა, მშია მეთქი... არ მშია. წყალს კი დავლევდი ისე, თუ დაგრჩება, რას მღერის ისე ეგეთს.

– მღერის, თომაია, მღერის, მერედა რას მღერის. გუნდში საუკეთესოა, თან რაღაცას ცეკვა-თამაშობენ... გულს და თვალს უხარია.

– ეგრეც უნდა იყოს.

– ერთი კაი მეგობარი ჰყავს თან, საშენო... თეა.

– ჰო, ვიცნობ, თეას... თეას როგორ არ ვიცნობ.

– როგორ? აქამდე რატომ არ მითხარი...

ყველას უდიდესი მადლობა მობრძანებისთვის! ერთი თვალის შემოკვრაც კი საკმარისია ნარჩევი საზოგადოების ამოსაცნობად, ჰოდა, ჩვენი მეცადინეობით, ასევე, ნარჩევ და მძივებად აკინძულ საღამოს შემოგთავაზებთ. ყოველშემთხვევაში, უსიამოვნო ნამდვილად არ დარჩებით, ანკი როგორ შეიძლება ქართველი კაცი ქართული სულის გამონასროლ მჭეხარე კულტურის მომსწრე გახდე და უკმაყოფილო შეიქმნა. რომც დარჩეთ, არ თქვათ მაინც. ჯერ ერთი, კლიენტურა მოგვაკლდება და მერე მეორე... მეორე... ჰო, ქართულია!

ჰა-ჰა!

ჰა-ჰა!

ჰა-ჰა!

– ნახე, გაგო, მდიდრებს სიცილიც მდიდრული აქვთ.

– ჰო, რაღაც არისტოკრატული მეჩვენა, ჩუმად ახლა, გამოდის!

თეატრს შეუმოსია მოლურჯო ფერი, მტვერში ახვეულა ყოველი, მაგრამ მტვერი არ ყოფილა ისეთი ყოველ ფეხის ნაბიჯზე რომ გვხვდება ქუჩებში, წიგნების თაროზე, ზარმაცი დიასახლისის სახლში თუ რა ვიცი... ყველგან სხვანაირი მტვერი იყო, მოტკბო. სიამით გააბრუებდა კაცს. თვალებს მოუწითლიანებდა, ოღონდ ტკვილისგან კი არა, სიმშვიდისგან. ჰო... აი, ესე, მიმშვიდდებოდნენ კაპილარები გამოსაზამთრებლად გამწესებულები მურებივით, მოეშვებოდნენ და კი დაუყვებოდნენ კაცს თვალის გარსზე პაწია გველების მსგავსად.

– მორჩა, თომაია! მორჩა ბიჭო! რამდენს ვნერვიულობდი, კიდე კაი გამიჯიბა მამაჩემმა, მაგრამ ნახე რამხელა თაიგულები მიართვეს გოგოებს, რას შვება ხალხი, არავინ თქვას ამ ქალაქში ფული არაა. ეს ნაბიჭვრები ჯერ არჩევენ მემგონი და ისე აფათურებენ გესლიან ხელებს. იმათაც ტვინი არ აქვთ, იყიდებიან გროშებზე! ნენე არაა ეგეთი, თომაია. ხო იცი, არა?!

– კაი რა, გაგო, თუ ძმა ხარ, მატერიალურზე კაცი როგორ ინერვიულებს, ეგ თუ იხსენა სიყვარული რაღა სიყვარულია. ოკეანეში რა დალევს შენზე უფრო დიდ თევზს და იმათზე დიდსაც. არაა ნენე ეგეთი, გიყვარს და უყვარხარ, მორჩა კინო, წავედით ახლა სახლში.

გენიალურია!

საოცარია!

ბრავო!

– თომაია, ბიჭო, ნენეს გავასეირნებ, არ მეყოფა საწვავი, ხომ არ გეწყინება შენით რო წახვიდე, კი წვიმს ცოტა მარა...

– არა, გაგო, რა მეწყინება, არაფერი დიდი წვიმა არაა, უარესიც ყოფილა, წინწკლავს რა...

თავსხმა იყო, თავსხმა... ერთია ღაპა-ღუპით თქრიალით ხვრეტდა მიწას წვეთები, რასაც თავსხმას ეძახიან, მაგრამ მეორე იყო ის თავსხმა, კაცს რომ ათასად მოაგონებს ხოლმე თავს და მერე კიდევ ათასზე გადამრავლდება... მერე კიდევ ათასზე და ასე... მოდის, მოდის, მოდის და ერთიანად აორთქლდება ხოლმე. გაიკვირვებს მავანი, სად აორთქლდაო, მაგრამ ფიქრების ტკივილი რჩება, ეგ დრო გვატყუებს, დრო თვითონაა მოკლეც, ფეხებიც და ტყუილიც. რჩება სადღაც, უძირო ქვევრში და არავინ იცის როდის გაგვახსენებს თავს, დარი როდის აირევა და როდის ისევ იწვიმებს.

– მოვედი, დე, მე ვარ, არ ინერვიულო.

– რა ქენი, თომა, დედი, რა ქნა გაგომ... ნახა ნენე? ხომ არ ნერვიულობდა?

– ნახა, ცოტას ნერვიულობდა, ირგვლივ ჯიბე მოსქელებული ხალხი იყო და თაიგულებს ატოლებდა, იმათ უფრო დიდი მიუტანესო.

– რა ანერვიულებდა კაცო, ეგ სიყვარული რაღა სიყვარულია ჯიბეები თუ ატოლეს ერთმანეთს.

– ეგრეა, მეც ეგ ვუთხარი. დალიე წამლები?

– ეჰ... დავლიე, შვილო, დავლიე. კიდევ კარგი ეს პენსია რომ მაქვს თორემ... სანამ ცხონებული მამაშენი ცოცხალი იყო, კი ვათრევდით წელს, ვერ დავდივარ შვილო... მოგეხმარებოდი მეც რამეში, რა ვქნა, მივეჯაჭვე ამ ლოგინს. მაგრამ სიყვარულმა არ იცის ფული, თომა, დედიკო. უთხარი ეგ გაგოს.

– კარგი დე! რა სიყვარული და რა ფული. ვუთხარი, აბა, არ ვუთხარი? წავალ დავწვები, დავიღალე.

– მშვიდობიანი ღამე... დედი.

უფალო იესო ქრისტე, ძეო ღმრთისაო, შემიწყალე მე ცოდვილი.

უფალო შემიწყალე,

უფალო შემიწყალე,

უფალო შემიწყალე.

ღმერთო, რა ლამაზი იყო! ვერ ვიტყოდი, რომ ნენე უკეთესად მღეროდა. შენც ხომ დაინახე არა? მაგრამ მაგას ხომ ვერ ვეტყოდი გაგოს, თეა უკეთესად მღერის მეთქი. ჰოდა, უფალო, ერთხელ ვცხოვრობ, მივალ ხვალ თეასთან ასე ურცხვად, ავდგები და მივალ! აუცილებლად მივალ და ვეტყვი... ყავაზე დავპატიჟებ! ჭავჭავაძეზე აკეთებენ ძალიან კარგ ყავას, კარგად ელამუნება მუცელს, შენც იცი არა? ხომ იცი, უფალო... მაგრამ ისიც გეცოდინება, ყავის ფულიც რომ არ მაქვს, მერე რითიღა ვიყიდო წამლები, დედა ფურცელზე რომ ჩამომიწერს ხოლმე და ჰგონია პენსიის ფული ჰყოფნის მხოლოდ, ჰო, ჰგონია ჩემსას არ ვამატებ. ხომ არ ვეტყვი უფალო, ასე უფრო მშვიდადაა, ერთი დედა მყავს, აბა მაგას როგორ ვეტყვი.

უფალო, შენობით რომ გელაპარაკები, ხომ არ მიწყენ, არ მიწყინო, უფალო, არ მიწყინო...

უფალო იესო ქრისტე, ძეო ღმრთისაო, შემიწყალე მე ცოდვილი.

უფალო შემიწყალე,

უფალო შემიწყალე,

უფალო შემიწყალე.

ᲨᲝᲠᲔᲜᲐ ᲓᲝᲚᲘᲫᲔ

ᲚᲔᲥᲡᲔᲑᲘ ᲪᲘᲙᲚᲘᲓᲐᲜ: „ᲞᲐᲚᲔᲝᲚᲘᲗᲘ“ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲚᲔᲥᲡᲔᲑᲘ

ᲗᲔᲗᲠᲘ ᲘᲠᲛᲔᲑᲘ

(პალეოლითი. ნადირობა)

ლელქაშში ქარი ჩამძვრალა, მთვარეც – რქა თეთრი ხარის,
მიაპობს ლელქაშს, მიარღვევს, შლის და თავიდან კვალავს.

დასარწყლულებლად მოსულა თეთრი ირმების ჯოგი.
წვრილ კანჭზე მდგარი ნუკრები ეკვრიან დედის ბეჭებს...
წყალი კი არა, ისეა, როგორც ცა დასალიერს.

ლელქაში ჩუმად შრიალებს, შუბისთავს აწრიალებს.

ეფარებიან ბალახებს იასპისფერი ქვები,
იასპისფერი ჩრდილები, იასპისფერი მხრები...

ლელქაშში ქარი ჩამძვრალი, მთვარე – რქა თეთრი ხარის,
მიაპობს ლელქაშს, მიარღვევს, შლის და თავიდან კვალავს.

* * *

რა უფრო დიდი სიწმინდეა:
უცდომელობის ამპარტავნება
თუ საკუთარი ცოდვების გლოვა?
ყველა თავის ლოდს მიაგორებს.
ყველა თავის დარდს მიაგორებს.
ნეხვის ხოჭოც. მეფეც და მონაც!
მხოლოდ ბრმას ესმის, რაც არ ესმის
ყველაფრის მხედავს,
მხოლოდ ყრუმ უწყის
რა მღელვარე ტბორია გული.

* * *

(ნაწყვეტი ხილვიდან...)

ბორცვი დაბლობზე,
როგორც ევერესტი კონტინენტზე,
როგორც ჭიანჭველების თაბორი!
რა აზრი აქვს მზერის რაკურსს?
მთავარი მდინარეა.
რძე-თაფლის ტალღები.
ჩვილმა მიაგნოს მთავარ ბორცვს,
ქარმა მიაგნოს მინდორს,
მტვერმა ბუტკოს,
მზემ ხნულში ჩაგდებულ მარცვალს.
შენ როდის მომაგნებ?
მე როგორ გიცნო?
დავხუჭო თვალი...
გხედავდე: ბორცვს დაბლობზე,
როგორც ევერესტს კონტინენტზე,
როგორც ჭიანჭველების თაბორს.

* * *

ვებრძვით მიწას, როგორც მეფე
ებრძვის ამაოებას,
გვინდა ხნულში ჩაყრილ სიტყვებს
მძიმე ფესვი მოებას.
ვებრძვით თავს და წუთისოფელს,
ვებრძვით გარყვნილ დროებას,
გვინდა, მაგრამ არ გამოგვდის
თავთან განმარტოება.
ჩვენ რომ ვკარგავთ, სხვა პოულობს
სახელსა და ქონებას,
აღარც მადლი აღარ შეგვრჩა,
არც ნათელი გონება.
ვეღარავის გააკვირვებს
ჩვენი დიდსულოვნება,
ვეღარც გვამში ჩამოღვრილი
სევდის უმანკოება.
მიწას ვებრძვით, ცასაც ვებრძვით,
ვებრძვით ამაოებას!

ქუნა პარპოლ

(სულის პეპელა – სვან.; ჩემს მეგობარს, **მაია წერედიანს!**)

აიქნიე თეთრი ფრთები, თეთრად მოთამაშე,
სამადსამი დილა მომეც, სამადსამი ღამე.

თეთრ ბილიკებს შევუდგები, თეთრ ნისლებთან მივალ.
ჩამეშლება ფეხქვეშ ჩემი ფრთხილი სითამამე.

ჩემო თეთრო ანგელოზო, ჩემო თეთრო დალულდ!
დამალულა ჩემი სული შენი თეთრი ფრთის ქვეშ.
წამიყვანე, გაშლილ ველზე, ქარში წამიყვანე...

ბადრის თეთრონს გააგელვებს დაოთხილი ქარი
თეთრ მინდვრებზე, თეთრ ველებზე ჩემად უნახავად...

აიქნიე თეთრი ფრთები, თეთრად მოთამაშე.
კიდევ სამი დილა მომეც, კიდევ სამი ღამე.

* * *

მიწასთან ძალიან ახლოს ვარ,
ზეცასთან ძალიან შორს...
და ჩემი ვარსკვლავი კამათელს,
ამ გაშლილ მინდორში თამაშობს.
მე ვკვდები, ის კიდევ ღიღინებს:
„კამათელი გავაგორე, დაჯდა დუ-ბარა,
სხვისი (ჩემი) ფული და ქონება სხვამ ჩაიბარა“...
მიწა კი ძალიან ახლოა,
ზეცაა ძალიან შორს...
და ჩემი ვარსკვლავი კამათელს,
ამ გაშლილ მინდორში თამაშობს.

* * *

ვინც იცის, რაა სოფელი,
ვინც მისი დარდი აწონა,
დღე-ღამის განუყოფლობა,
სწორფრის სწორფერთან დაწოლა.
ღამევ, შე უნდო სტუმარო,
რაისად აღარ მაგწონვარ?

* * *

საშვილოსნოს ღრუში –
11 კვირის ცოცხალი ნაყოფი.
გულისცემა – დადებითი.
კითხვაზე: აღნიშნული პროცედურის ჩატარება
პირად გადაწყვეტილებას უკავშირდება?
პასუხი: დიახ!

სამშობლოვ!

არ გაიკვირვო, ერთ დღესაც რომ ჩიტად ვიქცე,
თუ გავფრინდე, თუ ცხელი ცრემლი გაღვრევინო,
ჩემი სახელი თუ გაძახებინო....
ხომ შეიძლება იმ ერთხელაც შენ მოგენატრო!

არსად მიფრინავენ შაშვები

ცას წეროები გამობმიან. ზენა ქარის ტალღაზე წვანან.
წრიალებს შაშვი ძველ ბუდესთან,
ყვითელ ნისკარტს აღებს დროდადრო
და მაყვლის ბუჩქში გაჩხერილ ბუდეს
ასწორებს ფრთხილად.
მზე როდის იყო თებერვალში იკრებდა ძალას,
ან ხეში წყალი დგებოდა მშვიდად?
წერო რომ ვიყო, სხვის სამშობლოში
ვარდის ბუჩქზე გავშლიდი ბინას...
წერო რომ ვიყო...
და უხეირო ფრთები არ მქონდეს!

* * *

ცეცხლი გადმოდის,
ისევ ღამეა, მაგრამ მაინც გადმოდის ცეცხლი.
ცელქი ბალახი ამოწვერავს სადღაც ქარაფთან,
სადღაც ქარაფთან, და ცხოვრებისგან დაღლილ კაცივით
ჩაეკიდება ხევში თავდაღმა.
ცეცხლი გადმოდის, ისევ ისე გადმოდის ცეცხლი...

* * *

გავივლი ცხრა ნიშს,
ცხრა ნაკადულს,
ჩამორღვეულ ბაცლურჯ თაღოვანს
– დედისძმათა სასახლის თავანს.
ამ ერთხელ მაინც გადავლახავ
ყოფნის სამანს.
სატრფოს აჩრდილო,
აჰა, გული ჩემი – გლოვის პური,
ცრემლი ჩემი
– ღვინო სამარის!

* * *

სამართალს,
თავის მარცხენა ხელით უკავია
ჩემი სახელი,
ღირსება და
რეპუტაცია..!

* * *

ხე მოუგლიჯავს წუხელ ქარიშხალს,
ოღონდ ჭადარზე შემორჩენილ ბოლო ესკადრონს ვერ მორევია...
ა ეს ყუნწია, რაც მაკავებს... რითაც გადავრჩი.
რომ არა იგი, ქართველობის ფითრიან ტოტზე,
ჩავეშვებოდი ბაც-ლურჯ მორევში.

* * *

(ნაწყვეტი არდაწერილი ლექსიდან...)

ქორივით დაჰყურებ ჭიუხებს,
მიწას არ გაასხვისებ,
ვიდრე ნაწნავზე მომწვდება,
დაჰკოდავ, დაამიწებ,
რომელ ხოხობს და რა ბადაგს,
სახელსაც დაავიწყებ!

* * *

ისედაც სიზმარ-ცხადში დავყიალებ, ცოცხალ-მკვდარი და ბანგიანი, ვერვინ შეარყია ჩემი ციხე, ვერვინ მოარღვია გალავანი. ხანდახან ჩამაივლის გალავანთან მეზობელ ქორ-ვაჭრის ქარავანი, ძაღლიც არ სჭირდება, ისეთია, ჩემი ციხე-კოშკის გალავანი... შენ გაღმა გორზე კარავი გაქვს, შორს ხარ და ახლოს იხედები, მოდი აბა და თუ ბიჭი ხარ, აიღე ჩემი გალავანი!

ზამთრის ბუნიობა

სამი ნაყოფი შეზრდია ერთ ყუნწს.
ნოემბრის ბოლო შუადღეა...
სენაკი ჩემი: ორი კარი, ერთი ფანჯარა.
ჯერ ისევ მწვანე ფოთლებს აცლის ქარი ბროწეულს.
ვერ ხარობს ჩემთან ბროწეული.
მზეც დამცხრალია.
ამაღამ ზღვიდან სანაპიროს შეესევიან
უამინდობით ამღვრეული მესეფეები.
ამაღამ დიდი სიყვარულის ბნელი ღამეა.
სამი ნაყოფი შეზრდია ერთ ყუნწს...
ერთს გახლეჩ – ნდომის წყურვილი გკლავს,
მეორეს – ლპობის,
მესამეს – თვალებახელილი შიმშილი გიცქერს.
ამაღამ მოვლენ მესეფეები,
დაწვებიან ყველა ქალწულთან,
ყველა სიზმარში შეაღებენ დაგმანულ სარკმელს.
ყველას მოკლავენ...
ხოლო, ზამთარი, ყველაზე სათნო დედაბერი,
ყველაზე ტკბილი სინამდვილე (სიკვდილის შემდეგ),
უჩუმრად გსინჯავს.
სამი ნაყოფი შეზრდია ერთ ყუნწს.
ნოემბრის ბოლო შუადღეა...

* * *

მომხვევია ყელზე ქამანდი, მომბჯენია ბეჭთან დამბაჩა
და გულო, ჩხართვის ბუდევ, გამხმარ ძეძვნარში,
როგორ ინახავ ბარტყების სითბოს...?
საკუთარ სინდისს მინდობილო,
საკუთარ სიტყვას მინდობილო,
გამაგრდი, სულო!

ორნაირად იძახის მიწა

(ნაწყვეტი)

ორნაირად იძახის მიწა,
შემცივნულ ტერფებს ვერ გაგითბობს
სიცხიანი ხნულების ჟრჟოლით.
ღიმილით მეტყვის ჩემი ქმარი,
მიწის მუშაკი, მიწისაკენ თავმიდრეკილი:
ფესვგადგმული ხარ,
ნუღარაფრის შეგეშინდება!

გამოქვაბულის ლომი

(პირველი ლოცვა)

როგორ გამოგიტყუო საკუთარი თავიდან,
საკუთარი ტყავიდან, საკუთარი კანიდან...
მთვარის შუქზე ტორტმანებს ჩემი ტანის ჩრდილი,
სადაც შიში გართხმულა სხივის მოლოდინში.

როგორ ფრთხილად ჩურჩულებს თითქმის მკაცრი ბაგე,
ტორტმანებენ დღის შუქის უხილველი სიტყვები,
ჯერართქმული ბგერები, ჯერარხსნილი ხმები.

მსხმოიარე ვარსკვლავთა ახალგაზრდა ხომლები,
მთვარეების, მზეების ახალშობილები.

როგორ გამოგიტყუო საკუთარი თავიდან,
საკუთარი ტყავიდან, საკუთარი კანიდან...

ამ დაღველფილ კერასთან, ახალმთვარეობაში,
ამ ჟრიალში, ამ ქარში, ამ სუსხიან ბინდში
კლდიდან წამომართულან იასპისფერ მხრებით,
იასპისფერ თითებით, იასპისფერ ფრთებით.

უცოდველი ჩვილივით მიძინებულ ცაზე,
პირველმდუმარებაში წვება ლურჯი ჩრდილი.

* * *

საშიშ თამაშში ჩაბმულხარ,
თამაშს ჰგავს, თამაში არ არი...
ქარები კივიან ხევებში,
არც ხევი, არც ქარი არ არი...
მიცქერ და მეძახი გორიდან,
გორა კი, არ ჩანს თუ არ არი...
ჩრდილები გაშლილან მინდვრებზე,
ჩრდილები, ნისლები, ქარები...
სად გადავეკიდო ქარაფებს,
ვეძებ და ქარაფი არ არი...
მხოლოდ მაგ თვალების ბინდია,
ბინდია და ბინდიც არ არი...
საშიშ თამაშში ჩავბმულვარ,
თამაშს ჰგავს, თამაში არ არი!



სანდრო ბერიძე

ნიამორის კოპლებიანი დღიური*

13 სექტემბერი, 1986 წ.

იმ დღეს, უთეთრეს კაბაში გამოწყობილმა, მოწყენასა და მრისხანებაში ჩაბუდებული, ოდნავ ღიმილიანი ბაგით, ფიქრიანი თვალებითა და ხმათა საოცარი ვიბრაციით, მომაჯადოებლად რომ წაიკითხა ქედის კულტურის სახლის სცენაზე „ანგელოზს ეჭირა გრძელი პერგამენტი“, ნიამორი თან ნიამორი იყო და თან იმ ანგელოზს ჰგავდა, გალაკტიონის ამ შედევრში გრძელი პერგამენტი რომ ეჭირა ხელში და ლექსს კითხულობდა.

...„მშვიდობით, მშვიდობით, მშვიდობით!“... დაასრულა და... ეს დამშვიდობება ჩვენთვის ყველაზე ლამაზი შეხვედრის გაგრძელებად გადაიქცა...

ეს იყო გოროზი მთების უსახელო და უცნობ-ნაცნობი მადონა!

ეს იყო სიველურეში განფენილი და სინაზით გაჯერებული, ზღვის მეცხრე ტალღათა ქაფებს გამოყოლილი ვენერა.

ეს იყო მორცხვი და უკარება, ფრიალო კლდეებში მოფარფატე ნისლივით წმინდა და სუფთა სოფლელი გოგონა.

ეს იყო პოეზია – მუსიკაში და მუსიკა – პოეზიაში.

ეს იყო ფერი – სიტყვაში და სიტყვა – ფერში.

...და ეს იყო ნიამორი.

ვუმზერდი სცენაზე მდგარ საოცარ გოგონას და ასე მეგონა, თავად ყველაზე დიდმა შემოქმედმა, მის მიერვე შექმნილი ყველა ქალი გაქურდა და ყველაზე სრულყოფილი სასწაული შექმნა, რომელსაც, უბრალოდ, ნიამორი დაარქვეს.

„...მშვიდობით, მშვიდობით, მშვიდობით“.

აკი ვთქვი, ეს დამშვიდობება შეხვედრას უფრო ჰგავდა-მეთქი...

...და კიდევ,

იმ ღვთაებრივ ემანაციას ჰგავდა, რომელიც აგერ, ერთი პროვინციული რაიონის, პატარა შენობის, პატარა სცენაზე მდგომ ნიამორს, ისე და იმდაგვარად ემოსა და ეფრქვია ირგვლივ, ვითარცა მიწიონელ-ზეციონელთა უჩინარი ხელებით შეკერილდალაგებულდაწნულდაუთოებული ქათქათა კაბა, ფატა და გვირგვინი.

ყველა ადამიანი ეტრფის და ეძებს რაღაც განსაკუთრებულს, უცნაურსა და სრულყოფილს. მათ შორის, ალბათ, მეც. ჩემი ძებნა და ლტოლვა არც ილუზიური სინამდვილისაგან იყო გამოწვეული და არც ლეგენდურისა. ეს იყო ის სინამდვილე, რომელშიც რეალურ-ილუზიური ერთმანეთში ისეა შერწყმულ-გადაჯაჭვული, როგორც ერთი მთლიანობის ორი ტოლფარდი ნაწილი.

არცთუ ისე მიამიტად ვთვლი საკუთარ თავს, შექმნილისა და შემოქმედის ერთმანეთისაგან განსხვავება რომ ვერ მოვახდინო.

---

* გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ჭოროხი“, №2, 2024 წ.

ისიც გამეგება, წარმოსახვითი, არარსებული, ილუზიური ანუ ლიტერატურული სინამდვილის შესაქმნელად და ამ სინამდვილეში შესასვლელად, მისტიფიკაციისა და რომანტიკულობის ვარდისფერი გზები რომ უნდა გაიაროს ადამიანმა, მით უმეტეს, ხელოვანმა... მაგრამ ამ შემთხვევაში, რაც ამ პატარა სცენაზე ხდებოდა, ეს იყო ამჟამინდელი, რეალური, ქმედითი, ყოფითი სამყარო, სათნოებით, სიყვარულითა და ჰარმონიით გაზავებული, შეწონასწორებული, შექმნილი თავად ყველაზე დიდი ხელოვანის – გამჩენელის მიერ. უბრალოდ, სამწუხაროდ, ჩემი, ჩვეულებრივი კალმის მოსმა, სხვათა და სხვათა გულ-თვალ-გონებაში, მას მყარ და მტკიცე დამაჯერებლობას ვერა და ვერ მისცემს, რადგან, საამისოდ, ღვთისგან დაბერტყილი ვირტუოზი ხელოვანის განსაკუთრებული ნიჭი, განცდა, ემოცია, გარდასახვა და ცეცხლოვანი ენერგიაა საჭირო.

16 იანვარი, 1987 წ.

აი, ახლა თოვს. ისე თოვს, როგორც გაის ამ დროს თოვდა, როგორც ათასი წლის წინათ თოვდა, იმნაირი სინაზითა და ფანტელების იმნაირი შრიალით თოვს, როგორც სამყაროს გაჩენის პირველივე დღიდან თოვდა...

თოვლი თითქოს არქაული და ძველისძველია, თითქოს ხანდაზმული და ასაკგადაცილებულია, მაგრამ მაინც ყველაზე თოთოა, ყველაზე ჩვილი და ნორჩია, ათასჭიგამოვლილი და მრავალჭირგადანახადია, მაგრამ გამოუცდელია და მიამიტია...

ყველაზე დიდი პოეტი ის უსახელო პოეტი იყო, ვინც პირველად ნახა ციდან მიწისკენ მოფარფატე თოვლის ფიფქები და პეპელას შეადარა...

ჰოდა, ვდგავართ ახლა მე და ნიამორი ქედის ულამაზეს და კოპწია ხიდზე, იანვრის 16 რიცხვია, პარასკევი. გადავყურებთ მდინარე აჭარისწყალს და ვტკბებით თოვისა და თოვლის მშვენიერებით. გამვლელ-გამომვლელები ინტერესიანი და ცნობისმოყვარე თვალებით გვიყურებენ, მაგრამ სულაც არ გვადარდებს მათი დაბურული ფიქრი და ზრახვა. დაე, იფიქრონ, რომ ხიდიდან აჭარისწყალში ვაპირებთ გადახტომას...

ისე ხვავრიელად და გამეტებით თოვს, გეგონება, სულ მალე, თოვლით აივსება მზისქვეშეთი. ირგვლივ ყველაფერი ნიამორის თეთრი ქურთუკივითაა, მიდამოს თოვლის ქურთუკი უხდება, ნიამორს თეთრი ბეწვის ქურთუკი. კია ირგვლივ ერთი ფერი-თეთრი ფერი, მაგრამ ამ ერთფერში იმდენი ფერია მიმობნეული, მისი ჩამოთვლა მე – უბრალო მოკვდავს კი არა, გუსტავ კაიებოტს, ბერტა მორიზოს, პიერ რენუარს, კლოდ დებიუსს და ამადეო მოდილიანსაც კი გაუჭირდებოდათ.

თოვლი ცივიაო, ამბობენ, არამც და არამც, ეს ტყუილია, თოვლი ქალივით სათნო, თბილი და ალერსიანია, ქალივით ნათელია, მაგრამ ბოლომდე ამოუხსნელი და ამოუცნობია...

– გესმის ფანტელების ხმაური? – მეკითხება ნიამორი.

– კი, მესმის, ისე მესმის, როგორც შენი ჩურჩული-მეთქი, – ვუპასუხე.

– არა, რაღაც ამოუხსნელი და ამოუცნობი, მაგიური ხმა და კოსმიური მუსიკა ჩამოაქვს ციდან თითოეულ ფანტელს. ყოველი მათგანი ღმერთის მიერაა გამოგზავნილი და თან არაამქვეყნიური ლოცვები ჩამოაქვთ დედამიწაზე. საოცარია ბუნება, მხოლოდ ღმერთს შეუძლია ხელის ერთი მსუბუქი მოძრაობით აამოძრაოს ეს ყველაფერი და, თუკი საჭირო დარჩა, შეაჩეროს კიდეც... ოდესღაც, ალბათ ჩვენსავით უმზერდა ბუნების ამ საოცრებას დიდი ვაიმარელი ბრძენი და ამ მზერაში დაებადა საოცარი სიტყვები, შემდგომში მის მიერვე შექმნილ მოუსვენარ და მარადისობამონატრებულ ალქიმიკოსს რომ ათქმევინა: „შეჩერდი წამო, შენ მშვენიერი ხარ“!

ნიამორს ვეღარაფერი ვუთხარი, არ მინდოდა მის მიერ ჩამოქნილ და წარმოთქმულ ლამაზ სიტყვებს რაიმე ჩემეული მიკიბ-მოკიბული მიმემატებინა...

იმ უმშვენიერესი დღის სამახსოვროდ მე და ნიამორმა ქედის ხიდის მოაჯირს ერთი უბრალო

ლექსი წავაწერეთ და ურბანიზმით დაჭლექიანებული ქალაქისაკენ გამოვემგზავრეთ...

წარწერა ქედის ხიდის მოაჯირზე

როცა დღეების წავლენ ტომები
და გამეფდება სიჩუმე დიდი,
ოდესმე ვინმეს თუ ვეხსომებით,
მე, ნიამორი და ქედის ხიდი.

მოწმე ბეთლემის უტყვი მთებია
და ცის კიდეზე მთვარე მისხალი.
ჩვენს ზღაპრებს, ნეტა, თუ მოყვებიან,
აკავრეთა და აჭარისწყალი.

ქარს დასაწერი მიაქვს იგავი,
დროის წიგნიდან ამონარიდი,
რომ აქ ოდესღაც ერთად ვიყავით,
მე, ნიამორი და ქედის ხიდი.

1987

7 აპრილი,1987 წ.

დავიღალე... მართლა დავიღალე... დედა ავადმყოფობს, მამაჩემიც საავადმყოფოშია.

სახლში არავინაა. უთენია ვდგები, დედაჩემს საჭმელს ვუმზადებ, ისედაც ვერ ჭამს ვერაფერს... თავქუდმოგლეჯილი მივრბივარ ავტობუსს რომ მივუსწრო, თუ დავაგვიანებ, სასოფლო საბჭოს ცენტრამდე ფეხით მომიწევს ჩასვლა, ექვსი კილომეტრი უნდა გავიარო...

ეს კიდევ არაფერი, ამას კიდევ არა უშავს, საშინელება მაშინაა, რაიონის უკიდურეს სოფლებში საგაზეთო მასალების მოსაძიებლად გასული, ზოგჯერ ისე გვიანობამდე ვრჩები, რომ ზემო რაიონებისკენ არც ერთი ავტობუსი აღარ გადის, შემთხვევით მიმავალ „გრუზოვიკს“ მივყვები და ცენტრიდან ფეხით მიწევს სახლში ასვლა. დაძინებასაც ვერ ვასწრებ, თავზე მათენდება და ისევ იმნაირი დღის წესრიგი იწყება, როგორც გუშინ, გუშინწინ და იმის წინ იყო... ერთფეროვნება მჭამს და მღლის, მაგრამ სხვა გამოსავალი არ არსებობს, დედას მარტო ხომ ვერ დავტოვებ...

გუშინ ჩამოვედი ბათუმში, დედაჩემთან ჩემი პატარა ძმა დარჩა, ათი დღითაა ამოსული სოფელში... ავტობუსი მძღოლს ჭავჭავაძის ქუჩაზე, პროფკავშირების კულტურის სახლთან გავაჩერებინე და პირდაპირ ნიამორს მის მაგნოლიასთან მივაკითხე, არ დამხვდა... ეკლესიასთან გავედი და ბაღში ჩამოვჯექი... გვიან შევხვდით, შემატყო, მოწყენილი რომ ვიყავი... რამე მოხდაო, მკითხა, არა-მეთქი, ვუპასუხე. მე კი ძალიან სასიხარულო სიურპრიზი მაქვს შენთვისო და... „ძოწისფერი გვირილები“ გამომიწოდა. გამიხარდა, მაგრამ არც ისე, ესეც შემატყო... ნახე, რა კარგი კრებულიაო, დამამშვიდა... რაა გასახარელი, ჩემს ასაკში პოეტი უნდა ამთავრებდეს წერას, მე კი ხუთიოდე ლექსი ძლივს დამიბეჭდეს, ისიც საერთო კრებულში... ასე წაბუზღუნებით გამოვხატე უკმაყოფილება. არა უშავს, მთავარია რომ წერ, საკუთარი და სასურველი წიგნის დაბეჭდვა მომავალშიც მოხერხდებაო... დამიყვავა. ერთადერთი ნიამორია, რომელსაც ნებისმიერ დროს შეუძლია ჩემი ბუტია და სულელური ხასიათი დადებითისკენ შემოატრიალოს. მე მას სიკვდილშიც ვენდობი, ამიტომაც ჩემს მომთვინიერებელს ვეძახი ხოლმე...

ვიდრე ლექსების საერთო კრებულის დაბეჭდვა გადაწყდებოდა, ბარემ სამჯერ მივაკითხე გამომცემლობა „საბჭოთა აჭარის“ დირექტორს პრეტენზიით, რომ მწერალთა ორგანიზაციის დადგენილებით ჩემი კრებული ცალკე წიგნად უნდა დაებეჭდათ... დირექტორი თავისი უხეშობითა და უჟმური ხასიათით განთქმული კაცი იყო, მისი უკმეხი გამონათქვამები, გაცნობამდე მქონდა გაგონილი. არც ჩემთან დაახანა, აქეთ შემომედავა, მადლობა თქვი, საერთო კრებულში რომ შეგიტანეთ, რაში გჭირდება რომ წერ, რომელი ზურაბ გორგილაძე შენ მყავხარო... მაშინ, საერთოდ ამომიღეთ დასაბეჭდთა სიიდან-მეთქი და კარები მივუჯახუნე...

„ძოწისფერი გვირილები“ 110 გვერდიანი ლექსების საერთო კრებულია. წიგნში ათი ავტორის – ქეთევან გიორგაძის, ბელა ქებურიას, ზურაბ ზოიძის, ჟუჟუნა შაინიძის, ნაირა ცხვედიანის,

იაშა თანდილავას, მაია მახარაძის, ევგენი თავდგირიძის, ჯემალ სურმანიძის და ჩემი ლექსებია დაბეჭდილი. თითოეული მათგანი 10-12 ლექსითაა წარმოდგენილი...

მე თუ მკითხავს ვინმე, თითოეული ავტორი საკუთარ წიგნს იმსახურებს, მაგრამ... მაგრამ... იწუწკა გამომცემლობამ...

11 მაისი, 1987 წ.

არა, მაინც რა დღე იყო ის ნაცრისფერი შაბათის დღე... ნიამორი პატარა ბავშვივით იქცეოდა, იცინოდა, კისკისებდა და ტიტინებდა. ლამის ბათუმი შემოვიარეთ ხეტიალში... ჩემი ყველა შეთავაზება ბანზე ამიგდო, მათ შორის ხელის თხოვნაც... სულ არაო და არაო, მოდი ხუთი წლით გადავდოთ ეს საკითხი, ხუთი წლის შემდეგ ვილაპარაკოთ ამ თემაზეო... მერე ჩემი მისდამი მიძღვნილი ლექსი წაიკითხა, ახლაც ჩამესმის მისი საყვარელი ხმის უმსუბუქესი ჰარმონია...

თეთრი კლავიში

თეთრი კლავიში როიალზე ტირის თვალსველი,
თეთრი კლავიში გააწამა შავმა კლავიშმა.
თეთრო კლავიშო, ლაღ მეჯლისზე შენ ვინ
დაგიშვა,
თეთრო კლავიშო, სევდის ბალზე ხარ წასასვლელი.

ვინ ბედისწერას მარტოსულად წაჰყვა, ვინ – ორი,
ბინდისკენ მიდის ყველა შარა, მოჩანს რაიცა.
თეთრო კლავიშო, არ წახვიდე მარტო, დაიცა,
თეთრო კლავიშო, მე ვიქნები შენი მინორი.

მარტოობაში მარტოობას უფრო უჭირდა,
სიცივეც ისე საბრალოა, როგორც ღადარი.
საით გავიქცეთ დაღლილებმა, გზა არსად არი,
ცა ფიქრითაა დალუქული, მიწა – ჭუჭყითა.

ჩვენ ოქტავაში გაგვებუტა ყველა აკორდი,
ისინიც ჩვენებრ მღერიან და არ ქვითინებენ.
თეთრო კლავიშო, უჩემობა თუკი ინებე,
მაშინ ლოყაზე სევდის ცრემლად რატომ დაგორდი.

ერთფერი დარდი ერთმანეთთან რად ვერ მივიდა,
რატომ იმედებს უიმედოდ მოაქვთ ხმა შორი,
რატომ სიკვდილის აკაკუნებს კარზე მაჟორი,
შავო კლავიშო, რას დაგვცინი, რა მოგივიდა?

წაკითხვა დაამთავრა და ახლა საუბარი რილკეზე გამიბა:

– „მე მაინც მგონია, რომ რილკე არანაკლები მხატვარი იყო, ვიდრე ნებისმიერი იმპრესიონისტი და კიდევ, არანაკლები მოქანდაკე – თუნდაც მის მიერვე გაკერპებული როდენი. მათგან განსხვავებით მისი ფერები სიტყვებში და ბგერებშია განფენილი, მისი ნებისმიერი სტრიქონი და წინადადება სახვითი ხელოვნების ნიმუშია, უბრალოდ, მის დასანახად და შესამჩნევად თითოეული წინადადებისა და სიტყვის ძირის–ძირში ჩასვლა და ჩაღწევაა საჭირო.

– „ალბათ, ყველა რილკესნაირს მისი ლუ ანდრეას სალომეც ჰყავს, ხომ“?... – მოულოდნელად ჩავუჭერი კითხვა...

– „ჯერ ერთი, რილკესნაირი არავინაა ამ სამყაროში, რილკე ერთადერთია და არა ბევრი, ისე, როგორც ლუ ანდრეას სალომეც. ამ გოგომ ხომ სამი გენიოსი – რილკე, ნიცშე და ფროიდი თავის ჭკუაზე ატარა... მიუხედავად ამისა, მე მაინც არ მომწონს ლუ ანდრეას სალომე“... – გამარჯვებულის ტონით მიპასუხა ნიამორმა.

მეგონა კიდევ აპირებდა რაღაცის თქმას, მაგრამ წუთიერი სიჩუმე რომ აღარ გაგრძელებულიყო, ისევ მე დავიწყე:

– რილკეს წერილებიდან და ელეგიებიდან გამომდინარე, მკითხველს ეგონება, თითქოს რაინერი ღრმადმორწმუნე ადამიანია, სინამდვილეში ასე არ არის, რა თქმა უნდა, იგი ყველაფერში ღმერთსა და სიკვდილს ეძებს, მაგრამ რილკესეული ღმერთი უზენაესი ღმერთი არ არის, ეს ღმერთი საგნების არსში ჩამალული ღმერთია და ეს სიკვდილი, მისივე თქმით: „ყველაფრის ნაყოფი და შუამავალი სიკვდილია“. – მეც მოკლედ ამოვთქვი რილკეს ერთ-ერთი ელეგიიდან მოტანილი და ამ მომენტისთვის ლამის ჩემად ქცეული წონიანი მოსაზრება.

– ეს შენი „თეთრი კლავიში“, – ისევ დაიწყო ნიამორმა, – რილკესეული მარტოობითაა გაჯერებული, რილკეს მარტოობა, საითაც შენ მიილტვი და მიედინები, იმ მარტოობის საპირისპირო შინაარსის შემცველია, ჩვეულებრივი მარტოობის გაგებით რომ წარმოესახება უბრალო მოკვდავს. რილკესეული მარტოობის მასშტაბი კი საკმაოდ დიდია და უნივერსალური, ის მეტაფიზიკური მარტოობაა, მისივე საოცარი ეზოთერული პოეზიით. ყველას არ ძალუძს მის სამყაროში ბოლომდე შეღწევა, მისეული ნაწერების იმგვარად აღქმა და გაგება, როგორიც თავად, ყველა დროის უზუსტესი, უმკაცრესი და საოცრად მარტოსული პოეტის მოაზროვნე ფიქრმა და ჯადოსნურმა სიტყვამ შექმნა. ალბათ ახლა რილკე ცოცხალი რომ იყოს მისი შემოქმედების ზედმიწევნით ახსნა თავად მასაც კი გაუჭირდება... იყავი რილკესავით მარტოსული და ეძებე ის, რაც შენს სულს ყველაზე მეტად ესალბუნება. ნურც მე დამივიწყებ... მეძებე მე ყველგან... სადაც არ უნდა ვიყო, მაინც შენში და შენთან ვიქნები, ოღონდაც, ნუ გაეხვევი და ნუ ჩაიძირები კამიუს აბსურდში“... – დაასრულა ნიამორმა და თან მთხოვა, აღარაფერი მეთქვა....

დამუნჯებულები მივედით ავტობუსის გაჩერებამდე...

მე ისეთი უცნაური, თითქმის ამოუცნობი და ქვეტექსტებით მოლაპარაკე ნიამორი არასოდეს მენახა.

25 მაისი, 1987 წ.

რედაქციიდან რომ გავდივარ, კაბინეტს ღიას ვტოვებ. დღესაც ასე მოვიქეცი. ორიოდე საათით გავედი. უკან რომ მოვბრუნდი, მაგიდაზე 1983 წლის „საუნჯის“ მეექვსე ნომერი დამხვდა. ყდა მოგლეჯილი აქვს. მივხვდი, ნიამორის მოტანილი რომ იყო. დიდხანს ვეძებდი ამ ნომერს, მარინა ცვეტაევას წერილებია დაბეჭდილი. ნიამორმა იცოდა რომ ვეძებდი. არ ვიცი, სად და როგორ მოიძია... მეგონა დამელოდებოდა, გული დამწყდა, მეწყინა, რომ არ მოიცადა, თუმცა, ისიც ვიცი, რატომაც არ მოიცადა, რატომაც არ დამელოდა, სამი დღის წინ ვიჩხუბეთ... ჩემი ბრალი იყო... მე ხომ ოხერი და აუტანელი გამაჩინა ღმერთმა...

ჟურნალი რომ გადავფურცლე პატარა, ლურჯი ფერის, ოთხად მოკეცილი ფურცელი გადმოვარდა. ვიღებ, ვშლი და ვკითხულობ:

„იმედი მაქვს გამიგებ... მე საოცარი წინათგრძნობა მაქვს, არ გაგიკვირდეს, თუ ბუნდოვნად ვგრძნობდი ჩვენი ურთიერთობის ასეთ დასასრულს და იმ დღეს, ო, იმ დღეს, რომლის არარსებობისთვის უყოყმანოდ დავთმობდი სიცოცხლეს... მე შენ დიდი, წმინდა სიყვარულით მიყვარდი და ასე იქნება მუდამ... აღარ მეძებო... ბედნიერი იყავი სანდრო“!..

ბოლომდე რომ ჩავიკითხე, ელდა მეცა, თავბრუ დამეხვა, თვალები დამიბნელდა, თითქოს ვიღაცამ ურო ჩამარტყა თავში... გავოგნდი, გავხევდი, გავიყინე... ხმამაღლა რომ არ მეტირა, სახეზე ხელები ავიფარე და მოცელილივით ჩავეშვი სავარძელში...

მოხდა ის, რისიც ყველაზე მეტად მეშინოდა, რასაც ქვეცნობიერად ვგრძნობდი და განვიცდიდი, რისი შიშიც არ მასვენებდა და ჯალათივით დამყვებოდა ბოლო დროს.

ამბობენ, რაც უნდა მოხდეს, ყველაფერი ღვთის ნებითააო, ბედისწერას ვერსად გაექცევი და დაემალებიო... და თუ ეს, მართლაც ღვთის ნებით ხდება, მაშინ რა დავაშავეთ მე და ნიამორმა? ხომ შეიძლებოდა ჩვენი ერთად ყოფნის ბედისწერაც დაწერილიყო?... რა ვიცი... რა ვიცი...

არ მჯერა, ვერ წარმომიდგენია და ვერც ვერასოდეს დავიჯერებ, რომ დავკარგე ნიამორი... კი, ეს, სისულელეა... ჰო, ასე მინდა იყოს... თუმცა, სამწუხაროდ, წარმოუდგენელი და დასაწვავი სიმართლეც რომაა?...

5 ივნისი, 1987 წ.

ათი დღეა, ნიამორს დავეძებ. ათი დღე ათ საუკუნედ მეჩვენება, დრო თან უსაშველოდ გარბის და თან ერთ ადგილზეა გაყინული, ჩემს წრიალსა და ბორგვას ბოლო არ უჩანს... ინსტიტუტის ეზოში, რუსთაველის ბიუსტთან, ძელსკამზე ვზი-

ვარ და ველოდები, იქნებ აქ გამოჩნდეს, იქნებ აქ გადავეყარო-მეთქი. არსად ჩანს, არც ბიბლიოთეკაში ყოფილა, გოგოებმა, რომლებიც მეცა და ნიამორს დიდი ხანია გვიცნობენ, მითხრეს, დიდი ხანია არ გამოჩენილაო. დღეში ლამის ორჯერ მივდივარ ჩვენს საყვარელ ადგილებში, იქნებ იქ გადავაწყდე სადმე, არა და არა, ვერსად ვპოულობ, თითქოს ცამ და მიწამ ჩაყლაპა... ერთადერთი გზაღა დამრჩა, სახლში რომ მივაკითხო, მაგრამ ვერ ვბედავ მისვლას, უფრო სწორედ, არ მინდა მივიდე, სულ ამას მთხოვდა, ჩემს გამო მშობლებთან უჩემოდ არასოდეს მიხვიდეო...

ასე მგონია, ჩემს თავზე ბნელეთი წვება და ირგვლივ მრუმდება ყველაფერი.

9 ივნისი, 1987 წ.

კაბინტში მარტო ვარ, იმდენი სიგარეტი მოვწიე, ბოლმა ლამის დამახრჩოს... ფანჯრებს ვაღებ და ჰაერს ვეძებ, ჰაერი კი არსად ჩანს, ლამის გავიგუდო... ჰაერი... ჰაერი... უნდა ვიყვირო, მაგრამ თითქოს ენა არ მემორჩილება, თითქოს მუნჯი ვარ... ახლა ჩემი ჰაერი ნიამორია, წყალივით მწყურია მისი ღიმილი, მისი თმების სურნელება, მისი ბავშვური ტიტინი და დედოფლური მრისხანება...

კარს თანამშრომელი გოგონა აღებს და დაუკითხავად შემოდის, თუმცა რად უნდა ნებართვა, რომელი მკაცრი უფროსი მე ვარ... – იცი რა უნდა გითხრა? – მეკითხება და თანხმობას ელის, – რა-მეთქი... – რა და... ის გოგონა გათხოვილა, ჩვენს გაზეთში სურათი რომ მივეცით მასწავლებლის დღეზე... – აღარ დაამთავრა... მიტრიალდა და კარი მომიხურა...

მე მოცელილი ბალახივით დავეშვი სკამზე...

მე ხომ ვიცი, რატომ „მომახარა“ ამ გოგომ ეს ყველაფერი...

დღეს დრო მართლაც გაჩერდა.

18 ივნისი, 1987 წ.

მე უკვე სამუდამოდ დავკარგე ნიამორი... მე დღეს ცოცხალი აღარა ვარ... მე დღეს საკუთარი ხელით გათხრილ საფლავში ვწევარ და ველოდები შემთხვევით გამვლელ-გამომვლელს, თუნდაც მაწანწალას, თუნდაც ქარსა და ქარაშტოს, რომ შეზვინოს საფლავი, რომელშიც ვწევარ, ამოავსოს ჰაერით სავსე ორმო, ჩემი სახით რომ ჩაწოლილა უდაბნოურ უდაბურებაში და საბოლოოდ დაასრულოს ეს აუტანლობა...

ყველაფერი დამთავრდა, ყველაფერი დასრულდა, აღარ არსებობს, აღარც აღტაცება, აღარც აღფრთოვანება, აღარც სიყვარული და პოეზია, ყველაფერი უსაყვარლესი ქალის არსებობას თან რომ ახლდა, მის უბრალო გამოჩენას, ღიმილსა და თუნდაც გაბრაზებას რომ მოჰქონდა... ახლა ბურუსია ირგვლივ, შავმა წერტილმა დაასრულა ყოველივე, მან მოიტანა და გაამეფა უკიდეგანო და სრულიად უშინაარსო სამყარო, რომელსაც სიცარიელე ჰქვია.

ამ საშინელ და საზიზღარ განცდას, ამ ყველაფრის წამლეკავ და გადამბუგველ ცეცხლს, რომელსაც ახლა ნიამორის დაკარგვით განიცდის გული, ვერავითარი სიტყვა ვერ გადმოსცემს, ვერ ახსნის...

გამოსავალი ყველაფერს აქვს, სასოწარკვეთასაც, უიმედობასაც და მათ შორის ამ საშინელ და აუტანელ მარტოობასაც... და ამ გამოსავალს მზისქვეშეთიდან გაქცევა და მარადისობის საზღვარს მიღმა წასვლა ჰქვია... ჰო, ასეა.

25 ივნისი, 1987 წ.

მხოლოდ ის მახსოვს, სახლში თითი რომ გავიჭერი, სისხლით წერილი რომ დავწერე და ჩემს დას მივეცი, ეს კონვერტი ნიამორს გადაეცი, თუკი სადმე ნახო-მეთქი... ჩემი და ნიამორს იცნობდა, რამდენჯერმე ერთადმყოფებს შეგვხდა და გავაცანი... წერილის გადაცემის მერე უსიტყვოდ გავედი სახლიდან, უმისამართოდ და უაზროდ ვიხეტიალე... ეკლესიის წინ, ბაღში ძელსკამზე დავჯექი და... ვენები გადავისერე...

იქვე პირველ საავადმყოფოში მოვედი გონს. ვერ ვხვდები აქ საიდან მოვხვდი, გაბრუებულს თვალებში ფერადი რკალები მიტრიალებს, ვერაფერს ვიხსენებ, აღარაფერი მახსოვს, კი მოვედი გონს, მაგრამ ყრუ და ბნელ ბუნდოვანებას

ვყავარ დაუფლებული... არ ვიცი... არ ვიცი... აღარაფერი აღარ ვიცი და არც მინდა ვიცოდე... ახლა ყველაფერს მზისქვეშეთიდან წასვლა სჯობს, მაგრამ... ეტყობა გამჩენს ჯერ არ ვჭირდები... რა ვიცი... რა ვიცი...

9 ივლისი, 1987 წ.

ცხოვრებაში ყველაზე ცუდი და აუტანელი მომენტია, როცა თვითმკვლელობას გადაწყვეტ და გადარჩები.

ეს ამაზრზენი განცდა, მიწაზე მძიმე ლოდივით მიდევს სამუდამოდ გატეხილ გულში და მაძევს ცხოვრების სიმძიმით ოდნავ მოხრილ მხრებზე...

რანაირადაც არ უნდა გაერთო და იმხიარულო, როცა გაგახსენდება რომ ოდესღაც საკუთარი თავის მოკვლა გსურდა და საკუთარი მე-ს მკვლელი იყავი, მაგრამ მაინც გადარჩი, გრცხვენია და გერიდება, გახსენებაც კი აღარ გსურს იმ სისაძაგლისა, რაც ჩაიდინე, რის ჩადენასაც აპირებდი, ჰო, არ გინდა გაიხსენო, მაგრამ ხსოვნა არაფერს გეკითხება, არაფრად არ გთვლის, მისით მოვა და, თან, მაშინ მოვა, როცა მოისურვებს, როცა მოუნდება და რა დროსაც მოეპრიანება.

დაკარგული სიყვარულის გამო სასოწარკვეთილი ადამიანი, ალბათ ყველაზე უმწეოა, უიმედოა და ისე გრძნობს თავს, თითქოს ყველამ მიატოვა, ყველამ ზურგი აქცია, თითქოს აღარავის უნდა და აღარავის სჭირდება... მას სიცარიელე და იმედგაცრუება იპყრობს, დეპრესიისკენ უბიძგებს, ბოღმა და ბრაზი კი არ ეუფლება, სევდიანდება, უკარება ხდება, აღარავისთან სურს ურთიერთობა, უნებლიეთ მიექანება გაუაზრებელი და დაუგეგმავი თვითმკვლელობისკენ...

ჩემი ვენების გადაჭრისა და გადარჩენის ამბავს, ჩემი უსაყვარლესი ლექტორი, ქალბატონი ნელი დუმბაძე რომ გაიგებს, ნაცნობ გოგონას დააბარებს, სახლში შემომიაროს და აუცილებლად მნახოსო. ისიც გავიგე, ჩემი ამბავი ნიამორს რომ ეთქვა ქალბატონი ნელისთვის, რამე საშინელება კიდევ რომ არ ჩაიდინოს, იქნებ დაელაპარაკოთ, თქვენ ყველაზე მეტად დაგიჯერებსო...

კარებში შესულს, მისეული საოცარი ღიმილითა და თაფლა ხმით მითხრა: რა ქენი, ბიჭო, ალტრუისტული თვითმკვლელობა გადაწყვიტე, ხომ?... ამას ლადო ასათიანი არასოდეს, არავითარ შემთხვევაში არ ჩაიდენდაო... თან იქვე, დივანზე მიმითითა, თვითონაც გვერდით ჩამომიჯდა. მორცხვად დავჯექი, ის შეჩვევა და ოდნავი სითამამე, მანამდე რომ გამაჩნდა ამ უსაყვარლესი ლექტორის სახლში სტუმრობისას, სადღაც გამქრალიყო და გადახვეწილიყო. დავმუნჯდი, ხმა ვერ ამოვიღე...

მყუდროება ისევ ქალბატონმა ნელიმ დაარღვია:

– წავიკითხე სისხლით დაწერილი წერილი... უფრო სწორად, წამაკითხეს... მე შემეძლო წერილის თაობაზე არაფერი მეთქვა... თუმცა ამას ახლა რაღა მნიშვნელობა აქვს... შენგან ამას არ მოველოდი, მოველოდი კი არა, ვერაფრით და ვერასოდეს წარმოვიდგენდი... თუმცა, ერთის მხრივ, კარგია, ამოდენა სიყვარული რომ შეგიძლია, ასე საოცრად და ასე ძლიერ რომ გიყვარს, მაგრამ, ამ შენი საქციელით, ვინც გიყვარს და ვისაც შენ უყვარხარ, არანაკლებ ტკივილს რომ აყენებდი, ამაზე რატომ აღარ იფიქრე... შენ ერთი კი არა, შენი საქციელით რამდენიმე ცოდვის ჩადენას აპირებდი, აპირებდი კი არა, ჩაიდინე უკვე... სასოწარკვეთაც ცოდვაა, ასევე ცოდვად ითვლება შურიცა და ამპარტავნობაც. თვითმკვლელობით ხომ ადამიანი სიყვარულსაც კლავს... არადა, სიყვარულმა უნდა სძლიოს ყველა ცოდვას... ის გოგო იყო ჩემთან, ვის გამოც თვითმკვლელობა გადაწყვიტე, შენ არც კი იცი, შენი სიკვდილით მასაც რომ კლავდი... კი, სიყვარულისთვის სიკვდილი სიმამაცეცაა, მაგრამ, სისუსტესაც ნიშნავს, დაანებე ამ უხეირო და ფუჭ ფიქრებს თავი, ლექსები წერე, პოეზიაში ეძებე შვება... დრო ყველაფერს გაანელებს....

ისე წამოვედი, ხმა არ ამომიღია, კრინტიც კი არ დამიძრავს... რაღაც მიხაროდა და, თან, მწყინდა კიდეც, არ ვიცი რა და რატომ.

სამ დღეში ისევ შემომიარე, ვისაუბროთო, – მითხრა, საოცარმა ქალბატონმა და ღიმილით შეპატიჟებული, ღიმილითვე გამომაცილა...

ვიდრე გაურკვევლობის ბურუსი საბოლოოდ გაიფანტებოდა ჩემი ცხოვრებიდან, არა და არ მეშვებოდა, ქალბატონი ნელი, კი არ მთხოვდა, მავალდებულებდა და მაიძულებდა კიდეც მასთან სიარულს...

ტკივილი არასოდეს ხუნდება და თავდაპირველ ტკივილადვე რჩება სიცოცხლის ბოლომდე, უბრალოდ სადღაც, გულის კუნჭულში იძინებს და მანამდე არ იღვიძებს, სანამ თავად გული არ მოისურვებს მიწიდან ცაში მის გადატანა-გადარგვას.

22 ივლისი, 1987 წ.

მე მიყვარს სევდა. იმდენად შევეჩვიე, იმდენად გავითავისე, დავიმგზავრე და დავიმეგობრე, ასე მგონია ყველგან სევდა მელოდება შეყვარებულივით, ასე მგონია, ყოველ უთენია თუ საღამოს ზღვაზე რომ დავაპირებ გასვლას, ნაცნობ მაგნოლიებთან თუ პალმებთან მივდივარ, ყველგან სევდა მეგულება, ასე მგონია პაემანი მაქვს მასთან დანიშნული, უგონოდ შეყვარებული ვარ მასზე და მივრბივარ, გავრბივარ, ვჩქარობ რომ არ ვალოდინო, არ დავაგვიანო, არ გავაბრაზო, არ გავაბუტო...

და მე ვხვდები... და მე მივხვდი, რომ სევდა დაკარგული ნიამორია, რომ სევდამ ნიამორის ადგილი დაიჭირა ჩემს გულში, რომ მე ეს საოცარი გოგო სევდის სახით ვიპოვე, ჩავჭიდე ხელი და აღარასოდეს დავკარგავ, რომ ყველა ჩემს სიხარულსა და მწუხარებას მას ვუმადლი, მას ვეუბნები ყველაფერს, ვუხსნი და ვუმტკიცებ პატარა ბავშვივით...

ჩვენ ერთმანეთში ჩავსახლდით, გაერთიანებული ვართ, მე სევდის გარეშე არსებობა ვერ წარმომიდგენია და სევდას-ჩემს გარეშე. სევდა ჩემთვის სამოთხეცაა და ჯოჯოხეთიც, ცხოვრების შემთხვევითობაცაა და გააზრებაც, ლექსიცაა და მუსიკაც, სიცოცხლეცაა და სიკვდილიც...

მე და სევდა, ჯერ კიდევ ჩვენს გაჩენამდე, ჩვენს დაბადებამდე კარგა ხნით ადრე, ზეცაში დაგვნიშნა გამჩენელმა... სევდამ მიერთგულა მაშინ, მიწა რომ გამომეცალა ფეხქვეშ და ზეცა ჩამომემხო თავზე, როცა დავკარგე ყველა და დამენგრა ყველაფერი. ერთადერთი სევდა დარჩა ჩემს გვერდით შვებად და იმედად, როცა ყველაზე მეტად მიჭირდა, როცა მარტოდმარტო დავრჩი მზისქვეშეთში, როცა ცხოვრება დეჰნას უდაბნოს მოჰგავდა და მაშინაც, როცა აუტანელ უდაბურებაში ზოგჯერ დუნჰუანგის ოაზისივით გამოანათებდა იმედის ნაპერწკალი, როცა არსაიდან და არავისგან ველოდი შვებასა და შველას, მან მიერთგულა, მან იწამა ჩემი მარტოობა, შეიყვარა, გაითავისა და მიიღო ისეთი, როგორიც მე ვარ, ზოგჯერ ასატანი და უფრო მეტად აუტანელი, ჭირვეული, ჯიუტი, გაქირი, ბუტია და მიამიტი...

ჩემში ყვავილივით სევდაა ამოსული,
დღეები სევდიანი დღეებით მეორდება...
ჩემსავით ყარიბი და ჩემსავით მარტოსული,
ყველგან ტყუპისცალი სევდა მელოდება.

სევდაზე გამძლე და ერთგული არაფერია მზისქვეშეთში.

შენ გაგიმარჯოს სევდავ, მარადიულო და თანამდევო, ვერშეუცვლელო და არშეუცვლელო, გაუხუნარო და უღალატო მეგზურო. მე შენ მიყვარხარ, მე შენ მომწონხარ, მე შენ მინდიხარ და ჰაერივით მჭირდები.

31 ივლისი, 1987 წ.

აღარ მახსოვს, სად წავიკითხე, თითქოსდა, ქალები უფრო ერთგულებია სიყვარულისადმი, ვიდრე მამაკაცები, თოთქოს მამაკაცი იოლად გამოდის შეყვარებულის მდგომარეობიდან, ქალი კი მარადიული და რომანტიკული სიყვარულის უერთგულესი თანამგზავრია. შესაძლოა ასეც იყოს, მაგრამ ის კი დანამდვილებით ვიცი, საყვარელი ქალის დაკარგვით გამოწვეული სასოწარკვეთა და სტრესი მამაკაცს უსუსურსა და უნიათოს ხდის, რაც საბოლოოდ, დეპრესიის მორევში ჩათრევით მთავრდება.

რაც არუნდა ცივი გონებით განსაჯო, მისხალ-მისხალ გაანალიზო და სულ სხვა კუთხით, გნებავთ გამოუსწორებელი ოპტიმისტის თვალით შეხედო განვლილ ცხოვრებას, ბოლომდე მაინც ვერ დააღწევ თავს ელდასავით მოვლენილ დეპრესიას... მელანქოლიის თრევით ქანცგამოცლილს აღარ შეგწევს მისგან საბოლოოდ გაქცევის უნარი, დამძიმებული სული და დაბინდული გონება ვეღარ ერევა იმ წყენას, მწუხარებას, სიმწარეს და სასოწარკვეთას, დაკარგულმა სიყვარულმა რომ მოგივლინა მარადი მაყარივით, რომელსაც შენ კი არ მართავ, თავად გმართავს, როგორც მოესურვება.

ეს ყველაფერი, კარგიცაა და ცუდიც. ორივეს კი მაინც მარტოობისკენ მიყავხარ, მარტოობა კი... ბალზაკის თქმისა არ იყოს – „მარტოობა კარგია, მაგრამ შენ გჭირდება ვინმე ისეთი, ვინც გეტყვის, რომ მარტოობა მართლაც კარგია“.

პოეტ
პოეტიშვილი

მარტოეული

ციურ ცრემლს ისხამს ხმა რტოეული,
მე მყავს ტყუპი ძმა მარტ ორეული,
ვხცოვრობ ჩემს თავში art მორეული,
მარტოსული და მარტოეული.
ელვის ქსელს ლექსავ მარტო ობობით,
ბრუნავს ჩვიდმეტი მარტი წლიურად,
შემოდის ქალი მარტოობობით,
ამურის ქალით არტისტიულად.
და იწერება სატრფოს ხვეულით,
გრაგნილის კაბა – ეიფელური.
ვსდევ თავის ქალით მარტოეული,
ქალის სილაჟურ შლეიფს ველური.
გიჟ სულებით ვართ არტო რეული
და მსგავს ცხოვრების ფართო რვეულით.
არის ავტ-ორი, არტ ორეული,
კავალერობით მარტოეული.
ბორიოს ამბორს ბორო ტეულობს,
ქალს ვუალი აქვს მარტის ტიული
და ყვავილებით ბოროტეულობს,
თავის ქალაში არტისტიული.
მე ვარ პარისი და ვარ პარიზიც,
ტრფობის ტროადან მტრად ოტებული.
თავის ქალაზე ვარდად ქალი ზის
და გულს უგალობს მარტოეულის.
ჩემში ბინადრობს მეორე სულიც,
იანვრის სახით, ორი სხეულით.
მაცოცხლებს ლექსი მორეასული
და მკლავს მემენტო მორისეული.
ვგიჟდები მარტის მარტო სნეული,
ლურჯ ხელს რომ მართმევს ხელს alone.

არტისტულ ნიღბით მარტოეული,
თავს არ ვინიღბავ ჰელოუინით.
თოვლზე ამოდის მარტო სულ ია,
მაისის ვარდით მიტოვებული.
პოეტი მარტთან მარტოსულია,
როგორც მარტვილი მარტოეული.
იცვლის ფრანგული მზე ფერს ლირიკით,
ლექსია ჩემი გვარტომეული,
ლირას რომ ვიღებ მეფე ლირივით,
მიტოვებულად მარტოეული.

ამორ ფატი*

ჩემს სულში იშვა მედ ალიონი...
სახეს იფარავს, ცა, ამ ორ ფატით,
ცისკრის ვარსკვლავის მედალიონით –
მემენტო მორით და ამორ ფატით.
ერთშია სამი ზნის ამორები,
დამითმეს ტანჯვის ჯილდო სნებიანს.
მომინადირებთ ნიამორები,
გულმკერდს რომ გიშვერთ მშვილდოსნებიანს.
ძლიერ ვუყვარვარ ამ ორ ფატიმას,
სიკვდილ-სიცოცხლის ამ ორფა ტურით.
ნისლიდან მოაქვს ამორ ფატი მას,
ქაფის ნატურით ამორფატური.
ვენებში მისხამს ცა მორფს ატუმის,
სული ფარფატებს სატრფოს მატურით
და ბოლოს მიღებს ამორ ფატუმი,
ფატალური და აპოფატური.
ვიღაც ჩემს გულში ამორს ფატრავდა...
უსიყვარულოდ დავისვენე რაც,
პეპლურ ეფექტით ამოფარფატდა
თავისქალიდან დავის ვენერა.
ნეტავ, იცოდეთ ხატავს ვენნე რას,
ან არტისტული ქალით ვევნე რას.
ორსახიანი კატა ვენერა,
ცისფერ ჰიპნოზით იჭერს ჩვენ ერას.
გულის ნაპირზე მიშენთ ზღვა ისარს...
ერთ კალმახით და სამ ორაგულით,
დღეს მოვარღვიე მღვრიე საზღვარი,

* AMOR FATI – სიყვარულის ბედისწერა.

ისრული ბადით ამორაგული.
გამომეცხადა დღეს დალი ონით,
გულს დამაბნია საამო ფაქტით
ვენერ-მარსული მედალიონი,
(მემენტო მორით და ამორ ფატით).
მარტში მაგიჟებს მზე – გალიონი,
ხან აფროდიტე მოირას ფატით,
ხან ლურჯა მთვარის მედალიონი,
(MEMENTO MORI და AMOR FATI)
მოაქვს ციური ენდალმიონი,
როცა მოფრინავს ამბორფარფატით,
წრიულ წარწერის მედალიონით,
მემენტო ვენუსს და ამორ ფატი.

ცის მამა

კაცს ვერ ნახავთ უკეთესს სამყაროში მამაზე.
ჩემი ლექსიდან

ზეცის კაცი ხარ, მამა ცის,
მესმის შვიდფერში ხმა მათი.
დაობლებული მამაცი,
თავს ობლად არ ვგძნობ მამათი.
იყავ შენ მიწის მამა ყმა,
ოფლს ღვრიდი ხნულის საცურად.
სიკვდილსაც შეხვდი ამაყმა,
იცხოვრე კაცურკაცურად.
დასრულდა ფერთა გამობა,
გაშავდა ფერთა შლილობა.
გშვენოდა ჩემი მამობა,
მიხდება შენი შვილობა.
გაჭრეს მართკუთხა ორმო ცის,
სიკვდილ-სიცოცხლის დომინო.
მოშვებულ წვერით ორმოცი
დღე ვტირი, როგორც დომინგო.
წუთებს წამება მიწამებს,
სიკვდილი რომ ვერ ვიწამე.
რუხ წუთისოფელს მიწამებს,
შენზე დაყრილი მიწა მე.
ქარი ყველამხვრივ დამარხევს,
ცრემლის სმით მამა ვიგემე.

მამავ, ჩემს თვალწინ დაგმარხეს,
სიკვდილის ვერ გავიგე მე.
ამინდიც იდგა პირსველი,
გულით სხვაგვარად მწყდებოდი.
მიწის აკვანშიც პირველი,
მამასახლისად წვებოდი.
ვიხარშებოდი ცრემლებით,
გული ამოსკდა ქაფლავით.
მე მამის ხსოვნას ლექსებით,
ვინახავ თაფლის საფლავით.
ცისა და მიწის გამყოფად
ჩნდება ცისარტყლის წვით ტირე.
დედაც მიტირა ამ ყოფამ,
ვხედავ დღედაღამ გიტირებს.
ატირდა სამი დრო თარით,
ვაჭიანურებ ჭიანურს,
ვყინავ იანვრის მძორ თარიღს,
მეხის ხემივით ხმიანურს.
მწუხრის ებანის ნებაზე
ყველა შენს სიტყვას ვციტირებ
და მამის გახსენებაზე,
მამავ, შენსავით ვიტირებ.

საშობაო ეპისტოლე

Merry Christmas
პირველ სიტყვას დაბადებით
ციურ თევზის მჭერი რითმავს,
სულა კალმახს მყარ ბადეში
მოაქცევდა, MARY, Christmas.
ქალწულად და თოთოდ ვლილი,
წელზე იშლის MARY ჯვრის თმას.
ცის ემბაზით მოთოვლილი,
თოვლში ვმღერი Merry Christmas.
აცუნდრუკდა ცა გუნდრუკით,
გიჟურ სულის აკმეს ველი.
გამოჩნდება გზა გუნდ-რუკით
და შესაქმის საკმეველი.
ხელთუქმნელი ნაწნავებით
ზეციური მერი ხრის თმას.
ანანავდა აწ ნავებით
მხსნელი გემი, Merry Christmas.

ვუსმენ გულის ყურსასმენით,
მერაია ქერის ხმით მას,
თოვლი ჩემი სულსასვენი,
როცა მესმის Merry Christmas.
მისახსოვრებ მაცხოვარის
წმინდა მუზამერი ხის ჯვარს.
ლექსს შევწირავ ხმას ცხოვარის,
საკალანდოდ Merry Christmas.
ხვამლს, მცხეთას და ამ აიას,
გავუგზავნი მერმისის ხმას,
მე მწამს წმინდა სამაია,
თოვლი, მერი, Merry christmas.
შველას არ გთხოვთ, არიქა მე,
მაძლევს სულის ქარი შვებას.
თუ პოეტის არ იწამეთ
თქვენში ღმერთი არ იშვება.
ალაპლაპდა ლაპლანდია,
ჩრდილოეთის ირმის ჯვრის მთა,
სულში თოვლის პაპლანდია
და გალობა, Merry christmas.
ცამ შვა შვებით შობის ღამე,
ამ ერის და იმ ერის ხსნა.
მოღიმღიმე, მოღიმღამე,
მისამღერი Merry Christmas.
უშენობით მედაღა მე,
ნუ მომაკლებ მზერით ღვთის მზეს,
ჩემში რომ შვა მზე და ღამე
და სიმღერა, Merry Christmas.
ყოველ ცისმარ ვმღერი სიზმარს,
მივუყვები მერისის გზას
განდობილი ბერი, მზის არსს
გახარებდით, Merry Christmas.
ყველა ტანჯვას მე დავითმენ,
რაც გადამდეს ალმუნებით,
იდუმალი მედავითნე
ლექსს ვქადაგებ ფსალმუნებით.
შობა, ექვს დღეს ლექს ის აპანს,
ცის მნათე რომ გამანათებს,
პოეზიის ლექსის პაპა,
ირმებს ვატან ამანათებს.
ერთა წმინდა საშო, ბაო,
ცის გუმბათის ზარია მთა.

ღმერთან მინდა საშობაოდ
და მზის თვალწულ მარიამთან.
სულის ლურჯ მგელს გწირავ ცის კრავს,
ვარსკვლავს ვესვრი მწირად ცისკარს,
ხომლის ვერძი მწკრივად ცისკრავს
და ბედს მიხსნის კვირას ცის კარს.
მზის სიზმარით, აქ არი ზმა
და ცისარტყლის ფერის პრიზმა,
უცნობ ჯვარმა ააქრიზმა,
ზმანებებში Merry Christmas.
ირემი ხარ ცისიერი,
უმანკო და ღვთისმიერი,
გრაალის განძს, იხთისს, მერით
სულში ვეძებ ლიხთიმერი.
პირჯვარს იწერს სიო ნებით,
მესიონის მერი ქრის, ტმესს
ზეამერისიონებით,
აცეკვებდა Merry Christmas.
სამ ხმაში ვგრძნობ მზის არიას,
მარხულ სიტყვით ვმღერი ხვთის ხმას,
მარიამის სიზმარია
რომ ვიხილე, Merry Christmas.
სამ-ოთხ ირმის ცისკარნახვით
მივუძღვები პოეტის ეტლს
და ვწერ თქვენთვის ცის კარნახით
საშობაო ეპისტოლეს.
ღმერთიც მეკვლედ პოეტს ელის,
აჯილდოვებს მტრედის ფრთით მას,
რომ მის ნათქვამ ეპისტოლეს
ჩამოიტანს Merry Christmas.

მარტის ისიდა

ვარდებს უხმობენ მისტერ იები
ვენერამურულ მისტერიებით
და ისტორიულ ისტერიებით.
გათავისუფლდა ცის საწყისიდან,
გადმომილოცა ვინც თავისიდან,
ცისფერი სფინქსით მარტის ისიდა.
მიწყივ ძიებას ვიწყებ მთიების,
როცა ყვავილებს გიკრეფ მითების,
როცა ნატრობენ ტიტებს თითები.

შენ სულს ვამაღლებ პირად დიდებით,
ნილოსის პირას ხშირად გპირდები
ახალ სიმაღლეს, პირამიდების.
ჩვენ გვაკავშირებს არფის ხიდები,
გედის ოპერა, მარტის იდები
და დაპირება პირამრიდები.

პარიზის სამსჯავრო

მკვდარ წიგნით მუმია მეფეთა ველს,
სიზანტით მოიხმო მემ ფისო.
ღვინოში ვხარშავდი მეფე თაველს,
საითკენ მიგყავარ მემფისო?!
ლურჯ ცხვრებით მთებს ფარავს ფარა ონის,
თეთრ ზამბახს ვუგზავნი როს ირისს.
ოქროს ვერძს მზეს ვწირავ, ფარაონი,
კაენი თავს მომჭრის ოსირისს.
მე ვაგებ ისიდას პირამიდას,
სულ ყველა მათხოვრის საცხოვრის.
სამსჯავრო მომიწყო პირამ იდას,
პარიზში სასჯელი მაცხოვრის.
გარდმომხსნის ქალწული მარიამი,
იდგმება ბოშური პიესა,
ჯვარს მაცვეს, როგორც ქმარი ამის
და შვილად დამტირის პიეტა.

მერაბ კიღაძე

ვალი

ეძღვნება დედას

ზაფხულის თბილი ღამე... ოთხშაბათი... როგორც ყოველთვის, კვირის ამ დღეს ქალაქში ქირურგიული კლინიკა მორიგეობს. დღესაც, ერთი შეხედვით, ჩვეულებრივი მორიგეობაა: შემოდიან პაციენტები, უკვე რამდენიმე ოპერაცია გაკეთდა, დილის 4 საათია... სიმშვიდეა, თენდება. მორიგე ბრიგადა ისვენებს. საორდინატოროში ზის ახალგაზრდა, მაგრამ უკვე საკმაოდ გამოცდილი ქირურგი მ. და აკეთებს ჩანაწერს ოპერირებული პაციენტის სამედიცინო ისტორიაში. რეკავს ტელეფონი: მორიგე ექთანი სწორედ მას სთხოვს ჩავიდეს მიმღებ განყოფილებაში და გასინჯოს პაციენტი, რომელიც ახლახან მიიყვანეს სასწრაფო დახმარების მანქანით. პაციენტი ხ., ახალგაზრდა, სასიამოვნო გარეგნობის ქალბატონი, სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი აღმოჩნდა, მ.-ს კი განსაკუთრებით გულთბილი და მეგობრული დამოკიდებულება ახასიათებს კოლეგების, ახლანდელი თუ მომავალი ექიმების მიმართ. ხანმოკლე გამოკითხვისა და პირველივე შეკითხვების მოსმენისთანავე, პაციენტი განსაკუთრებული ნდობით განეწყო სიმპათიური, თავდაჯერებული ახალგაზრდა ექიმის მიმართ, რომელიც სითბოს, თანაგრძნობისა და სიმშვიდის სასიამოვნო აურას ასხივებდა. გამოკვლევის შემდეგ, შესაბამისი ანალიზების საფუძველზე, ექიმმა მწვავე აპენდიციტის დიაგნოზი დასვა. საჭირო იყო სასწრაფო ქირურგიული ჩარევა. პაციენტმა და ახლობლებმა თანხმობა განაცხადეს, თუმცა პაციენტს ერთი დელიკატური თხოვნაც აღმოაჩნდა:

– ექიმო, 3 თვის ბავშვი მყავს. მალე უნდა მოიყვანონ. გთხოვთ, 6 საათისთვის დაასრულეთ ოპერაცია, რომ შევძლო ბავშვის გამოკვება...

მ. წამით შეყოყმანდა. ბუნდოვნად რაღაც გაახსენდა თავისი ბავშვობიდან, მაგრამ თავს სძლია, სიტუაციას დაეუფლა და მშვიდი, მტკიცე ხმით დაარწმუნა ქალი, რომ ყველაფერს იღონებდა ამისთვის. ამის შემდეგ გასცა საჭირო განკარგულებები და საოპერაციო ბლოკისკენ გაემართა.

დილის 5 საათია. წინასაოპერაციო ოთახში მ. ხელს იბანს და თან ბრაზი ერევა, რომ პაციენტი ჯერაც არ ამოუყვანიათ საოპერაციოში. ის თვალს არ აშორებს კედლის საათს და გონებაში ერთი ფიქრი უტრიალებს: „ოპერაცია 6 საათისთვის უნდა დასრულდეს, ხომ გესმის ყმაწვილო? უნდა მოასწრო...“ – ბოლო დროს მ.-ს საკუთარ თავთან ლაპარაკი დასჩემდა, შეხუმრებით შეძახილი და ამ გზით თავის გამხნევება. როგორც იქნა, გამოჩნდნენ სანიტრები საოპერაციო ეტლით. „საკმარისია, ახლა უნდა დავმშვიდდე და მშვიდად გავაკეთო ჩემი საქმე“, – ისევ გაიმხნევა თავი.

მაშ ასე, საოპერაციო ველი მზადაა, ადგილობრივი ანესთეზია გაკეთდა. განაკვეთი გაკეთებულია. ახლა სხვა ფიქრი აეკვიატა ექიმს: ადამიანი ხომ ვერაფრისგან იქნები დაზღვეული! ღმერთმა ქნას, ყველაფერმა ნორმალურად, გართულებების გარეშე ჩაიაროს... ჩვეულებრივ, მ. ოპერაციებს სწრაფად, თავდაჯერებულად, ზედმეტი ფორიაქის გარეშე აკეთებს. აქვს შესანიშნავი ქირურგიული ტექნიკა და, ახალგაზრდა ასაკის მიუხედავად, საკმაოდ მდიდარი გამოცდილებაც – მან ხომ ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებიდან დაიწყო საოპერაციო პრაქტიკა. მაგრამ ახლა გრძნობს, რომ ნერვები ღალატობს: ყოველ 2-3 წუთში საათს კითხულობს, უმიზეზოდ საყვედურობს ასისტენტს და საოპერაციოს ექთანს, ჩქარობს. გარეგნულად თითქოს ყველაფერი კარგად მიდის, და მხოლოდ მ.-მ იცის, რატომ ჩქარობს ასე. გონებაში ისევ ფიქრების სკა აზუზუნდა, რომლის ზედაპირზე ერთი პატარა, საძაგელი აზრი ამოტივტივდა და შეკითხვით მოსვენებას არ აძლევს: ბოლოს და ბოლოს, რა მოხდება, 15-20 წუთით ან თუნდაც ნახევარი საათით რომ დაგვიანდეს ბავშვის კვება? არაფერია საგანგაშო, ხომ ასეა? ალბათ, ასეა. მაინც, რა ხშირად გვიხდება ცხოვრებაში საკუთარი თავის გამართლება! ვცდილობთ გავიმარტივოთ საქმე, თავიდან ავიცილოთ სირთულეები, განზე გავდგეთ და ყველა წყლიდან მშრალად გამოვიდეთ. ასე ხდება, როცა საქმე სხვებს ეხება, მაგრამ საკუთარ თავს ვერსად გაექცევი, ვერ დაემალები, ვერ მოატყუებ, როგორც არ უნდა ეცადო. ზოგიერთები მაინც ცდილობენ თავის მოტყუებას და სამაგიეროდ, მთელ ცხოვრებას მორგებული ნიღბითა და იმიჯით ატარებენ. აკი ამბობენ, ცხოვრება წარმოდგენაა და ჩვენ ყველანი მსახიობები ვართო... ამბობენ. ბოლოს და ბოლოს, დრაიზერიც ამას ამტკიცებდა: იმაზე მეტად დაიფასეთ თავი, ვიდრე იმსახურებთ – და თქვენ სხვებიც დაგაფასებენ. საზოგადოება კი, ზოგადად, ძალიან ცუდად ერკვევა ადამიანებში... და მაინც, ხომ არსებობენ ისეთი ადამიანებიც, ვინც არ ატარებს ნიღაბს, ვისაც საკუთარი სახე აქვს, ნამდვილი სახე! ნიღბები კი, ნიღბები უნდა ჩამოიხსნას. ადამიანის ჭეშმარიტი არსი ადრე თუ გვიან აუცილებად გამჟღავნდება.

მაგრამ ძლიერი შინაგანი ხმა ფარავს და ახშობს ყველაფერს: არა, ყმაწვილო, არა, ეს მოხდება. შენ არ გაქვს თავის დაძვრენის უფლება. ოპერაცია დროულად უნდა დასრულდეს და ბავშვი დილის 6 საათზე დედამ უნდა გამოკვებოს. მორჩა! სხვა გამოსავალი არ არსებობს. გაიხსენე ანალოგიური სიტუაცია, რომელიც მრავალი წლის წინ შეგემთხვათ შენ და დედაშენს.

„დიახ, გამახსენდა“, – უპასუხა საკუთარ თავს მ.-მ, – „მე უნდა მოვიხადო ჩემი ბავშვობის ვალი. ვალდებული ვარ მოვიხადო. და ეს მოხდება სწორედ დღეს, ახლა. აუცილებლად მოვიხდი, ან დავკარგავ საკუთარი თავისადმი პატივისცემას“.

უცებ მ. დამშვიდდა, ჩვეული გაბედულება, სიმტკიცე და თავდაჯერებულობა დაუბრუნდა. მოძრაობები ისევ მკაფიო, სწორი და ზუსტი გახდა. ყველაფერი თავის ადგილას დადგა. მუცლის ღრუს გაკვეთის შემდეგ, უცებ იპოვა ანთებადი, გასქელებული, სისხლძარღვებით გაჯერებული ჭიაყელა დანამატი და მოხერხებულად მოაქცია ჭრილობაში, ძირშივე გაკვანძა, მერე მოკვეთა და სწრაფად ამოკვეთა. ამას მოჰყვა მუცლის ღრუს საკონტროლო შემოწმება სისხლდენასა თუ სხვა პათოლოგიაზე... არა, ყველაფერი რიგზეა. ახლა რაც შეიძლება სწრაფად უნდა გაიკეროს ჭრილობა და ოპერაციაც დასრულდება.

შინაგანი ხმა ულოცავს: ყოჩაღ ყმაწვილო, მაგარი ხარ, ყოჩაღ!.. ახლა შეგიძლია წაუღიღინო კიდეც! – მართლაც, ოპერაციის დასრულებისას, მ. ხშირად ღიღინებს. განსაკუთრებით კლასიკური მუსიკა უყვარს. მისი ყველაზე საყვარელი შემსრულებელი კი, რა თქმა უნდა, გენიალური ლუჩიანო პავაროტია. ამჯერადაც თავისთვის, ხმადაბლა დაიწყო მისი ერთ-ერთი სიმღერის ღიღინი. ექიმის კარგი განწყობა მთელ ჯგუფს გადაედო და ყველა ხალისიანად, შეწყობილად ამუშავდა. ოპერაცია წარმატებით დასრულდა.

თენდება. სავარაუდოდ, ეს იყო იმ დღის მორიგეობის ბოლო ოპერაციაა და მ.-ს იმედი ჰქონდა, რომ ორიოდე საათით დაისვენებდა და წაუძინებდა კიდეც.

– მორჩა, დავასრულეთ. რომელი საათია?

– ექვს ოცი აკლია.

– შესანიშნავია, – სიხარულს არ მალავს ექიმი, – დაუძახეთ სანიტრებს და პაციენტი პალატაში გადაიყვანეთ.

წინასაოპერაციოში ასისტენტმა შეაჩერა:

– ოპერაციის მსვლელობის დროს რა მოგივიდათ? რატომ ჩქარობდით?

– იცი, დილის 6 საათზე აუცილებლად უნდა დავურეკო ერთ ახლო მეგობარს ძალიან მნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებით, – განუმარტა მ.-მ.

– მაინცდამაინც დილის 6 საათზე? – გაუკვირდა ასისტენტს.

– და რა არის ამაში გასაკვირი, მეგობრობა ხომ სადღეღამისო მცნებაა. ასე არ არაა?! – უპასუხა მ.-მ.

ორივემ მხიარულად გაიცინა. კეთილი, ყველაფერი რიგზეა, – გაიფიქრა მ.-მ, სწრაფად გამოიცვალა საოპერაციო უნიფორმა, სხვა ხალათი გადაიცვა და განყოფილებისკენ გაეშურა. პალატის კარი შეაღო, ღიობს მიეყრდნო და სიბნელეში, დერეფნიდან შემოჭრილ შუქზე, ასეთი სურათი დაინახა: მარცხენა განაპირა საწოლზე იწვა ბედნიერი დედა, გვერდით კი თეთრებში გახვეული ჩვილი, რომელიც ფშუტუნებდა და აუღელვებლად წოვდა ძუძუს... – თეთრი ფერი მართლაც უმანკოებისა და სიწმინდის განსახიერებაა, – გაიფიქრა მ.-მ.

უცებ საშინელი დაღლილობა და, ამავდროულად, საოცარი სიმსუბუქე იგრძნო: თითქოს მთელ სხეულს მოედო უჩვეულოდ სასიამოვნო, ტკბილი და დიდი გრძნობა. წამით თვალები დახუჭა. საკუთარი ისტორია გაახსენდა... პატარა საპორტო ქალაქში, სადაც დაიბადა, – ის იმ დროს სულ რამდენიმე თვის იყო, დედას ასევე მწვავე აპენდიციტის შეტევა დაემართა. ქალს სასწრაფო წესით გაუკეთა ოპერაცია სომეხი ეროვნების აწგანსვენებულმა ქირურგმა ა.-მ. მაშინ მან ქართველ ბიჭუნას დედა გადაურჩინა. ოპერაციის დასრულებისთანავე, ჩვილი დედასთან მიიყვანეს გამოსაკვებად, ის კი პაწაწუნა ფეხებს ახალნაოპერაციებ ჭრილობას ურტყამდა... ბავშვი კიდევ არაერთხელ მიუყვანეს დედას საავადმყოფოში და ალბათ, ამიტომაც, ადრეული ასაკიდან, მეხსიერებაში აღიბეჭდა შემდეგი დაუვიწყარი სურათი: დიდი ჰოლი, უშველებელი კიბე, თეთრი, მაღალი კედლები და ჭერი, გახამებული თეთრი ხალათები, ირგვლივ თვალისმომჭრელი სითეთრე, სისუფთავე და სპეციფიკური საავადმყოფოს სუნი... მაგრამ განა შეიძლება 3-4 თვის ბავშვს საერთოდ რამე ახსოვდეს?! ალბათ, არა. თუ ასეა, საიდან ეს ხილვა – ძნელი სათქმელია, თუმცა ყველაფერი შესაძლებელია.

აი, მისი ვალი! ვალი ქირურგი ა.-ს წინაშე, რომელმაც 30 წლის წინ დედა გადაურჩინა. და დღეს ის ბედნიერია... სრულად და ღირსეულად ვალმოხდილი.

– ექიმო, – მოულოდნელად მოუხმეს მ.-ს, – დალაპარაკება გვსურს თქვენთან.

ეს პაციენტის ნათესავები არიან – მეუღლე, მამამთილი და დედამთილი. მ. ძლივს გამოერკვა, თვალი გაახილა და მოვდივარო, უპასუხა. ფიქრებში ბავშვი დალოცა: „ჯანმრთელი გაიზარდე, პატარავ. აბა, შენ იცი, არ დაარტყა, როგორც მე ოდესღაც, დედას მუცელზე პაწაწუნა ფეხები, ეტკინება!“ – და საორდინატოროსკენ გაემართა. იქ ნათესავებს მოკლედ აცნობა ოპერაციის შედეგი, აღნიშნა, რომ ყველაფერმა ნორმალურად ჩაიარა და პაციენტი მალე გამოჯანმრთელდება. ნათესავებმა – როგორც ეტყობოდათ, სოლიდურებმა და შეძლებულებმა – მადლობა გადაუხადეს ექიმს ყველაფრისთვის. ამ დროს ოდნავ შეცბუნულმა პაციენტის მეუღლემ მ.-ს კონვერტი გაუწოდა ჰონორარით. მ.-მ თავაზიანი ჟესტით არ გამოართვა კონვერტი და მოკლედ აუხსნა მიზეზი, რის გამოც ჰონორარს არ მიიღებდა. დედამთილს თვალები აუცრემლიანდა, ერთხანს სიჩუმე ჩამოვარდა, შემდეგ კიდევ ერთხელ გულთბილი მადლობა გადაუხადეს

ექიმს და დატოვეს საორდინატორო. „მადლობა ღმერთს, კარგი ხალხი აღმოჩნდა, – გაიფიქრა მ.-მ, – კულტურული, ზრდილი, ყველაფერი სწორად გაიგეს. ეს ამბავი დედას უნდა მოვუყვე, ძალიან გაუხარდება“, – გაიფიქრა მან.

პაციენტის სამედიცინო ისტორიაში საჭირო ჩანაწერის გაკეთების შემდეგ, მ.-მ კალამი გადადო და ჩაფიქრდა. არც იმ ქირურგ ა.-ს, პატარა საპორტო ქალაქიდან, არ აუღია მაშინ ჰონორარი. დიახ, ისტორია მეორდება. ვინ იცის, იქნებ ეს ბავშვიც, როდესაც გაიზრდება, ექიმი გამოვა, შესაძლოა, ქირურგიც, და, რა თქმა უნდა, ემახსოვრება ცხოვრების ეს ეპიზოდი, რომლის შესახებაც მას აუცილებლად მოუყვება დედა. და ისიც თავისებურად, მაგრამ აუცილებლად მოიხდის თავის ვალს.

დიახ, თავისებურად, მაგრამ ყველანი ოდესღაც ვიხდით ჩვენს ვალს...

შემოდგომის ელეგია

ეძღვნება უცნობ ქალს

შემოდგომის წვიმიანი საღამო. ტკაცუნობს, ტკბილად გიზგიზებს კაშკაშა ცეცხლი ბუხარში. ნელ-ნელა იწვის, ილევა სანთელი მაგიდაზე. ორი ადამიანი მყუდროდ მოკალათებულა დივანზე და მშვიდად საუბრობს.

– გიყვართ შემოდგომა, ელენ? არ იცით, მე კი ძალიან მიყვარს. რატომ? შემოდგომა სევდიანი და ლამაზია. განსაკუთრებით მსიამოვნებს შემოდგომაზე პარკში ხეტიალი და ფიქრი. რატომ პარკში? იქ ისეთი სიმშვიდე სუფევს, თითქმის უკაცრიელია. ირგვლივ შიშველი ხეები, ფეხქვეშ ჩუმად შრიალებენ ჩამოცვენილი მეწამულ-წითელი, ცეცხლოვან-წითური, ჟღალი და ყვითელი ფოთლები. წვიმა ყველაფერს ნამავს ირგვლივ და სუსტი ქარი დროდადრო ეფერება, ხალისიანად ურევს და აიტანს, ააფრენს ჰაერში აჭრელებულ ფოთლებს. თბილად გაცვიათ, პალტოს საყელო აწეულია, ხელები – ჯიბეებში, არსად ჩქარობთ, სეირნობთ პარკის ხეივნებში და ფიქრობთ.

მეკითხებით რაზე? ცოტ-ცოტა ყველაფერზე. ცხოვრებაზე, მის არსზე, ჩვენს ადგილზე ამ ცხოვრებაში, დანიშნულებაზე. როგორია ის – მთავარი თუ მეორეხარისხოვანი, მნიშვნელოვანი თუ უმნიშვნელო, საჭირო თუ ფუჭი... რა მოხდებოდა, ჩვენ რომ საერთოდ არ გავჩენილიყავით ამქვეყნად? შეიძლება, უკეთესი ყოფილიყო, შეიძლება – უარესი. ან იქნებ ყველაფერი იგივე იქნებოდა და არაფერი შეიცვლებოდა. ვინ იცის?!

მაშ, რაშია ზოგადად ცხოვრების და, კერძოდ, ჩვენი არსებობის აზრი. ყველაფერი ხომ ერთ მთავარ და, ამავდროულად, მარტივ კანონს ემორჩილება: იბადები, იზრდები, ბერდები და კვდები ადამიანი. ყველაფერი წინასწარ არის ცნობილი. მაშინ რატომ ვებღაუჭებით სიცოცხლეს ასე ძალიან? ის რთულია, ზოგჯერ ძალიან მძიმე, ზოგჯერ – მწარე, სასტიკიც კი. მას უფრო ხშირად დარდი, ტანჯვა მოაქვს და ნაკლებად – სიხარული, მეტი მწუხარება და ცოტა – სიამოვნება, მეტი უბედურება და ძალიან იშვიათად – ბედნიერება.

მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც ვირჩევთ სიცოცხლეს. იცით რატომ? მეც არ ვიცი, უფრო სწორად, არ ვარ დარწმუნებული, რომ ვიცი. თქვენ ამბობთ, რომ რთულია ეს კითხვები? გეთანხმებით, მაგრამ ხომ უნდა იყოს მათზე პასუხი. მართალი ბრძანდებით – მარტივი პასუხი არ არსებობს. ან იქნებ არის კითხვები, რომლებსაც პასუხი არ აქვთ? შესაძლოა. ჩვენ მაინც ვეცადოთ ერთად ვიპოვოთ ის. იქნებ ერთად ვიპოვოთ? შევთანხმდით? მშვენიერია.

კიდევ რაზე ვფიქრობ? ბუნებაზე. გაქვთ წაკითხული გოეთეს ჩანაწერები ბუნებაზე, ელენ?

ამის შემდეგ მეც ვუფიქრდები მას, მის არსს, მის მარადისობას და სიბრძნეს. იმას, შევძლებთ თუ არა ოდესმე გავუგოთ, ჩავწვდეთ და როგორ გავუგოთ, თუ ჩვენ მისი შვილები ვართ, თუ მან შეგვქმნა? თუ ის პირველადია და ჩვენ, მისი პროდუქტი, მეორადი? მან ამ სამყაროს მოგვავლინა და დაგვტოვა, თვითონ კი შორიდან გვაკვირდება. და, საერთოდ, ვინ ვართ ჩვენ, რა ვართ? საიდან მოვედით, სად მივდივართ, რისთვის და სად აღმოვჩნდებით? ვინ და რა გვამოძრავებს? ვინ განსაზღვრა ჩვენი არსებობის ვადა, რა უფლებით? ვინ განსაზღვრა და დაგვიწესა თამაშის პირობები? ამ პაექრობაში უხილავ მოწინააღმდეგესთან, ადრე თუ გვიან, მაინც ხომ ვმარცხდებით. და თუ უნდა დავმარცხდეთ, იქნებ არ ღირს თამაშის წამოწყებაც კი? თუ შედეგი წინასწარ არის ცნობილი და მოგების შანსი არ არსებობს, არავინ უნდა ითამაშოს, არა? მაგრამ იქნებ მაინც ღირს ბედის გამოწვევა და თამაში? და თუ წაგება გვიწერია, წავაგოთ ღირსეულად. ფსონი, საზღაური ამისა ყველაზე მაღალია: სიცოცხლეს ვდებთ, ვწირავთ, ის კი – მარადისობაა. ის ყოველთვის იმარჯვებს, კაცობრიობა კი – უკვე ათასწლეულებია – მარცხდება. და ეს სამყარო მარადიულია, რაც ნიშნავს, რომ ჩვენ დავმარცხდებით, ელენ. ასე რომ, მოდით, მივენდოთ მას, მის გამოცდილებას. ის ჩვენზე გონიერი, მაცდური და ბრძენია!

მოგვავლინეს ამ სამყაროს ჩვენდა დაუკითხავად და არც არავინ გვკითხავს მასთან გამოსალმების დროსაც. ყოველივე ამის შემდეგ, ჩვენ ყველანი ამ სამყაროში „მივლინებით“ ვართ. ზოგი – გრძელვადიანში, ზოგიც – მოკლევადიანში. ვადებს კი თვით ბუნება ადგენს. ეს არის მისი არსი და ამას ვერაფრით შეცვლი. ჩვენ არ ვიცით, როდის იწურება ჩვენი ვადა. ამიტომ, ვიჩქაროთ ცხოვრება: გავხდეთ იმაზე უკეთესი, ვიდრე ვართ სინამდვილეში, უფრო სამართლიანად მივიღოთ გადავწყვეტილება, ვიყოთ უფრო პატიოსანი და კეთილშობილური, ვიცხოვროთ ლამაზად და გვიყვარდეს უფრო ძლიერად.

სიყვარულზე მეკითხებით, ელენ? რა თქმა უნდა, სიყვარულზე მეც ვფიქრობ. მაგრამ ვფიქრობ რაღაცნაირი სევდიანი, მწარე ტკივილიანი გრძნობით გულში. მახსენდება ჩემი ახალგაზრდობის შორეული წლები, მხიარული საღამოს წვეულებები, პაემნები და განშორებები, შეხვედრები და დაპირებები, წუთიერი კავშირები და მრავალრიცხოვანი სანდომიანი და ალერსიანი მეგობარი ქალები, შეყვარებულები. მაგრამ ის ერთი, დიდი, ჭეშმარიტი სიყვარული, რომლისთვისაც ღირს სიცოცხლე და სიკვდილი, ჯერ არ მწვევია, ელენ. იმედი მაქვს, ვიპოვი, დიდი ხანია მისკენ მივდივარ... წაბორძიკებით, დაცემით და ისევ ფეხზე ადგომით. ვფიქრობ, მზად ვარ ამისთვის. თქვენც იგივეს ფიქრობთ? მშვენიერია! და საერთოდ, ელენ, მოდი, შენობით მივმართოთ ერთმანეთს, რადგან შემოდგომის ამ გრძელ, წვიმიან საღამოს ჩვენ კიდევ უფრო დავახლოვდით და უკეთ გავიცანით ერთმანეთი. ჩვენი ოცნებები და იმედები გადავდოთ გაზაფხულამდე, როდესაც იფეთქებს, იღვიძებს ბუნება და ყველა ცოცხალი არსება, როდესაც ისევ გეუფლება სურვილი იცხოვრო და გიყვარდეს უფრო ძლიერი, წრფელი გრძნობით.

ახლა კი რატომღაც სევდა მომერია, აცივდა... მოიწიე, დამიჯექი გვერდით, დავლიოთ, მერე მაგრად მომეხვიე, მაჩუქე მხურვალე კოცნა და ჩააქრე სანთელი, ელენ...

მონიკა ტუნაძე

დაე, იგანთიადოს

მე მღვიძარე ვარ... ინდე ნაიდუმალევ,
დაე, იგანთიადოს.
ვხედავ ურყევ ჭვრეტით მოჭიქულ ბაგეთ,
როცა ლექსს მოიჩრდილავ სიშორით –
მე შემიცოდე.
ეს განსხვავება აათრთოლებს გრძნეულ იალქნებს,
ვით თვალთაშორის ყორნისფერ ბწკარებს.
ვით უზენაეს არ ებმის წამზე, ისე შორსა ხარ ჩემებრ სიზმრისგან.

ველური სულთქმა ეღვენთება ყველა ნატყვიარს,
გინდა, გეძინოს.
ერთი ვარსკვლავი შენი ძილის ნატვრად ანთია,
თუმც ყველა ვარსკვლავჯერ მე გავისროლე –
ბევრი იიჭვნეულებს
რომ არ დამცალდა სულის სიგონჯე,
ვით მუზის ვერ-მკვლელს,
დამწვარი ლექსის კვამლად მეზიარა მწუხრი შენებრ უსიზმრო.

მძვინვარება გამოგკრთალდა, ვით ავება ბნელიდან,
ჯერ არ თქმულა, აღდგეს თვალი ლექსზე დანაფერდია,
შენი ხმაური სიჩუმის მხოლოდ ღრიანცელია,
როცა ურვა გახრჩობს ირგვლივი –
ლომურ წვერს მინებებიხარ...
სამსჭვალთ სიბრძნეში გაერიე შენდაუნებურ,
ვით მუჭშემართულ,
ვერ ვირწმუნე მეფე არნახული სასწაულივით.

ლეგენდიდან გამოგიხმობ ფრენით უძღებს,
რათა შეკრთეს ლანდი შენი ჩონჩხიანი ტყეების,

საგიჟეთის კარებს მიღმა ვიდუმალებ,
ანაგებად რომ ვერ მეჭეშმარიტე.
მოვიკაზმავ მზაკვრულ ღიმილს ამბორყოფილ ბაგეზე,
რამეთუ ფრენის სურვილით ყოფა თავიდან დაიწყე,
იმპერატორის ჩრდილად გსახე სახეზე,
ჰოდა სიკვდილამდე მოვკვდი.

ჩემი უძრავი აბსტრაქციის სიცარიელე

მზე იწურება
ქვიშის ნაცვლად უძლეველ დროში.
უკანასკნელ სხივებს სიფრთხილით ვუფრთხი,
რათა მშვენიერი დაბადებიდან მშვენიერი სიკვდილის წინ
მე არ ამირეკლონ.
ახლა სიბნელე სახიფათო თეორიად იმღელვარებს,
ჩემი თავდავიწყების გაღონიერების მიზეზით.

როცა ნებისყოფის დრტვინვა განვასხეულე,
წრფელმა სუნთქვამ ქარი უნიათოდ შერისხა.

ჩემი უძრავი აბსტრაქციის სიცარიელეა სიბნელე,
თავგადავიწყებული მე, უსულო ხმაური და მტვერი.

სიბნელე სიცარიელეა საკუთარი არმყოფობით.
მე სიცარიელე ვარ არსებულსა და იდეალს შორის მყოფობით.
უსულო ხმაური სიცარიელეა შეძენილი უსულობით.
მტვერი სიცარიელეა დაკარგული სულიერებით.

ჩვენ დატირებული სხეულები ვართ დაუტირებელი სულებით.

ზმანება თუ შემეზრდება სასურველი,
ვიხილავდი უმწიკვლოდ შეუურველი ცრემლის მიზეზს.

სულიერი წყობის შრეებში მოარულ ფიქრებს
ნთქავს წარღვნა, როგორც სინდისის რისხვა.
როცა დავიწყებას ვუთანადებ გახსენებას,
ცისარტყელა ინათებს სულში, როგორც
საკუთარ თავთან მიახლოების პირველნიშანი.

გვალვის კვალს ემსგავსება ჩემი თვალი, უცრემლო მიწისფერი.

ცხადად ვგრძნობ, სულში როგორ იღვრება
ყველა შეკავებული სევდის წვეთი.

ყველა ეს წვეთი სასაფლაოა,
როგორიცაა ნაფიქრალი სიტყვისთვის ფიქრი,
ნაგონარი – გონისთვის, ნააღდგომვარი – აღდგომისთვის.

ერთმანეთში ხელუხლებლად იჭრებიან ფიქრები.
ვგრძნობდი ოდენ წარღვნის მოახლოებას.
უცაბედად ჩამოინგრეს სულის წყობა შრეებად,
ცისარტყელა თან მდევს უსაწადლეს მხნეობად.
შერიგება დამიპირა ცისკრის სხივმა, შემმართებელ ძალად იქცა ანარეკლი.

შთამგონებელი შთაგონებულისთვის უცხოა.
ძვლის გაუტეხელობა დაუსრულებლობამდეა.
მეობა ქაოსია.

* * *

ვმდგომარეობ ცხად ალბათობად
ნამდვილ სინამდვილის აღმრევი ზრახვით,
ვცარიელობ წარმტაც უმწიკვლობას
უწინარეს უსაზარლეს ტრაგიზმს.

ვშიშობ თვალშეუდგამ უსივრცობას,
ობოლ ბურუსს ამოფარებული,
ვშინაგანობ წარსულ უმიზნობას,
ჰეროდეს ხელმწიფობის მიერ შერისხული.

ვნებისყოფობ პირველყოფილ უძრაობას
ნაყოფიერ სიგიჟის ჟამს მოკლებული,
ჰო და არა, თუმც არ ვეტყვი უსარკმლობას
კედელს შორით მოსულს შორეული.

გავუქვავდი მინაზებულ ციაგთ კვეთას,
არ ეგების დაშრეტადსა ნების დანთქმა,
მგმობელს ოდენ მე ვუცნივარ მონახვეჭად,
ვეთანადე მუნებურ მხნე ბნელის ძალას.

* * *

სულის გამოქვაბულებში, სადაც
ყოფიერების გამოძახილი ჟღერს,
მე ავისახე მოხეტიალედ.
ჩემი ხმა ეჭვის ჩურჩულს ერევა.

ცხოვრების სიმფონიაში იმედის ნოტები მაღლობს,
ეფემერული, მაგრამ შენარჩუნებადი.
„იმედი“, ვფიქრობ მე,
„მყიფე საფირონია უზარმაზარ სიბნელეში,
რომელიც ესაზღვრება სასოწარკვეთილების ქარიშხალს.
ნათება, თუ ჩრდილები ჩვენი ილუზიების სარკმლებში?“

მდუმარე ოთახებში,
სადაც დრო იყრის თავს,
სიკვდილი მაუწყებს დასასრულს,
ჟამს, უხილავ სფეროებში უკუსვლისას.

ინტროსპექციის სიღრმეში გავლისას
დიალოგი იმართება ფილოსოფიურ ბალეტად,
განმარტოებულ ცეკვად სიღრმისეულთან.
აქ სული ებრძვის თავის არსს,
კოსმიურ გამოცანებს შორის მაძიებელს,
რომელიც ეწაფება უპოვნელ ნუგეშს ჭვრეტის სიჩუმეში.

ცა ფეხად მოდის!

ცა ფეხად მოდის!
ჩამოიქცა და დაატყდა უძრავ მიწას.
მრავალგვარი ხსნარი შერთულ სისხლით,
მიაბჯინა სკნელის გადახრწნილ ქანს.

სიღრმე ზარს ჰრეკს,
ვითარც ნოტრ დამის მხეცისებრ მნათე.
გააყრუებს მიწას, ხოლო ზეცით მოსულთ რა იციან, არის რა სიღრმე?!

სტიქიური ენერგიით გამსჭვალული ცრემლად იღვრის,
თითქმის ქვესკნელს ჩაახერგა მრავალგვარი შერთულ სისხლი,
კაცი ფიქრობს: გულს იჯერებს ზეცა წვიმით,
ადამის შვილთ რა იციან, არის რა „თითქმის“?!

საღამე აგესღამიძე

სიკეთე საფირონის თვალებში

ჩემი ეზოს იქით, ხავსისფერ სახლში, ერთი კაცი ცხოვრობდა. საფირონისფერი თვალები და ნაღვლიანი სახე ჰქონდა. ღრმა ფიქრებში ჩაფლული მიუყვებოდა ვიწრო ხეივანს, ვერავის ამჩნევდა... ახლა რომ ვიხსენებ, ვხდები, დიდი საფიქრალი ჰქონდა, იმდენად დიდი, ერთი ადამიანის მხრები არ ეყოფოდა სატარებლად. გადავეყრებოდით ერთმანეთს იმ გრძელ ქუჩაზე, სადაც დაუსრულებელი ფიქრები მიდი-მოდიან.

სამი დღეა აღარ მხვდება უცნობი. ბოლოს რომ ვნახე, დიდხანს მიყურა, მერე გამიცინა, ბოლოს დამელაპარაკა და ატირდა, ატირდა მწარედ და მთელი გულით. მე ჩუმად ვიყავი, ვუყურებდი, მაგრამ ვერ ვუსმენდი, რადგან იმ დღეს მეც დარდი შემყროდა (თუმცა დღეს რომ ვიხსენებ, ის რა დარდი იყო მის სევდასთან შედარებით). არ მესმოდა, მაგრამ ვგრძნობდი, რომ მისი გადარჩენა შემეძლო. თითოეულ სიტყვაში იგრძნობოდა მისი თხოვნა: „დამეხმარე“ და „გადამარჩინე“, მაგრამ მე ხომ საკუთარი დეპრესია მქონდა, რომელიც ყველაზე რთულ ფორმად მეჩვენებოდა იმ დროს. არადა, გულახდილად რომ ვთქვა დიდი ეგოისტი ვინმე ვიყავი და შესაბამისად, სხვისთვის არაფერი გავაკეთე...

მერე გავიგე, სამი დღის წინ თავი მოუკლავს. სამი დღის წინ დღე იყო წყნარი, მშვიდი, მაგრამ წვიმიანი. თითქოს მისი მსგავსი. დღეს მივასვენეთ იმიერს. ყველას ებრალებოდა მოხუცი, მხოლოდ მე განვიცდიდი სხვა ტკივილს – საკუთარი გულგრილობით გამოწვეულს. ეს ღრმა სევდა მძიმე ლოდად მაწვა.

„დიდი ხნის წინ გარდაცვლილი შვილის გამო მომკვდარა“... „ტკივილს ვეღარ გაუძლო. 16 წლის გოგო ჰყავდა, თეთრი, კაფანდარა, საფირონისფერი თვალებით, ჟღალი თმით“... „მდინარეში დამხრჩვალა“... ჩამესმა ყურში მგლოვიარე პროცესიიდან სიტყვები, მეზობლები იგონებდნენ...

აი, თურმე, რა ყოფილა! საფირონისფერი თვალები, ჟღალი თმა – მის შვილს ვგავდი... იმ დღეს ზღვაზე მიმავალი მნახა, როგორც ჩანს, მოგონება და რეალობა ერთმანეთში აერია... ხომ შეიძლებოდა, გულისყურით მომესმინა? აბა, სად მეცალა – მე ხომ მსოფლიო სევდას ვატარებდი მხრებით – თინეიჯერობის იმედგაცრუებით გამოწვეულს...

ჩემი ეზოს იქით ხავსისფერი სახლია, იმ სახლში აღარ ცხოვრობს მოხუცი სადაფისფერი თვალებითა და გამოუთქმელი სევდით. რამდენი დღე გავიდა? 5? 6? არ ვიცი, დროში ჩავიკარგე. იმ გრძელ ქუჩას დავუყევი... მაგრამ ვიღაცის გვერდით ყოფნას ვგრძნობ. ვიხედები, არავინაააა...

მეშინია, ფიქრად არ ვიქცე... ცეცხლის ალივით მომეკიდა უცნაურობა, „გავუცნაურდი“. მეც ერთ-ერთი მათგანი გავხდი, ადამიანი კი არა, უცნაური ფიქრი, რომელიც ცდილობს ამ უსახელო ქუჩაზე გზა გაიკვლიოს, ცდილობს, მაგრამ არა და არ გამოსდის. არ მინდა ჩემს საფირონისფერ თვალებში მარტოობა ჩასახლდეს და მშთანთქას...

„...ვაიმე, ბავშვი... არავინაააა?..“ ამ სიტყვებმა თითქოს ბურანიდან გამომიყვანა, პაწაწინა გოგონა შუა ქუჩაში იდგა, მანქანის სავალ გზაზე... ფიქრის დრო არ იყო, რაღაც უნდა გამეკეთებინა. არაფერი მახსოვს. თვალები რომ გავახილე, გულში ჩახუტებულ პატარა ატირებულ არსებასთან ერთად ტროტუარზე ვიდექი... პატარას შიში და გაკვირვება არეოდა თვალებში... დედა მორბოდა, ბედნიერი და ნამტირალევი...

...ქუჩის მეორე მხარეს მოხუცი იდგა, მიყურებდა და საფირონის თვალებში სიკეთე ჩასახლებოდა...

მდუმარე მასპინძელი

ჩემი სიჩუმის ოთახი, რომელიც მუდამ სევდით იყო სავსე, ერთადერთი ადგილი იყო, სადაც თავს დაცულად ვგრძნობდი. პირველი სიყვარულის სევდა სწორედ ამ ოთახში გამოვცადე. როცა პირველად შემიყვარდა, პატარა, უმწეო და სიფრიფანა ვიყავი, ვხედავდი ნათელ ფერებს, ანუ ერთი სიტყვით, ღიმილის საბაბი მქონდა. მერე ყველაფერი შეიცვალა. ეს ყველაფერი ისე უცებ მოხდა, გააზრებაც ვერ მოვასწარი. მაგრამ ერთი რამ არ შეცვლილა: ის ადამიანი, რომელიც მიყვარდა, ჩემთვის ღმერთის ტოლფასი იყო, ისევ მიყვარდა.

ასე როგორ შეგიყვარდაო, მკითხა ერთხელ ჩემმა ძალიან ახლო მეგობარმა. პასუხი ვერ დავუბრუნე, მხოლოდ გამეღიმა. მიხაროდა, რადგან შემეძლო სიყვარული და არ ვგავდი სხვებს. სწორედ ამიტომაც ვიტანჯებოდი: მე, ხომ, სიყვარული ნამდვილად შემეძლო.

ალბათ, სიყვარული მართლა ერთხელ მოდის და თუ მოდის, არც არსად ქრება, ის მუდამ შენთანაა, შენთან ერთად ცხოვრობს. თუ გაგიმართლებს, ხომ კარგი, მაგრამ თუ არა – ვაი, რომ მთელი დარდის ტარება მხრებით მოგიწევს. ეს დარდი უფრო და უფრო იზრდება, ბოლოს ლოდად იქცევა და იმდენად დაგამძიმებს, რომ ცხოველად გაქცევს; მაგრამ ცხოველის გულიც ხომ ერთხელ ადამიანობდა, ადამიანი იყო და ახსოვდა – ყველა კარგი და ცუდი.

ყველაზე სასტიკი და გამანადგურებელი უიღბლო სიყვარულია. ის არასდროს გასვენებს, თავში ჭიებს გიჩენს და გამსგავსებს ლოდინისფერს. შენ კი წასასვლელი არსად გაქვს. დგახარ დაზიანებული შუქნიშნის წინ და ელოდები, რომ აინთოს მწვანე, რადგან, სწორედ ასე შეძლებ მასთან მისვლას. იცი, რომ ლოდინს აზრი არ აქვს, მაგრამ ეს ყველაზე საშინელი და ამავდროულად, ყველაზე საჭირო გრძნობა გაძლიერებს, იმედს გისახავს და უკან დახევის უფლებას არ გაძლევს.

სულში არსებული ფორიაქი კი ყველაზე საშინელი რამაა, დარდების სასაფლაოს ემსგავსები... იმ სასაფლაოს, რომელსაც მდუმარე მასპინძლები ამშვენებს. მეც დუმილში ვიძირები... სევდის დუმილში.

სამყაროს საიდუმლო

– იქნებ, სამყაროს საიდუმლო იმ ფიქრებშია, რომელიც ჩვენს გონებაში შეუჩერებლად ტრიალებს, – გამომაფხიზლა უცნობმა და ამავდროულად ყველაზე ნაცნობმა ხმამ ავტობუსში. ირგვლივ მიმოვიხედე; თვალს შერჩა ბოშა გოგო. 12 წლის იქნებოდა, ჩემგან მოშორებით იდგა, თვალს თვალში ვერ მისწორებდა, მე კი დაჟინებით შევცქეროდი. ხელთ ჰქონდა სამი ნახევრად დამჭკნარი ტიტა. რა უცნაური ვინმე იყო... უცებ ისე, გაუცნობიერებლად (აი, სხეულს რომ კონტროლის უნარი დაეკარგება და ინერციით მოძრაობს) მივედი (მიუხედავად იმისა, რომ ადამიანებთან კომუნიკაციას ვერიდები) და წინ დავუჯექი.

დიდი, ცისფერი თვალები შემომანათა. აი, ამ თვალებში იკითხებოდა რაღაც საინტერესო და ამავდროულად ძალიან მნიშვნელოვანი საიდუმლო.

ტიტები საიდან მოგაქვს-მეთქი, ვკითხე.

– ჩემი საყვარელი ადგილიდან, – მიპასუხა.

აღარ ჩავეძიე, ბოლო გაჩერება იყო და ჩემი ავტობუსით ვოიაჟიც აქ სრულდებოდა. პატარაზე ფიქრები არ მომშორებია. იმ დღის შემდეგ ყოველთვის ვხვდებოდი იმ შავტუხას, მასთან საუბრის სურვილიც უფრო და უფრო მეტი იყო.

დღეს ტიტაც მაჩუქა. ისევ ისეთი, დამჭკნარი, მაგრამ საყვარელი ადგილიდან მოტანილი. გავუღიმე და მივხვდი, რომ ეს უმწეო არსება არ იყო ჩვეულებრივი. როცა ეს ღიმილი დაიჭირა, მიხვდა, რომ ჩემთან მეგობრობა შეეძლო და მის საყვარელ ადგილას წასვლა შემომთავაზა; დაფიქრება არც კი დამჭირვებია. მივდიოდით ერთად, ორი ერთნაირი ადამიანი, ორი ერთნაირი ფიქრებით, აზრებითა და სევდით, რომელიც ორივეს ნაწილი იყო. სწორედ ეს სევდა გვხდიდა ჩვენ ერთიანს.

დედის სასაფლაოზე მიმიყვანა. ღმერთო, როგორ მეტკინა. ნუთუ, ეს პატარა გული უძლებდა ამდენს?!

რა უცნაური ვართ ადამიანები, ერთმანეთის ტკივილს რომ ვერ ვკითხულობთ. მე რომ სხვისი ტკივილების კითხვა შემეძლოს, დაუფიქრებლად წავავლებდი ხელს თითოეულის სევდას და ჩემთვის შევინახავდი, ერთ ტომარაში დავაგროვებდი და იმ ნათელ გზას გავუყვებოდი, ღმერთთან რომ მიმიყვანს.

ჩემი გული მაშინ გაიხარებს და ჩემს თვალებს სიხარული მაშინ დაეტყობა, როდესაც კაცს სევდა არ მოკლავს და არ მოუსპობს სიცოცხლის ხალისს. მე კი ამისთვის ყველაფერს დავთმობ; ჩემს თავზე არ ვიფიქრებ, ოღონდ ადამიანის გულმა გაიხაროს...

კედელზე გაჩენილი ბზარი

ბავშვობიდან მიყვარდა ბევრი ფიქრი. ვფიქრობდი ყველაფერზე, რაც ამ სამყაროში არსებობდა და ყველაფერს იმაზე მეტად განვიცდიდი, ვიდრე საჭირო იყო. სწორედ ამით განვსხვავდებოდი სხვებისგან. მე ჩემი სამყარო მქონდა, ჩემი ფერებითა და ფიქრებით; იქ არასდროს არავის ვუშვებდი, გარდა ღმერთისა. თუმცა, როგორც ყველაფერს, ჩემს სამყაროსაც აღმოაჩნდა ნაპრალი.

ის ერთი ამიტომაც შემოიპარა მარტივად. ის ერთი ადამიანი, რომელიც ყველა ამ წესს არღვევდა და ჩუმად, შეუმჩნეველი ნაბიჯებით იპარებოდა ჩემს სამყაროში. მოვიდოდა, მხარზე თავს დამადებდა და ვხვდებოდი, რომ ამით ჩემთვის კუთვნილ სევდას თავის თავს უნაწილებდა და ბედნიერი იყო. ჩემი სევდით დამძიმებული, არასდროს იტყობდა დაღლას. მე კი მტკიოდა ის, რომ ამ დარდით, რომელიც ბავშვობიდან მომყვება, სხვას ვამძიმებდი. ვამსგავსებდი იმ დარდების ტომარას, რომელსაც ერთი, ჩემნაირი ადამიანი თან დაატარებს, აგროვებს და შემდეგ, როცა დრო დგება, ღმერთთან მიაქვს.

ჩემი სამყარო ტყვიისფერი იყო, ფიქრები კი – უფრო მუქი. ნათელ ფერებს ვერასდროს ვამჩნევდი და თუ შევამჩნევდი – შეყვარება არ შემეძლო. მომწონდა სევდისფერი და ყველაფერი ამ ფერში მქონდა. მიყვარდა ღმერთთან საუბარი. როცა მარტო ვრჩებოდი, როცა დარდის სუნით ვიჟღენთებოდი, მუდამ მას ვესაუბრებოდი. მე ვხედავდი ღმერთს და იმ გზას, რომელიც უნდა გამევლო მასთან მისასვლელად, ეს გზა იყო ერთადერთი კაშკაშა ფერი, რომელიც არ მძულდა, პირიქით – ვგიჟდებოდი მასზე.

ჩემზე ზედმეტად არავინ ზრუნავდა, მხოლოდ ის ერთი... თან ისე ჩუმადა, უჩინრად, ვერც კი შეამჩნევდი მის არსებობას. მე კი ისეთი ვიყავი, საკუთარ გულისტკენასაც რომ დავუშვებდი, ოღონდ სხვა გაბედნიერებულიყო. ყოველთვის ვიცოდი, ვინ როგორი იყო და რისთვის სურდა ჩემთან მეგობრობა. მაგრამ მათ ყოველთვის ვპატიობდი, ყველა გულისტკენა მიპატიებია და გამიმართლებია. მე კი ამ დროს იმ პატრონს ვემსგავსებოდი, რომელსაც ლურსმნის ჩაჭედების შედეგად კედელზე გაჩენილი ბზარები არ ადარდებდა. აი, ასეთი გული მქონდა მე, აი, ამიტომ მტკიოდა ყველაზე მეტად.

მე და ისინი

მე მთელი აღარ ვარ.

ირგვლივ მიმოფანტულ ნაწილებს ვავლებ თვალს. ეს ნაწილები ჩემი სულის დაუსრულებელი ფიქრებია.

ისინი მე არ მიცნობენ. მე სულ სხვა ვარ – სულგაყინული ადამიანი. თმაშიც შემპარვია ჭაღარა.

დრო გადის, სწრაფად გადის, მაგრამ ვერავინ მამჩნევს.

ჩემს თავში მუდამ ისინი ტრიალებენ. იქ სულ ქაოსია. ფიქრები ჭიანჭველებს ემსგავსება. ისინი ჩემს თავში ბუდობენ და არასდროს მათავისუფლებენ.

ო, მართალო ღმერთო, რა ძლიერ მინდა მათგან თავის დაღწევა, მაგრამ თხოვნა არ შემიძლია.

გაგება რთული ფენომენია. ვერც აიძულებ ვინმეს. არ უნდათ შენი გაგება და ვერც აიძულებ... თან სად მე და სად იძულება?

ეს დაუსრულებელი ფიქრები არასდროს მტოვებენ. სული მიმძიმს, სადაცაა წავიქცევი. ისინი კი არაფერს აკეთებენ. ვერც ჩემს დაღლილ-დაქანცულ, ძლივს მიმავალ სხეულს ამჩნევენ...

ტანში ჟრუანტელი მივლის. ვიცი, რომ ერთ დღეს გავქრები, როგორც ყველა. ისიც ვიცი, უკან დასაბრუნებელი გზა არ არსებებს...

ისინი კი? რა დანიშნულება აქვთ? ან კი არსებობენ? თუ ეს ყველაფერი ჩემი ფიქრის ნაყოფია? ნუთუ მე და ისინი წარმოსხვაა?

მდუმარე მასპინძელი

ჩემი სიჩუმის ოთახი, რომელიც მუდამ სევდით იყო სავსე, ერთადერთი ადგილი იყო, სადაც თავს დაცულად ვგრძნობდი. პირველი სიყვარულის სევდა სწორედ ამ ოთახში გამოვცადე. როცა პირველად შემიყვარდა, პატარა, უმწეო და სიფრიფანა ვიყავი, ვხედავდი ნათელ ფერებს, ანუ ერთი სიტყვით, ღიმილის საბაბი მქონდა. მერე ყველაფერი შეიცვალა. ეს ყველაფერი ისე უცებ მოხდა, გააზრებაც ვერ მოვასწარი. მაგრამ ერთი რამ არ შეცვლილა: ის ადამიანი, რომელიც მიყვარდა, ჩემთვის ღმერთის ტოლფასი იყო, ისევ მიყვარდა.

ასე როგორ შეგიყვარდაო, მკითხა ერთხელ ჩემმა ძალიან ახლო მეგობარმა. პასუხი ვერ დავუბრუნე, მხოლოდ გამეღიმა. მიხაროდა, რადგან შემეძლო სიყვარული და არ ვგავდი სხვებს. სწორედ ამიტომაც ვიტანჯებოდი: მე, ხომ, სიყვარული ნამდვილად შემეძლო.

ალბათ, სიყვარული მართლა ერთხელ მოდის და თუ მოდის, არც არსად ქრება, ის მუდამ შენთანაა, შენთან ერთად ცხოვრობს. თუ გაგიმართლებს, ხომ კარგი, მაგრამ თუ არა – ვაი რომ მთელი დარდის ტარება მხრებით მოგიწევს. ეს დარდი უფრო და უფრო იზრდება, ბოლოს ლოდად იქცევა და იმდენად დაგამძიმებს, რომ ცხოველად გაქცევს; მაგრამ ცხოველის გულიც ხომ ერთხელ ადამიანობდა, ადამიანი იყო და ახსოვდა – ყველა კარგი და ცუდი.

ყველაზე სასტიკი და გამანადგურებელი უიღბლო სიყვარულია. ის არასდროს გასვენებს, თავში ჭიებს გიჩენს და გამსგავსებს ლოდინისფერს. შენ კი წასასვლელი არსად გაქვს. დგახარ დაზიანებული შუქნიშნის წინ და ელოდები, რომ აინთოს მწვანე, რადგან, სწორედ ასე შეძლებ მასთან მისვლას. იცი, რომ ლოდინს აზრი არ აქვს, მაგრამ ეს ყველაზე საშინელი და ამავდროულად, ყველაზე საჭირო გრძნობა გაძლიერებს, იმედს გისახავს და უკან დახევის უფლებას არ გაძლევს.

სულში არსებული ფორიაქი კი ყველაზე საშინელი რამაა, დარდების სასაფლაოს ემსგავსები... იმ სასაფლაოს, რომელსაც მდუმარე მასპინძლები ამშვენებს. მეც დუმილში ვიძირები... სევდის დუმილში.

ქეთევნა შაინიძე

ქრონოტოპი ნიაზ ზოსიძის კარნავალურ სამყაროში

ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში მკითხველი საზოგადოების მოწონებას იმსახურებს მწერლისა და პუბლიცისტის ნიაზ ზოსიძის მოგზაურობისა თუ ფოლკლორული ხასიათის ჩანაწერები, პუბლიცისტური ტექსტები, ნოველები, ჩანახატები. მკითხველმა გაითავისა და შეიყვარა მისი სტილი, წერის მანერა და რაც ყველაზე მთავარია, მწერლის თანადგომა, თანაგანცდა, თანამეინახეობა, თანამოდარდეობა მკითხველისათვის გახდა იმ სტიმულის აღმძრავი, რომ მწერლის მიერ გამოცემული ყველა წიგნი – „იერუსალიმში“ (2005); „აჭარა – ფარი საქართველოისი“ (2033); „ნეტაი ადრე მოსულიყავი“ (2017); „თან მეტირება, თან მეცინება“ (2018); „გომარჯოს ფერეიდანს“ (2019); „რა დამავიწყებს“ (2019); „ცრემლს ნუ გამატან“ (2020) და სხვ., – თავის მანუგეშებელ ტექსტებად დაისაგზლა.

ნიაზ ზოსიძის შემოქმედება, განსაკუთრებით საყურადღებოა დროსივრცული ურთიერთობების მრავალფეროვანი სახესხვაობებით. სანამ თითოეულ მათგანს შევეხებოდეთ, უნდა აღინიშნოს, რომ დროსივრცული ჰარმონია და/ან მათი ურთიერთგადაფარვა მის ტექსტებში კარნავალურ დისკურსთან არის შერწყმული.

კარნავალი, როგორც ამბივალენტური მოდელი, მ. ბახტინის თეორიის მიხედვით, ქმნის ერთ მთლიანობას, სადაც ხორციელდება დაპირისპირებულთა ერთიანობის კანონი. ბახტინის თქმით, კარნავალში თავად ცხოვრება თამაშობს. კარნავალი, დროსივრცის ის განზომილებაა, რომელიც არ ირჩევს მთვარ გმირებს, კარნავალის ქრონოტოპში ყველა პერსონაჟი მთავარი გმირია, ყველა ფლობს თავის თავისუფალ არჩევანს, ყველა ინარჩუნებს თავისთავადობას, პიროვნულობას. კარნავალში არ არის იერარქიები, ე.წ. რამპები, ზემდგომები. კარნავალი არის ნამდვილი ცხოვრება თავისი დაბადება-გარდაცვალებით, კვდომა-აღდგომით, ტკივილ-სიხარულის მონაცვლეობით, სიცილ-ტირილის შერწყმით („თან მეცინებოდა, თან მეტირებოდა“). კარნავალი ცხოვრებაა რევერანსების გარეშე, რომელშიც ხალხი ახორციელებს „თავისსავე აღორძინებასა და განახლებას საუკეთესო საწყისებზე“ (ბახტინი1986) ამიტომ ნიშანდობლივია ნიაზ ზოსიძის თხზულებათა ჟანრული სპეციფიკაც – რჩება შთაბეჭდილება, რომ მწერალი თავის სიუჟეტებს პირდაპირ ცხოვრების სინამდვილიდან იღებს და მხოლოდ მხატვრულენობრივ გარსში სვამს, სინამდვილეში

მისი ნოველები და პერსონაჟთა უმრავლესობა მწერლის ფანტაზიის ნაყოფია, ხორცშესხმული ისტორიული კონტექსტის გათვალისწინებით. შეიძლება ითქვას, რომ მისი სიუჟეტები ისტორიული მოვლენაცაა და ჟანრულიც. მწერალი ოსტატურად ახერხებს დროსივრცული ელასტიურობის ფარგლებში იმოძრაოს სამი ძირითადი მიმართულებით: 1. ტექსტის დონეზე ისტორიის წარმოჩენა; 2. ტექსტის დონეზე ჟანრის რეალიზება და 3. პერსონაჟთა ინდივიდუალური დროსივრცული ველის ასახვა.

ნიაზ ზოსიძის შემოქმედებაში დროის განზომილება ძირითადად ისტორიული დროის ნაკადშია ჩართული და ამავე დროს, გადის რა ერთი კონკრეტული დროის შემბოჭველი ჩარჩოებიდან, ზედროულობის მარადიული ღირებულებებიდან განიხილავს ცხოვრების ავან-ჩავანს. მის თხზულებებში ასევე თავისებურია სივრცის პროექცია, რომელიც ყოფითი კოორდინატების (ოდა-სახლები, ნალიები, მესრისღობიანი ეზოები) კვალდაკვალ საზღვრის, დროითი და სივრცული დასაზღვრულობა-შემოსაზღვრულობის იქით მიემართება და შეჩერებული წამის სილამაზიდან ჭვრეტს სამყაროს („უთავბოლო ქარის შტიალს, წყლის თქიშინს, წვიმის წვეთების წკაპაწკუპს, დაგუდული „წინწყარო" შეერია და ცისკენ დაიძრა. ათასნაირი ყვავილები ათასნაირი სურნელით ყელყელაობდნენ"). არის შემთხვევები, როცა ტექსტში წაშლილია დროსივრცული აღქმა და მხოლოდ რეალური ცხოვრებისეული მოვლენა განიცდება მთელი სისავსით, სისხლხორცეულად ქართული მენტალობის, ქართული შემწყნარებლობისა და ჭირთათმენის, ნამდვილქართული ყოფის თვალსაწიერიდან. ყველა შემთხვევაში, დროის სამანების გადალახვაც და სივრცის პროექციაც ეთიკურ-ზნეობრივი კატეგორიების საფუძველზე ხორციელდება.

მწერალი სრული რაკურსით ცდილობს იმოძრაოს დროის საწინააღმდეგო მიმართულებით, რაშიც ვგულისხმობთ მხატვრულ სინამდვილეში სივრცის დომინირებას დროზე. ნიაზ ზოსიძის ნოველებში სამყარო წარმოდგენილია როგორც კარნავალური კოსმოგონია, რომელშიც ოპოზიციური სტრუქტურების (სიცილი/ტირილი; დაბადება/გარდაცვალება; სიხარული/მწუხარება და ა. შ.) მონაცვლეობით მუდმივად ხორციელდება განახლების, აღმასვლის, თავიდან დაბადების მისტერიები. ვერტიკალური ხაზი თავისი დაღმავალი და ტრაგიკული წიაღსვლებით განაპირობებს ჰორიზონტალურ ჭრილში პერსონაჟების მიერ ცხოვრების დასტურყოფას, მის მიღებას, განცდას, გადახარშვას, მასში განვრცობას, რათა სრული და უანგარო დახარჯვა-დაფერფვლის შემდეგ ისევ განიცადონ თავიდან დაბადების სიხარული. სწორედ ეს სახასიათო ნიშანი განაპირობებს ნიაზ ზოსიძის ჩანახატებისა თუ ნოველების იმ სასიცოცხლო მუხტს, რითაც ისინი ე. წ. მანუგეშებელი ტექსტების კანონში ეწერებიან...

როგორც აღვნიშნეთ, ნიაზ ზოსიძის ნაწერების მხატვრული სახიერება ფოლკლორულ-კარნავალურია. მისი სილაღე, უკიდურესად ცრემლიანი სიცილის ფონზე ქმნის ცხოვრების ნამდვილ სურათს. პოსტმოდენისტული პაროდიული სიცილისაგან განსხვავებით, მისი იუმორი, ირონია და თვით გროტესკულ-სატირული სახეებიც კი ამაღორძინებელი სიცილის ენერგიით არის დამუხტული და სიცოცხლის, ადამიანის სიყვარულისაკენ არის მიმართული. სახასიათოპორტრეტული ეკფრასისები ნიაზ ზოსიძის ნოველათა უმრავლესობაში სახიერებითა და ლაკონიურობით გამოირჩევა. მისი პერსონაჟების (ხიბლა, სანათა, აიშე ბებო, გულჩინა, ასიე-ანინე, სერვეთი, გულა, თუნთული, „ნემეცი", ჰევლია, ენვერი, მაჭახლელი ნენეი, თენზილე და სხვ.) უშუალობა და ბუნებრივობა ქართული გენის სიცოცხლისუნარიანობის დასტურია.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქართული ლიტერატურა თავის ისტორიულ განასერში ხასიათდება დროის დომინირებით სივრცეზე, რადგან ეს არის ქვეყანა, რომელსაც თავისი გეოპოლიტიკური მდგომარეობის გამო მუდმივად გზის ძიებისა და შეხვედრის მოლოდინში უწევს ცხოვრება. გზის ქრონოტოპის სირთულეები კი აღარ ტოვებს ადგილს იდილიურ-პასტორალური მხა-

ტვრული ტექსტებისათვის და, შესაბამისად, ყურადღების მიღმა რჩება ადამიანი, პიროვნება, მისი განცდები, ფიქრები, მისწრაფებები. ნიაზ ზოსიძის თხზულებათა თვალსაჩინო ხიბლი და მწერლის წარმატების ერთ-ერთი ძირითადი განმაპირობებელი სწორედ ის არის, რომ იგი ახლოს დგას ლიტერატურის საგანთან – ადამიანთან, მის სევდა-სიხარულთან, ტკივილ-წუხილთან. მწერალი პერსონაჟებთან ერთად ტირის, იცინის, ცელის პირს ფერავს, სათიბში დადის. ნიაზ ზოსიძე ის თანამედროვე მწერალია, რომელიც მარნის კართან ჩამოჯდება თუ კაკლის შრიალში მოიჩრდილებს, ქალაქურ ორომტრიალში ჩაერთვება თუ სამოგზაუროდ გასწევს – ყველგან და ყოველთვის ისწრაფვის ერთი მიზნისაკენ – მოუსმინოს ხალხს, ისწავლოს ხალხისაგან, ჩასწვდეს „ფოლკის“ სულს, ჩასწვდეს ხალხის ენას, მის ძირებს, მის სიმდიდრეს, ფრთა შეასხას ხალხის მისწრაფებას, მიესალბუნოს მის სევდას, მის საწუხარს, რომ უფრო მეტად შეაძლებინოს, გააძლებინოს და დააძლევინოს მათ ისტორიის ირონიის განცდა, გაუადვილოს დუხჭირი ცხოვრების ჭაპანი.

მწერალი მაშინ აღწევს წარმატებას, როცა ის დროის განზომილებებიდან გამოდის და სივრცული პროექციით ადამიანის სულიერ სამყაროს მიაპყრობს მზერას. ნიაზ ზოსიძის თხზულებებში დროსივრცული ურთიერთობების სხვადასხვა სახე ერთ ფოკუსში იყრის თავს: – ეს არის გზისა და შეხვედრის ქრონოტოპი, ავტორის ქრონოტოპი, პერსონაჟთა ქრონოტოპი და მკითხველი-თანაავტორის ქრონოტოპი, რომელთა ერთიანობა და ურთიერთმიმართება ქმნის მანუგეშებელ ლიტერატურას.

ნანა ანთაძე

ბოროტიმცა რად შეექმნა კეთილისა შემოქმედსა?

ორი კვირის წინ წიგნებს ვახარისხებდი. საბავშვო ლიტერატურა გადავაწყვე, ცალკე შევინახავ-მეთქი და ფურცვლა-ფურცვლაში ზღაპრები შემომეკითხა.

განსაკუთრებით „ირმისამ“ დამაინტერესა, უფრო სწორედ, დევმა.

დევი რის დევია, მზეთუნახავი თუ არ მოიტაცა და კოშკში არ გამოკეტა... ან ქალი, ისიც მზეთუ-ნახავი, რის ქალია, საიდუმლო თუ ვერ გამოგტყუა, თან როგორი საიდუმლო...

„ცოლმა დევს უთხრა: შენი სული სად არის, რომ შემოვწირო რამეო. დევმა უთხრა: ჩემი სული შენ რად გინდაო. ცოლმა უთხრა: როგორ რად მინდა. რასმე შევწირავ, რომ სცხონდე და ჩემთვისაც კარგი იყოსო. დევმა უთხრა: ჩემი სული სვეტშიაო.

ქალმა ეს სვეტი ისე შეღება, რომ იმის შეხედვას არა სჯობდა რა. დევმა რომ ეს ნახა, უთხრა: ჩემი სული თუ ასე გიყვარს, ამ კატაში არისო.

ცოლმა ეს კატა ისე გაალამაზა, მეტი არ შეიძლებოდა. უკერავდა კარგსა და კარგს ტანისამოსს და აცმევდა.

ეს რომ ნახა დევმა, უფრო მოეწონა და უთხრა: ჩემი სული ცხრა მთას იქით არისო. ერთს ხეზე ჩამოკიდებულია ცხრათავიანი დევი. იმას შიგნით უზის ირემი. ირემში შველია, შველში კურდღელი, კურდღელში არის ბაჭია, ბაჭიაში – კოლოფი და იმ კოლოფში სამი მერცხალი, – ორი მერცხალი არის ჩემი თვალები და ერთი ჩემი სულიაო“.

ანუ დევი სულით მერცხალია?! მერცხლადაა გაჩენილი, ფრენისთვის, ჭიკჭიკისთვისაა დაბადე-ბული?!

ჰო, ასეა „ბოროტიმცა რად შეექმნა კეთილისა შემოქმედსაო“ – ტყუილად ხომ არ ამბობს რუს-თაველი.

აბა დევად როგორ იქცა, როგორ მოხდა, რომ ციცქნა მერცხალი უზარმაზარ, რქოსან და ბან-ჯგვლიან ზოომორფულ, ბოროტ არსებად გარდაიქმნა?

ან რომელ ხეზეა ჩამოკიდებული ცხრათავიანი დევი? ახსოვს იმ ხეს მისი მერცხლად დაბადება?

იქნებ ის ხე ნულოვანი ათვლის წერტილია, ხე ცნობადი კეთილისა და ბოროტისა, საიდანაც სა-მყაროს შემეცნებას ვიწყებთ. სულიერი არსება ნულთან ვერ დარჩება, უნდა გაიზარდოს... ლოგი-კურად, პლუს სამყარო უნდა შეიმეცნოს, თავისი ბუნებრივი განვითარების გზით წავიდეს. თუ მე-რცხალია, ფრთები უნდა გააძლიეროს, ცას უნდა შეეჩვიოს.

მაგრამ რა ხდება თუ სამყაროს შემეცნებისას ფრთებმა უმტყუნა, თუ ნაადრევად გადაწყვიტა აფრენა და მიწას დაენარცხა, ან როცა სწავლობდა, დროულად ვერ შეეშველა დედა ჩიტი, რომ არ ჩამოვარდნილიყო.

იქნებ დევ-მერცხალს რაღაც ასეთი დაემართა, ეტკინა უსუსური ფრთები და შეშინებულმა სული კოლოფში გამოკეტა, მერე კი დამფრთხალი, უსუსური ბაჭიას გარსი შემოავლო და ზრდა დაიწყო, ოღონდ მინუს სამყაროში, თავისი ბუნების საწინააღმდეგოდ.

მინუს სამყაროში ხორცი შიშთან ერთად იზრდება. ბუნებრივია, რომ ბაჭია კურდღელი ხდება, კურდღელი, კიდევ უფრო დიდი შველი, შველი კი ირემი.

რეგრესის პირველ საფეხურებზე დევი თანდათან შორდება მერცხლის ბუნებას, მაგრამ არც სისხლის მსმელია და სულს ბალახისმჭამელ ცხოველებში ათავსებს.

მაგრამ მინუს სამყაროში გადარჩენისთვის ბრძოლაა გაჩაღებული, აქ კურდღელი, შველი და ირემი დაუცველია. ამ სამყაროში დევობა ფასობს, დევებში კი ძალა და თავების რაოდენობა. აქ ტრენინგებიც კი ტარდება დევებისთვის „როგორ გავზარდოთ თავების რაოდენობა ასამდე“...

და ბოლო გარსი შეშინებული მერცხლისა უკვე ცხრათავიანი დევია, სისხლისმსმელი და ხორცისმჭამელი, დაუნდობელი და მომხვეჭელი დევი...

საკუთარი ბუნების საპირისპიროდ განვითარებული არსებები, მიღწევების მიუხედავად, ბედნიერები არ არიან. მათ სჭირდებათ ვინმე, ვისაც თავის მერცხლობას დაანახებენ. დევიც ამიტომ ეძებს მზეთუნახავს, ქალს, რომელიც ისევე ჰყავდა გამოკეტილი მამას, როგორც თავად გამოკეტა სული, ქალს რომელსაც მზე და სითბო არ უნახავს. ჰგონია რომ გაიგებს ასეთი ქალი მის გაუმხელელ დარდს. მას უნდა ამ საიდუმლოს გამხელა, უნდა სული და თვალები ვინმეს ანდოს, მაგრამ ამავდროულად არც დევობაზე უარის თქმას აპირებს, ნულთან, ცხრა მთას იქით დატოვებულ საწყისთან დაბრუნება ეძნელება. მინუს სამყაროში ხომ „წარმატებულია“, მდიდარია... ენანება მიღწეულის დაკარგვა.

ამიტომ, დევის საიდუმლო გასამხელადაა განწირული, ქალი დევობას უფრო გაპატიებს, ვიდრე ფრენაზე უარი რომ თქვა, ისეთ მერცხლობას.

სამართალი რომ აღსრულდეს, აუცილებლად გარედანაა საჭირო ქირურგიული ჩარევა. სხვამ უნდა დაანგრიოს მისი ბაბილონის გოდოლი, უნდა გააშიშვლოს, შემოაცალოს ყველა ტყუილი, უნდა გაანულოს, აუცილებლად უნდა გაანულოს.

„ირმისამ გაჭრა თოკი, ჩამოვარდა დევი, მოსჭრა ამ დევს ცხრა თავი, გაჭრა შუაზე, ამოიყვანა ირემი. ისიც გაჭრა, ამოიყვანა შველი, ისიც გაჭრა, გამოხტა კურდღელი. სტაცა ხელი კურდღელს და გაჭრა. შიგ ნახა ბაჭია. ისიც გაჭრა და ამოიღო კოლოფი.

ამ დროს გახდა ავად დევი. ირმისამ გახსნა კოლოფი, ამოიყვანა ერთი მერცხალი და მოკლა. მაშინ დევს ცალი თვალი დაუბრმავდა. მივიდა დევთან ირმისა და უთხრა: ეს ქალი რომ წამოიყვანე, ეგ იმიტომ მოგივიდაო. მაშინ დევმა თქვა: ქალს რომ კაცი დაენდოს, ქვეყანას დააქცევინებსო. ირმისამ ამოიყვანა მეორე მერცხალი და ისიც მოკლა. დევი ორივე თვალით დაბრმავდა“.

მინუს სამყაროდან საკუთარი ნებით არ ბრუნდებიან, მიღწეულზე, მოგროვილზე უარს ვერ ამბობენ. კაჟა ბულავა გავიხსენოთ „დათა თუთაშხიადან“:

„რომ გაჩნდეს ცეცხლი შენს ნალიაში და რომ დაიწვას ყველაფერი – ეს უნაგირები და ჩოხა-ჩაქურები, ეს ქამარხანჯლები, ეს თამასუქების დავთარი და ის ფულებიც რომ დაიწვას, სადღაც აქ შენახული უეჭველად რომ გაქვს, მითხარი, თუ კაცი ხარ, რას იზამ მერე?

კაჟა-მამაძაღლს ფერი წაუვიდა, დედას ვფიცავარ, სიმინდის ნაქუჩივით გაფითრდა და კინაღამ გადავარდა ჯორკოდან.

– ფუ ეშმაკს! – თქვა და კაი წმინდანივით პირჯვარი გადაიწერა.

– სადღაა ჯანი, დათა ბატონო, რაც მე ამ ფულისთვის გავიტანჯე, მეორედ ვეღარ ავიტან იმდენს!

– თავიდან დაიწყებ ფულის გროვებას? – სიცილი აუვარდა დათას“.

დევის პირველი რეაქცია ქალის ღალატზე ბუნებრივია... როცა მარტოსული ხარ, როცა იპოვი ვინმეს, ვისაც სულს ანდობ და გაგწირავს, როცა გაცემულია შენი ყველა საიდუმლო, როცა ფუფალასავით აღმოგხდება – არცა შიოლა ყოფილა ამქვეყნად... როცა ისევ ნულთან, ისევ საწყისთან ისევ ხესთან გაბრუნებენ ეს ჯვარცმაა... ეს ხე ამჯერად ჯვარია.

ჯვარზე გაკვრის ტკივილს ყველა ერთნაირად განიცდის, ბოროტიც და მართალიც. ავაზაკიც და უფალიც... ჯვარზე გაკრულისთვის წარსულის შეხსენებაც აღარ შეიძლება... იმდენად მძიმეა ეს წუთები.

მაგრამ დიდებულიცაა...

კვდება დევი და იბადება ბრმა მერცხალი, მინუს სამყაროსთვის დაბრმავებული... იმ გზას თავიდან ვერ გაივლის, იმ შიშებს თავიდან ვეღარ განიცდის, ვერც ნულთან გაჩერდება... თავიდან მოუწევს თავისი ნამდვილი ბუნების შემეცნება.

„ზღაპარ იყო, ზღაპარ იყო
ჭალას ჩიტი მომკვდარიყო,
დიდ ქვაბში ვერ ეტეოდა,
პატარაში ცოტა იყო“.

მდოგვის მარცვლისოდენა რწმენა ანუ ფიქრები ნახევარწიწილაზე

„ხოლო იესომ მიუგო მათ: თქვენი მცირე რწმენის გამო: თუ გექნებათ მდოგვის მარცვლის ოდენა რწმენა, უბრძანეთ ამ მთას: გადაადგილდიო, და ისიც გადაადგილდება, და არაფერი იქნება შეუძლებელი თქვენთვის“.

„იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა. იყო ერთი ნახევარწიწილა. ერთხელ ნაცრის ქექვა დაიწყო და ფეტვის მარცვალი იპოვა.

წაიღო ფეტვის მარცვალი მინდორში, მოხნა მიწა და დათესა. ყანა მოვიდა ისეთი, რომ უფლის თვალი შიგ ტრიალებდა და ნახევარწიწილაც მოუთმენლად მოელოდა დამწიფებას. დამწიფდა ყანა, მაგრამ შემოვიდა ბატონის ჯოგი და ერთ ღამეში პირწმინდად გადაძოვა“...

**„ვქექე და ვქექე ნაცარი,
ვიპოვე ფეტვის მარცვალი,
მოვხან მიწა და დავთესე,
მოვიდა ყანა სამკალი.
ჩვენი ბატონის ნახირი,
უთვალავი და მრავალი,
შესულა, გაუძოვია,
აღარ შემომრჩა მარცვალი“.**

ასე იწყება ნახევარწიწილას ზღაპარი. იწყება და უკვე სკეპტიკურად განგაწყობს, ღიმილს მოგგვრის.

ჯერ წიწილა რა არის, ციცქნა, გალეული და მისი ნახევარი რაღა უნდა იყოსო, ფიქრობ. მერე ნაცარქექია წიწილას წარმოიდგენ და გეცინება. ნაცარქექიობა ხომ უსაქმურობასთან, ფუჭ ფანტაზიებთან ასოცირდება.

ახსენებ ნაცარქექიას და თითქოს ქირქილი ჩაგესმის:

„– ო, რა საამურია, ზამთარში, შუა ცეცხლთან ნაცრის ქექვა და ფიქრები კაცობრიობაზე, ქვეყნის დასაბამზე და დასასრულზე, და ტირილი და ოცნება...“

მაგრამ, ყოველთვის რომ ვერ ვწვდებით იმ კაცის ფიქრებს, კერიის წინ რომ ჩამჯდარა და ნაცარში იჩხრიკება? იქნებ რას ეძებს... იქნებ რას ფიქრობს და რაზე ოცნებობს. იქნებ სწორედ ამ დროს იღვიძებს მთვლემარე გონება.

„სიყვარულია მშობელი ოცნებისა, ოცნება აღვიძებს კაცთა მოდგმის მთვლემარე გონებას, გონება აღძრავს ქმედებას, პლიუს-მინუს, ემ ცე კვადრატ (mc^2), ეფ, ფუძე (√) ვნებათაღელვის უსასრულობისა და შეცნობილი აუცილებლობისაკენ“.

ზღაპარი ალბათ მეტაფორის დაბადებაა. ვინც ეს მეტაფორა შეთხზა, მწამს, რომ ნაფიქრი იყო სიტყვა ,,ნახევარი“-ს ძალაზე... ადამიანი იბადება ნახევარი, რჩება და კვდება ნახევრად. ცხოვრების მთელი ვნება კი „ერთად“ გადაქცევის მცდელობაა... ის ვინც აზროვნებს, უკვე ნახევარია. მხოლოდ აზროვნებამდე არსებობს „ერთი“. სიყვარულიც ნახევრობის გადალახვის მცდელობაა.

ფეტვის მარცვლის პოვნა კი ესაა შემოქმედება, ხარჯავ მთელ ცხოვრებას, იპოვი ნამცეცს, დათესავ, მოიყვან ჯეჯილს (სვეტიცხოველს). მარჯვენას მოგკვეთენ, გადაგიძოვენ სხვები, ისინი შეირგებენ, შენ კი იქნებ საფლავიც არ გეღირსოს შენი საკუთარი.

მაგრამ ფეტვის მარცვალზე დიდს რაღას იპოვი. ღირს მსხვერპლად მისი პოვნა. ღირს შრომა ჯეჯილის ასაბიბინებლად და ღირს ბრძოლა, ნახირს რომ შემოგისევს იმ ბატონთან. ამ ბრძოლაში გარეგნულად დამარცხებული, დასჯილიც კი გამარჯვებულია.

„ნახა დილას ნახევარწიწილამ თავისი განადგურებული ყანა და ჯავრისაგან გულზე ცეცხლი მოეკიდა, პირიდან სულ ცოფები ყარა. ადგა და წავიდა ბატონის საძებნელად, რომ ან ზარალი აენაზღაურებინა, ან სამაგიერო მიეზღო“.

სამართლის საძებნელად გზაზე დამდგარს დაბრკოლებებს რა გამოგილევს..

ხან ცილისწამება (მელია) გიპირისპირდება, ხან – მგელი (კანონი), ხან – უხეში ძალა (დათვი). ხანაც აღელვებული ზღვა გეღობება წინ, შენს წინააღმდეგ განწყობილი უზარმაზრი სივრცე. ახლა მე ჩაგყლაპავ და აღარც ფეტვი დაგჭირდება და აღარც ხორბალიო – ემუქრებიან.

ათასი მიზეზია იმედის გასაცრუებლად და მდოგვის მარცვლისოდენა რწმენა გამარჯვებისა.

მაგრამ დიდია მდოგვის მარცვალი... დიდია რწმენა გამარჯვებისა. ამიტომ ყლაპავს და ინელებს ნახევარწიწილა ბატონის სიტუაციურ მოკავშირეებს. ამიტომ ხდება უძლური მის ძალასთან ტყუილი, ეშმაკობა... ყველა და ყველაფერი, რაც ზღვასავით გეღობება წინ.

„დაადგა ისევ გზას. გზაზე ზღვა დახვდა. ნახევარწიწილამ უთხრა:

დაშრი და გამატარეო.

ზღვას სიცილად არ ეყო:

ახლა სწორედ შენი გულისათვის დავშრებიო.

არ დაშრები და მე დაგაშრობო, – უთხრა ნახევარწიწილამ, გააღო პირი და მთელი ზღვა ერთ ყლუპად ამოშრიტა. გაიარა ნაზღვავარი და მივიდა ბატონის სახლში“.

აჰა, დასრულდა ეს გზა სავსე ხიფათითა და ფათერაკებით... და ყველაფერი რაც ხელს უშლიდა უკვე მისი, ძლიერის და გამარჯვებულის სიტუაციური მოკავშირე ხდება. უკვე ბატონის წინააღმდეგ მოქმედებს მელიაც, მგელიც, დათვიცა და ზღვაც, სინამდვილეში სულ ერთი ყლუპი რომ ყოფილა...

მთავარია ფეტვის მარცვალი იპოვო...
მთავარია მდოგვის მარცვლისოდენა რწმენა გქონდეს.
ჭირი იქა, ლხინი აქა,
ქატო იქა, ფქვილი აქა.

მუჭანახევარას ტრაგედია ანუ მიზანი მაცდურია ბატონებო

„თქუენ ხართ მარილნი ქუეყანისანი. უკუეთუ მარილი იგი განქარდეს, რაჲთა-მე დაიმარილოს? არღარა შემძლებელნ არნ მერმე, არამედ განგდებად გარე და დათრგუნვად კაცთა მიერ.

თქუენ ხართ ნათელნი სოფლისანი. ვერ ჴელ-ეწიფების ქალაქსა დაფარვად, მთასა ზედა დაშენებულსა“.

მათე 5.13-14

„იყო და არა იყო რა, იყო ორი კაცი. ერთი ქოთანი ლობიოს მეტი არაფერი გააჩნდათ, მარილიც კი არ ჰქონდათ, ლობიოსთვის რომ მოეყარათ.

ერთმა უთხრა მეორეს:

– ხომ ხედავ, მარილი არა გვაქვს, წადი ქალაქში და იყიდე მუჭანახევარი მარილიო!

– დამავიწყდება, – უპასუხა მეორე კაცმა, – მარილს კი დავიმახსოვრებ, მაგრამ მუჭანახევრისა კი რა გითხრაო.

– წადი და გზაზე სულ იძახე: „მუჭანახევარი, მუჭანახევარი“, და აღარ დაგავიწყდებაო, – ჭკუა დაარიგა პირველმა.

იმანაც დაუჯერა და გზას გაუდგა, თან გაიძახოდა: – მუჭანახევარი, მუჭანახევარიო“. –

ასე იწყება მუჭანახევარას ამბავი.

ზის ორი განსხვავებული, უქონელი კაცი, ერთ ქოთან ლობიოსთან.

პირველს გონება უჭრის, ხვდება, რომ სწორედ ცხოვრებისათვის მადლი (მარილია) საჭირო, ისიც იცის რამდენს დაიტევს, სულ მუჭანახევარია საჭირო, იმასაც ხვდება სად შეიძლება იყოს „მარილი ამა ქუეყანისა“, თითქოს ხედავს კიდეც მთაზე დაშენებულ ქალაქს, სადაც მადლიანი ცხოვრებისთვის საჭირო სიბრძნის დაუფლებაა შესაძლებელი... მაგრამ თავად არ მიდის, მოქმედება ეზარება, სხვას უშვებს, სხვას, საკუთარი აზრის არ მქონეს, აყენებს თავისი მიზნისკენ მიმავალ გზაზე.

...და მიდის სხვისი მორჩილი კაცი... მიდის და იმეორებს სხვის სურვილს უსასრულოდ...

მუჭანახევარი... მუჭანახევარი... მუჭანახევარი...

სიტყვა ან შენს გონებაში უნდა დაიბადოს და მერე გულმა უნდა მიიღოს, ან გარედან უნდა შეაღწიოს გულში ისარივით და გონებამ გაითავისოს, სხვა შემთხვევაში სიტყვა, როგორი ბრძნულიც არ უნდა იყოს, ცარიელია, შენი არაა, შენს მიზნად ვერ იქცევა.

მანტრაა, რომელსაც უაზროდ, უმიზნოდ იმეორებ. ქმედებაა, რომელსაც შედეგი არ მოაქვს. ასეთი ამოჩემებული სხვისი „სიტყვა“, ნებისმიერ დროს შეიძლება ჩანაცვლდეს, ახალი „სიტყვით“, ახალი მიზნით, რომელიც ასევე არაა და არც შეიძლება გახდეს შენი.

ჯემალ ქარჩხაძე ამბობს: **– „მიზანი მაცდურია, ბატონებო, სანამ მიაღწევთ, თქვენი გგონიათ. როცა მიაღწევთ, მაშინღა მიხვდებით, რომ სხვისი ყოფილა.**

ცხვრის ფარა ბღავილით ბრუნდება საძოვრიდან და ფარეხში ისე მიდის, როგორც საკუთარი მიზნისკენ. უკან კი მწყემსი მისდევს შოლტით ხელში...

ქვა მოწყდება კლდეს და ხევში ჩავარდება. მიზანი მიღწეულია. მაგრამ ვისი, ქვის? ხევის? გრავიტაციის? თუ სულ სხვა რამის, რაც ქვაც არის, ხევიც და გრავიტაციაც?..

...და მიდის გზაზე სხვისი მორჩილი კაცი... მიდის სხვისი მიზნის შესასრულებად... იმეორებს სხვის სურვილს უსასრულოდ:

მუჭანახევარი... მუჭანახევარი... მუჭანახევარი...

მიდის და ხან ხორბლის მთესველის მსხვერპლი ხდება, კაცისა, რომელიც მიწასაა მიჯაჭვული, მარილის საძებნელად წასულების არაფერი გაეგება, მთავარია ერთი ათასად ექცეს, მთავარია უხვი მოსავალი აიღოს.

ჰოდა, უცებ გადაიქცა მუჭანახევარა ხორბლის მთესველის სურვილების გამხმოვანებლად.

არც მოუხნავს, არც დაუთესავს, არც მოსავალს ელის, მაგრამ მიდის გზაზე მუჭანახევარა და გაუაზრებლად იმეორებს:

ერთი ათასად... ერთი ათასად... ერთი ათასად...

ამ ჭრელ წუთისოფელში სხვა რაა ყველაფერს მორგებული, სიტყვა რომ იყოს?

მიდის გზაზე მარილის საყიდლად წასული კაცი. ხან მკვდრის პატრონები გამოუხტებიან და მიბეგვავენ, ხან მექორწილეებმა სცემეს საცოდავი..., ხან მონადირემ გაუხადა რაც სიგრძე ჰქონდა, სიგანედ...

– რადა მკლავთ, თქვე ურჯულოებო, მაშ, როგორ უნდა მეთქვაო? – საცოდავად ეკითხება ყველას... და მანტრაც იცვლება... ჩიჩინი ჭრის...

– მუჭანახევარი... მუჭანახევარი... მუჭანახევარი...

– ერთი ათასად... ერთი ათასად... ერთი ათასად...

– ეგ ამბავი პირველი და უკანასკნელი იყოს თქვენს ოჯახში...

– მეფეს გაუმარჯოს... მეფეს გაუმარჯოს... მეფეს გაუმარჯოს...

იყო და არა იყო რა, იყო ორი კაცი. ერთი ქოთანი ლობიოს მეტი არაფერი გააჩნდათ და სულ რაღაც მუჭანახევარი მარილი სჭირდებოდათ.



გუგა მგელაძე

იუდას გოლგოთა

„ისევ იკაწრება წარსული ეკლებივით“.

გივი ალხაზიშვილი

„ცა მინასავით შენაორთქლები,
აჭრელებულა სიმარტოვის იეროგლიფით“.

თამაზ ჭილაძე

ერთხელ, სიზმრიდან ასეთი უცნაური ფრაზა ამყვა: „თავი კაქტუსი მგონია, რომელიც დამტვერილ რაფაზე მიატოვეს, უწყლოდ და დღენიადაგ მტვერს ახველებს. გაჩენის დღიდან სავსე ვარ გაქვავებული ცრემლის კრისტალებით“. ცხადია, მაშინვე ჩავიწერე, რადგან ვგრნობდი, რომ ადრე თუ გვიან, ჩემს პიესაში აუცილებლად ამოყოფდა თავს. ეს თვეების წინ იყო და იქამდე თვლემდა მეხსიერების რომელიღაც გრილ სარკოფაგში, ვიდრე მაკა ჯოხაძის ახალი რომანის კითხვა არ დავიწყე.

დაჰყურებ სათაურს და უკვე წინასწარ, ფურცლის გადაშლამდე გრძნობ სულზე ეკლის ჩხვლეტის ყრუ ტკივილს, სულ მალე რომ შეიძენს საგნობრივი სიმკვრივის უნარს. წიგნის ჟრუანტელისმომგვრელად ლივლივა, ტალღოვანი ყდა ხსოვნის კარიბჭისკენ მიმავალი ბილიკია ან, თუ გნებავთ, მეტაფიზიკური კომპასი – ბიბლიურ სამყაროში სახეტიალოდ. მართლაც, ყოველი ახალი წიგნი ხომ ახალ, ჯერ კიდვ ფეხდაუდგმელ, აუთვისებელ სამყაროსთან ზიარების პორტალია. მართალია, გზა ყოველთვის ხიფათებითაა სავსე, თუმცა ნამდვილი ლიტერატურის ელექსირივით მაცოცხლებელი ენერგეტიკით დამუხტული და, ერთგვარი მარადიული შუქით გაჩახჩახებული შინაგანი სამყაროს მქონე მკითხველი ყოველ სიტყვას თაფლიანი ფიჭასავით წუწნის ხოლმე. ეს ხომ თხრობის წყალობით მოგვრილი ნეტარებაა, ექსტაზია, წარმოსახვის ზეიმი. ჰოდა, სიზმრიდან გამოყოლილი ფრაზა სწორედ კითხვის პროცესში ამოიზარდა ისევ მთელი თავისი ტრაგიზმისა და სევდის ექოებით. მაკა ჯოხაძისეული იუდა ისკარიოტელის სულის ხრიოკი უდაბნო, როგორც დამშრალი ოკეანე, სავსეა სიცარიელის ბასრი ნამსხვრევებით. მეტიც, მასში სწორედ გაქვავებული ცრემლის კრისტალების თუ კრისტალთა ნამტვრევების სასაფლაოა.

* * *

„ისკარიოტის ეკლები“ – კითხულობ სათაურს და თითქოს სასა გეფხაჭნება. გრძნობ, რომ ეს ფრაზა სამყაროსხელა ტანჯვისა და ტკივილის ხსნარშია ამოვლებული. ხსნარი ჯავშანია დავიწყე-

ბის წყვდიადისგან თავის დასახსნელად, დროისგან დასასხლტომი მარადიული ბაკანია, ბედისწერის ბეჭედი, ტვიფრი, დამღა. იწყებ კითხვას და რიჟრაჟის ნისლში გახვეულ კვიპაროსებს ანტიკური ტრაგედიის სისხლიან სცენად ქცეული ისკარიოტის სამყაროში გადაჰყავხარ.

წყვდიადში ალმასებივით აბრჭყვიალებული მეტაფორების, თხრობის რიტმული ვარიაციულობის, ფიქრის მუსიკის და თავზარდამცემი პოეტურობის მეშვეობით, მაკა ჯოხაძე ქმნის ბავშვობის, ბავშვად ყოფნის ხსოვნის სულისშემძვრელ რეკვიემს. მეტიც, იუდას გზა ხომ კაცობრიობის გზაა, საკუთარი თავის შემოწმების, დადგენის ეკლიანი ლაბირინთი. იგი აგრეთვე ცნობიერების გოლგოთაა – დაცემიდან კათარტულ აქტამდე. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ იუდას სახის, ფსიქოტიპის კომპლექსურობა გულისხმობს კაენისა და ოიდიპოსის ბედისწერათა დაჩირქებული საცეცების მხუთავ ენერგეტიკას, მუხტს, კითხვის პროცესში ლავასავით რომ ამოხეთქავს.

ლავა შემთხვევით არ მიხსენებია: „ისკარიოტის ეკლები“ ვნების ლავით ხურს. ხურს და თუხთუხებს ამ რომანის პერსონაჟთა სულების შეხეთქების შედეგად გაჩენილი მეტაფიზიკური კრატერები.

წიგნის დასაწყისში „აღებული“ ნოტი განგაშის დამაყრუებელი ხმის მოლოდინითაა გაჟღენთილი: **„აბიგაილი თაღოვანი სარკმლიდან გაჰყურებდა რიჟრაჟის ნისლში გახვეულ კვიპაროსებს. მეცხოვნეთა შუბებივით რომ აღმართულიყვნენ სასახლის გალავანსა და ისკარიოტს შორის. უდრტვინელად ეძინა სოფელს. ჩიტების ჟივჟივი შეციებული სითბოს ნაზავად ფრთხიალებდა ჰაერში. თანდათან იშლებოდა, ნაკადებად მიერმართებოდა მღვიმეებისაკენ. ყურის ნიჟარებში კაპილარებს ადევნებული, ფრთხილად ელამუნებოდა ძილბურანის ზღვარს. დღე-ღამის გასაყართან ფშვინავდა სოფელი. აბიგაილს კი რახანია, არ ეძინა.“**

და მერე: **„არც სიმონ-როველს ეძინა“.**

ესენი ჯერ კიდევ დაუბადებელი იუდას მშობლები არიან. გრძნობთ, არა, დიდი რყევების, შეჯანჯღარების, სისაზარლის მომტანი ტკივილის დანაღმულ ექოებს? როგორ გაშეშებულან, გასევდისძეგლებულან იუდას მშობლები! რა აშფოთებთ მათ? რა აწრიალებთ? რა არ ასვენებთ? ამ შეკითხვაზე პასუხს სულ მალე, იმავე გვერდებიდანვე ვიგებთ. ვიგებთ აი, ამ, მე ვიტყოდი, უღრან ტყეში გასროლასავით, მჭახე, შიშით დატენილი ფრაზით: **„ამის გაჩენას, მირჩევნია, მოვკვდე“.**

მაკა ჯოხაძემ, ყველა სხვა ნამდვილი მწერლის მსგავსად, იცის, როგორ წარმოქმნას მკითხველში ჟრუანტელის ჭიანჭველები. ეს, ერთი მხრივ, თუ მისი სტილისტიკის რამდენიმე უარსებითეს კომპონენტს გავითვალისწინებთ, ლირიზმის ჩახჩახა შუქის და სამყაროს განცდის სიფაქიზის, ხოლო, მეორე მხრივ კი, ადამიანში არსებული ტრაგიკული იმპულსების სიმძაფრის მეშვეობით იბადება. ამდენად, მისი „ფიჭვები უდაბნოში“, „მკვდარ გუბეში ნასროლი კენჭები“, „ზღურბლზე“, „ჩოჩორიკას თოვლი“ თუ „ისკარიოტის ეკლები“ ესთეტიკურ ტკბობასთან ერთად კიდევ ერთხელ გვაფიქრებს გაჩენის სევდის მარადიულობაზე. ეს სევდა ბავშვობიდანაა ამოზრდილი. ბავშვობაშია საძიებელი მისი ბოლქვი.

* * *

„ბავშვობა სამოთხის ხატია. ბავშვობის ხანა თან სდევს ადამიანს, როგორც სამოთხისეული სრულყოფილების, უზრუნველობის, სასწაულების ბუნებრივი ნოსტალგია. (...) ბავშვობაში არის საიდუმლო. ბავშვი ახლოს არის რაღაც საიდუმლოსთან და მას აქვს მისი განცდა, რასაც ადამიანი კარგავს ასაკში შესვლისას“. – იუდას ბავშვობაზე ფიქრისას სწორედ ეს ფრაგმენტი გამახსენდა ასოციაციურად ზურაბ კიკნაძის ბრწყინვალე წიგნიდან „ამარგი/ალუდას ნახტომი“. მაკა ჯოხაძისეული იუდა ხომ (ჯერ კიდევ ჩვილობაში, თან სახელშეურქმეველი!) მალევე მოიშორეს და კალათით შეაცურეს გენესარეთის ტბაში, **„როგორც ღალატის მხილება, როგორც გამეტების ღია ჭრილობა... უსისხლო, გამომშრალი...“** ჩვილის არსებობა (მანამდე კი დაბადებამდელი განწყობა!) საზარელი

ჩვენებებით, კოშმარებით აფრთხობს მშობლებს. თანაც იმდენად, რომ აბიგაილი მშობიარობის ტკივილებსაც ვერ იგრძნობს, ვერც დედობრივ განცდას. შეჩვევის ფაზა ოდნავ გვიან მოვა, ძუძუს წოვისას ანუ იმ მომენტამდე, როდესაც პატარა იუდა დედას კერტს მოაჭამს. პირადად ჩემთვის, ეს დედა-შვილური ურთიერთობის მეტად უცნაური, ვიტყოდი, არქაული განცდაა. ვინ იცის, იქნებ საზარელმა ხილვებმა ევაც კი დაამუნჯა კაენის მუცლით ტარებისას, გაჩენის მერე კი ქვეცნობიერად უფრო მძაფრად იგრძო ჯერ კიდევ ჩაუდენელი მკვლელობის და მკვლელის დედად ყოფნის სიმწარე... ჰოდა, სწორედ გენესარეთის ტბა გახდება იუდას მარადიული ხეტიალის პირველი ბიძგი, იმპულსი. ის მოხეტიალე სულია. მუდმივად გარბის, გარბის, რათა გადარჩეს, რათა ცხოვრებამ არ დაჯაბნოს. ყოველთვის იქაა სადაც ფული და ძალაუფლებაა. ეს ხიბლავს, ეს აბრუებს. ამ ყოველივეს კი თანდათან, ფეხდაფეხ ვეცნობით.

მაკა ჯოხაძე დინჯი, აუჩქარებელი მთხრობელია, თუმცა ეს სრულებითაც არ გამორიცხავს ამბის დრამატურგიის, მოვლენათა განვითარების გასაოცარ დინამიზმს. მოდით, ერთი წამით დავაკვირდეთ ატმოსფეროს როგორი შეგრძნება აქვს მწერალს:

„სიოს ყოველ წამოქროლებაზე აყვავებული არომატების ისეთი სურნელი იფრქვეოდა, დაბანგული ფრინველები გალობას წყვეტდნენ, შაშვების ჭახჭახიც, დილიდანვე მჭახედ რომ გაისმოდა, თანდათან ჩამთბარ, ჩათქვირულ კვნესაში იკარგებოდა. ისეთი სიჩუმე იდგა, განაბული ნაკადულების ჩუმი ლიკლიკიც კი ისმოდა“.

ან

„მნათობის ცივ შუქზე ყინულივით ბზინავდა უხერხული სიჩუმე“.

ამით იმის თქმა მინდა, რომ მაკა ჯოხაძისეული პეიზაჟის ფუნქცია მრავალპლასტიანია და გაცილებით მეტია, ვიდრე კონკრეტული სამოქმედო სივრცისთვის საჭირო რეკვიზიტი. პეიზაჟი ქმნის განწყობის ინტიმს, ემოციათა იმ გრადაციას, რასაც რომანი გაყავს კონკრეტული დრო-სივრცული არეალიდან და აჩენს მარადისობასთან შეხების ფიზიკურ შეგრძნებას.

* * *

ფიქრის ეკლებით დაკაწრული, დაჯიჯგნილი იუდას მოგზაურობა, როგორც უკვე ითქვა, პერსონალური გოლგოთისკენ მიმავალი გზაა. ქრისტე ჯვარზე გააკრეს, ხოლოდ იუდა ბორცვზე მდგარ ტოტებგაბარჯღულ ხეზე გადაწყვეტს თავის ჩამოხრჩობას. ეს ხე მისი ჯვარია, მისი ცოდვილი სულის გილიოტინა, ოღონდ მანამდე ხიფათიანი და სისხლიანი ლაბირინთია გასავლელი. ისკარიოტიდან კუნძულზე, კუნძულიდან კვლავ ისკარიოტზე, მერე და მერე: იერუსალიმი, ჰეროდეს სასახლე, კაპერნაუმი, მკვლელობები, ინცესტი, ზიზღი, ღალატი, შური... გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ეპიზოდები ერთმანეთისგან სამი ვარსკვლავითაა გამოყოფილი: ეს წამიერი შეჩერების და ამოსუნთქვის ნიშანია, რადგან თანდათან ტრაგედია სულ უფრო მეტად სისხლიანი ხდება. გრჩება განცდა, რომ სადაცაა ყვირილი ზეცას დაბზარავს და მიწა ზეცის ნამსხვრევებით აივსება. ყვირილი კი სულ უფრო მეტად ემსგავსება ყმუილს, მერე კი ხავილს... სისაზარლის ეს გრადაცია, ეს ტრანსფორმაცია წარმოსახვის გამაოგნებელ, უშრეტ უნართან ერთად ადამიანის შინაგანი სამყაროს წვდომით, მისი სულის მღვიმეში შესვლით და პერსონაჟად გარდასახვით მიიღწევა.

ამ რომანში ყოველ სამწერტილს შორის ვერთქმული, თუმცა ნაგულისხმევი სევდის არქიპელაგები თვლემენ...

* * *

„ისკარიოტის ეკლები“ თამამად შეგვიძლია მოვიხსენიოთ, მაგალითად, ნიკოს კაზანძაკისის, ჟოზე სარამაგუს, პერ ლაგერკვისტის, ლეონიდ ანდრეევის ან მიხაილ ბულგაკოვის ბიბლიურ თემა-

ტიკაზე შექმნილი ნაწარმოებების გვერდით. ამის თქმის უფლებას მაძლევს თავად თხრობის ტემპერამენტი, პერსონაჟთა ვნებების სტიქიური ბუნება, ძალა, ხიბლი, მაგია...

მახსოვს, ბოლო ფრაზის დასრულების შემდეგ დიდხანს ვერ გამოვდიოდი იმ დამამუნჯებელი გაოგნების, აღტაცების ფაზიდან, რასაც დიდ პროზასთან შეხების ჟრუანტელი იწვევს. ვიხსენებ კითხვის პროცესს და ნელ-ნელა ხსოვნის ჭიდან ამოჭრიალდება ნაწყვეტი ლია სტურუას შესანიშნავი ლექსიდან „იუდას ხე“:

ბიბლიაში სანიშნი დევს ზუსტად იმ ადგილას,
სადაც პილატე სისხლიან ხელებს იბანს,
მაგრამ თავი ისე ტკივა,
თითქოს იერუსალიმის საძულველ მზეზე
უნდა იმშობიაროს...
და სწორედ მისი ტვინიდან გამოდის კაცი,
რომელსაც ათი იუდა უზის გვამში,
მაგრამ ისეა მიტყუპებული მთელ ქალაქთან,
რომ თავსაც ვერ მოიკლავს,
ყველას თუ არ შეეკითხა
და ივლის ასე, ცას გამოკერებული
მტკივანი სინდისით,
ერთ მშვენიერ დღეს ქუჩამ რომ არ შემოაგებოს ხე,
საგანგებოდ აყვავებული
და იმედის მომცემი,
რომ მისთვისაც არსებობს
ბუნების ბოლო სიჩვილე – მონანიება...

მართლაც, იუდას ამბავი ხომ დროის მიღმაა გატანილი. მისი გატანჯული სულის ხეტიალი ისეთივე მარადიულია, როგორც ტკივილიანი ხსოვნის კაქტუსები...

გრილი სიჩუმის ექო

„ღამეს კი მოაქვს დიდი სევდა გარდასულ დღეთა“.
მედეა ზაალიშვილი

„სევდა – აი, ჩემი ჭეშმარიტი ხელობა“.
პოლ ვალერი

„პოეზია ენის თვისებაა, ენის ემანაცია, ენის მაგია“ – წერს ანდრო ბუაჩიძე. მართლაც, პოეზიის ცხოველმყოფელი ძალა, მისგან წარმოქმნილი უნიკალური შეგრძნებების ბიოველი მარადისობის სტალაქტიდებს წარმოქმნის ხოლმე, საიდანაც წვეთ-წვეთობით ჟონავს სევდა, ნოსტალგია, მოწყენილობა, ხან ცრემლსადენი გაზივით ამონისლდება, ამოგანგაშდება ღია ჭრილობის ნაპრალიდან შიში და ტკივილი, ხან შიშის ხორკლიანი საცეცების ლორწოვან კვალს ვგრძნობთ მეტაფიზიკური განგაშის ზარის რეკვით თავგახეთქილი პოეტის ლექსების კითხვისას ან ფოთოლცვენის სევდას

(რილკე), ან დღეთა გვამებს (აპოლინერი), მოწყენილ და სველ კვამლს (ოთარ ჭილაძე), ლურჯად ნახავერდებ უდაბნოს (გალაკტიონი)... მედეა ზაალიშვილის პოეზიის კითხვისას კი გრილი სიჩუმის და გათენებისპირა, ჯერ კიდევ გამოუღვიძებელ ქალაქში ჩამოწოლილი, სიმშვიდის ფეთქვა გვესმის.

„სიმშვიდე დაფნის ხეებში“ სევდის გუაშით შეფერადებული კრებულია. კომპოზიციური თვალსაზრისით, იგი ერთგვარი ხსოვნის ალბომია, მეხსიერების ჰერბარიუმი, სადაც ყველაზე სათუთი, მგრძნობიარე, მტკივნეული, ფიქრის ეკლებით დაკაწრული მოგონებები, განწყობები, შეგრძნებები, ცნობიერების ნაფლეთები კითხვისას საგნობრივ სიმკვრივეს იძენენ და თანაგანცდის, კათარტული აქტის მარადიულ, დროისმიღმიერ რიტუალში გადაყავხარ...

„მჭკნარი ფოთლები ცვივა და ცვივა
და ზამთრის პირის დადგა ამინდი.
ნახევარმთვარე, მკრთალი და ცივი,
ვარსკვლავებს შორის ტივტივით მიდის.
ასეთ ამინდში მღლიან ფიქრები,
ისევ იხსნება იარა ძველი,
ახლა მარტოდენ ის თუ მიშველის,
თუკი მე და შენ ერთად ვიქნებით.
მჭკნარი ფოთლები ცვივა და ცვივა...
შენ გელოდები... სარკმელთან ვზივარ“.

მჭკნარი ფოთოლცვენა პოეტის სულიერი ლანდშაფტის მუდმივი „რეკვიზიტია“, რომელიც ბადებს დიდი პოეზიის აუხსნელი მაგიისგან წარმოქმნილ ჟრუანტელის ჭიანჭველებს. ლექსიდან ლექსზე ხიდივით გადებული ნაღვლიანი ღრუბლები ის მთავარი ბილიკებია, რასაც მკითხველი სიჩუმის პარტიტურამდე მიყავს. მედეა ზაალიშვილის პოეტურ სამყაროში უცნაური დუმილი მეფობს – ნარკოზივით დუმილი, თუმცა, ცხადია, ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ პოეტი არბილებს, ამსუბუქებს სათქმელს, ხოლო მკითხველს კი თენთავს თავისი სისათუთით. არა: მედეა ზაალიშვილისეული სიჩუმე სწორედ ნარკოზის ეფექტივით გვავიწყებს ყოფიერების სიხისტეს, სიმახინჯეს, ნგრევის არქაული სიშმაგით შეპყრობილთა სახეებს და გადავყავართ გაცილებით უფრო რეალურ განზომილებაში, ზმანებების სამფლობელოში, სადაც განცდები, მოვლენები, საგნები შიშვლად, უნიღბოდ გვევლინებიან:

„დადგა ზამთარი... სევდა, უძირო,
ტანზე ცივსისხლა გველივით მეკვრის“.

ან:

„მაშინ ჩვენს ბაღში იდგნენ ვერხვები
ფოთოლთ შრიალი მიჰქონდა ნიავს,
გავიდა დრო და ახლაც ვერ ვხვდები,
ჩვენს ასეთ ყოფას ნეტა, რა ჰქვია?!“

კიდევ ერთიც ვნახოთ:

„ღამე დღის ნარჩენებს ამოჭამს ჩრჩილივით“.

მედეა ზაალიშვილი, როგორც აბსოლუტური პოეტური სმენის მქონე მთარგმნელი, შესანიშნავად გრძნობს სიტყვის, ფრაზის ემოციური ტევადობის, სისავსის უსაზღვროებას. ეს ბრწყინვალედ

ჩანს, როგორც მის თარგმანებში (ბაირონი, შექსპირი, ფროსტი, ელიოტი, დიკინსონი, პო, პაუნდი, ფოლკნერი, კოლრიჯი...), ასევე პერსონალურ პოეზიაში. გრილი სიჩუმის ექოები მარადისობისკენ მიმავალი გზის ფილაქნებია, რომელსაც მშვიდად მიუყვება „დაფნის ხეების“ მოწყენილი პროტაგონისტი. მისი დარდიანი მზერა, სარკმელში ცქერა, მოლოდინი, მარტოობა, სევდის ნისლები... ყველაზე მეტად, ყველაზე მძაფრად ემილი დიკინსონს მაგონებს. ამ კრებულის ლირიკული სუბიექტი ემილი დიკონსონის სულიერი ტყუპისცალია.

ეს ამ ლექსის ფრაგმენტიდანაც ჩანს:

„უძილო ღამით სევდიან ქალს
ფიქრები იპყრობს
და ჩუმად ამბობს:
– ვინ ვარ? – არავინ!
და სევდა იპყრობს დაუფარავი“
(„ექსპრომტი ემილი დიკონსონის თარგმნისას“)

აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ „სიმშვიდე დაფნის ხეებში“ ინტერტექსტუალური წიგნია. აქ შევხვდებით როგორც ავტორების ცალკეულ სილუეტებს: ემილი დიკინსონს, უილიამ ბატლერ იეიტსს, ტერენტი გრანელს, ესმა ონიანს, გურამ რჩეულიშვილს, ოსიპ მანდელშტამს, ასევე ლიტერატურულ პერსონაჟებსაც: დეზდემონას, ოფელიას, ჰამლეტს... მეტიც, „დილა მშვიდობისა, თეთრო ოფელია!“ თანამედროვე ქართული პოეზიის ახალი შედევრია. ამის თქმის უფლებას მაძლევს თავად ამ მიკრო პოემაში შეწოვილი ფიქრის ორბიტა, მისი მეტად იდუმალი, ცნობიერების ნაკადის ტექნიკით „შესრულებული“ და პოსტმოდერნისტული აბლაბუდით ნაქსოვი, ენა, ენის ქვეცნობიერი.

ვნახოთ:

„მიტივტივებენ მიკროქვეყნები,
მიკროქვეყნები მიტივტივებენ თვალის გუგებში...
ამთქნარებს სფინქსი, წამოწევა უნდა მიწიდან,
მაგრამ ამაოდ, ის სამუდამოდ ჩაკრულია
სამკუთხა მხრებით მიწის უბეში...
რა დიდებულად ამთნარებს სფინქსი...
თან მდუმარებას უსმენს დიდი, ბრტყელი ყურებით...“

სწორედ ენის ქვეცნობიერის წიაღიდან ციკლოპის წყლიანი თვალივით გაიბრწყინებს მედეა ზაალიშვილის პოეზიის მარად უქრობი ნათება. ნათება, რომელიც მარადისობის ბილიკისკენ მიმავალი ჩირაღდანია.



სოსო ტუღუში

არ შეიძლება მოკვდეს ლამაზი არსი ჩვენი კაცობისა

ქართული კინოს გენიას, თენგიზ აბულაძეს, დაბადებიდან 100 წელი შეუსრულდა. რეჟისორმა საფუძველი ჩაუყარა საავტორო კინოს ქართულ ეროვნულ კინემატოგრაფიაში და შექმნა მისი ინტელექტი. ოსტატის ფილმები გამოირჩევიან ფილოსოფიური პრობლემატიკისა და ნაციონალური, ქართული მოტივების შერწყმით. მისი ყოველი ფილმი თავისი ინდივიდუალური ფორმით, სტილით, ესთეტიკური ღირებულებითა და ფილოსოფიით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, რაც მოწმობს მისი, როგორც მოაზროვნისა და მხატვრის ევოლუციურ გზას. მის რეჟისურას საფუძვლად უდევს მაღალი ინტელექტი და ბრწყინვალე ინდივიდუალური ხედვა, რომელიც კინოს საშუალებით გახდა შესაძლებელი.

ბატონი თენგიზის მორალი კაცობრობის წინაშე მისივე პასუხიმგებლობიდან, მისი სულიერებიდან და იმ მორალური პრინციპებიდან გამომდინარეობს, რომლებიც ადამიანთა ზნეობრივ ნორმებს განსაზღვრავენ. იგი თავად ეროვნული ტრადიციების პოტენციალსა და ზოგადსაკაცობრიო იდეალებს ატარებს. როგორც მოქალაქე, დამუხტული იყო მიზანდასახულობით. ეს ის თვისებებია, რომლითაც ხასიათდება საზოგადოება და ადამიანი მისთვის თანამედროვე ისტორიულ ეტაპზე. როგორც შემოქმედი ადამიანი, იგი იყო შინაგანი თავისუფლების გარკვეული დოზით დამუხტული და დროს უბიძგებდა დადგენილი ჩარჩოების გასარღვევად. ამიტომ მისთვის უფრო ახლობელი და გრძნობადი ხდებოდა რეალური სამყარო. ოსტატის აზრი ისწრაფვოდა გამოეხატა ეკრანზე და საფუძვლიანად ეჩვენებინა ის მოვლენები, რაც დამახასიათებელი იყო XX საუკუნის სამყაროსათვის, რომელზე მსჯელობას დღემდე ვაგრძელებთ. ოსტატის მხატვრული სამყარო, აცნობს მაყურებელს ამ სამყაროს მდიდარ პალიტრას. უპირველეს ყოვლისა, ის იყო მხატვარი-მოაზროვნე და ემყარებოდა ცხოვრების სოციალურ-პოლიტიკურ სიმძაფრეს, ყოველთვის აღელვებდა ადამიანის ბედი თანამედროვე ეპოქაში. აქედან გამომდინარე, მისი შემოქმედება მდიდარია იმ თემებით, რომლებიც სხვადასხვა ეგზისტენციალური პრომლემების გამო წარმოიშვა XX საუკუნის სხვადასხვა ეპოქაში. თენგიზ აბულაძემ კიმენატოგრაფიაში მოიტანა თემები, რომლებიც ახასიათებდა წარსული საუკუნის რთულ დროს, შეცვალა ფილმების სტილი და ფორმა, გადაუხვია რეალიზმიდან ჟანრობრივ კინოსკენ, მიმართა ისეთ რთულ მხატვრულ-ფილოსოფიურ ჟანრს, როგორიცაა კინოიგავის ჟანრი.

ტრილოგიის ფილმებში-იგავებში, ავტორი სხვადასხვა მასალაზე ამოწმებდა თავის ფილოსოფიურ მოსაზრებებს და აწარმოებდა დიალოგს

ადამიანთან. ფილმში წარმოსახული მისი აზრი საშუალებას გვაძლევს გავიგოთ, თუ როგორ იცხოვრა ადმიანმა კონკრეტულ ისტორიულ დროში; ამავდროულად, გავიგოთ, თუ როგორია თვით ადამიანი. მისი ტრილოგიის ფილმებში კონფლიქტი და ტრაგიზმი გამოსახულია XX საუკუნის სინამდვილის კონკრეტული სიტუაციებით. 60-იანი წლებიდან ოსტატი ცდილობდა, თავის შემოქმედებაში აესახა ზოგადსაკაცობრიო პრობლემები. აქედან წარმოიშვა მისი საავტორო, ფილოსოფიური კინემატოგრაფი. ტრილოგიის ყველა ფილმი გაერთიანებულია ზეამოცანით – უჩვენოს ადამიანებს ჭეშმარიტების, სიკეთისა და სილამაზის იდეალების მოსაპოვებელი ბრძოლის რთული გზა, დანაკარგიც და მონაპოვარიც. რეჟისორი ვარაუდობდა, რომ სამყაროს ესაჭიროება მაღალი ზნეობრივი საწყისების მატარებლები და მხატვრის ძალა ისაა, რომ გამოსახოს სულიერების ზომა, წინ აღუდგეს ყველა არაადამიანურ დოგმასა და წინააღმდეგობას.

თენგიზ აბულძემ მოინანია სამყაროს წინაშე ადამიანთა ცოდვა, საქვეყნოდ აღიარა თავისი უარყოფითი დამოკიდებულება ტოტალიტარულ რეჟიმთან, საბჭოთა რეჟიმთან, რომელმაც დაღუპა მილიონობით უცოდველი ადმიანი.

რაც შეეხება რეჟისორის მხატვრულ სამყაროს, იგი ოსტატურად შეერწყა მსოფლიო კინემატოგრაფიულ პროცესს, ხელს უწყობდა კინორეჟისურის ენის განახლებასა და ევოლუციას.

მსოფლიო კინოს კლასიკოსების გვერდით, დიდების კვარცხლბეკზე ღირსეულად დგას თენგიზ აბულაძე, ოსტატი, პედაგოგი და ადამიანი, რომელმაც გზა გაუკაფა საავტორო, ფილოსოფიურ კინემატოგრაფს არა მარტო ეროვნული, არამედ მსოფლიო კინოს პრაქტიკაში.

თენგიზ აბულაძის შემოქმედების ერთი ეპიზოდი მოგვითხრობს მის განუხორციელებელ ჩანაფიქრზე. იგი გვაძლევს საშუალებას გავიგოთ ოსტატის სწრაფვა მაღალი დონის განზოგადებისკენ, რაც დამახასიათებელია ფილოსოფიურ, საავტორო კინოს ოსტატთათვის. ბატონ თენგიზთან საუბრიდან მინდა მოგითხროთ მის ურთიერთობაზე გიუნტერ გრასთან.

1988 წელს, კინოფილმ „მონანიების“ შემოქმედებითი ჯგუფი (ბატონი თენგიზ აბულაძე, ქალბატონები: ნანა ჯანელიძე და ქეთევან აბულაძე), საარბრიუკენის ტელევიზიამ შემოქმედებითი კონტაქტების დასამყარებლად მიიწვია დასავლეთ გერმანიაში.

გერმანიაში ყოფნის დროს, თენგიზ აბულაძე თავისთან მიიწვია აღიარებულმა გერმანელმა მწერალმა, ნობელის პრემიის ლაურეატმა, ბატონმა გიუნტერ გრასმა. მან კინორეჟისორს შესთავაზა თავისი ბოლო რომანის („ვირთხა“ – In Kupfer aund Stein)[1] ეკრანიზაცია და ფილმის დაფინანსებაც. ამასთან, თბილისში გამოაგზავნა თავისი გრაფიკული ალბომი, სადაც ეს რომანია ილუსტრირებული. აქვე დავსძენ, რომ ბატონი გიუნტერ გრასი, გარდა ლიტერატურული მოღვაწეობისა, გატაცებული იყო გრაფიკითა და სკულპტურით.

თენგიზ აბულაძე იცნობდა გიუნტერ გრასის შემოქმედებას რამდენიმე ნაწარმოებით: „კატა და თაგვი“, „შეხვედრა ტელგტეში“, „ადგილობრივი ნარკოზის ქვეშ“, „თუნუქის დოლი“ (1959), „ძაღლური ცხოვრება“ (1963), „ლოკოკინის დღიურიდან“ (1972), „კამბალა“ (1972), „თავიდან დაბადებულნი, ანუ გერმანელების გადაშენება“ (1980). რით მიიზიდა თ. აბულაძე გ. გრასის შემოქმედებამ? ფილმ „მონანიების“ გადაღების შემდეგ, რეჟისორი ფიქრობდა შეექმნა ფილმი ილია ჭავჭავაძის ნაწარმოების მიხედვით.

თენგიზ აბულაძე მიიზიდა გრასისეულმა გროტესკმა და სამყაროს მწერლისეულმა ხედვამ, მცდელობამ იმისა, რომ შეიმეცნოს სამყარო სულ სხვა განზომილებიდან, გაარღვიოს გარეგანი გარსი და დაინახოს სოციალური და მორალური თვისებების არაბუნებრივი, ანტიჰუმანური არსი. სწორედ ესაა მწერლის მხატვრული ნიჭის გამორჩეული ხასიათი.

თენგიზ აბულაძეს იზიდავდა აბსურდული სამყაროს კონცეფცია, რომელიც არსებით როლს

[1] In Kupfer aund Stein // Steid Verlag, 1986, Gottingen, w. Germany.

თამაშობს გრასის შემოქმედებაში. მის შემოქმედებას ჰკვებავდა მისივე ცხოვრებისეული გულგატეხილობა და სასოწარკვეთილება.

გიუნტერ გრასი აღფრთოვანებული იყო ფილმით „მონანიება“. იგი ხომ ყოფილ საბჭოთა კავშირში, ანტიტოტალიტარულ თემაზე შექმნილი პირველი ფილმია.

ცხადია, ტოტალიტარულმა რეჟიმმა 70 წლის მანძილზე დიდი ზიანი მიაყენა თხუთმეტი მოკავშირე რესპუბლიკის მოსახლეობას. მწერალსაც აღელვებდა ტოტალიტარული რეჟიმის ანტიხალხური სახე. ეს მკაფიოდაა ასახული რომანში „თუნუქის დოლი“ (1959).

ფილმის „მონანიება“ ფილოსოფიური დატვირთვა, მისი მხატვრული ღირებულება, მაღალ დონეზე იქნა შეფასებული მსოფლიო მასშტაბით. როცა ამას ვამბობთ, ვითვალისწინებთ იმას, რომ მსოფლიო კინემატოგრაფიის არსენალში, ანტიტოტალიტარულ თემაზე შექმნილი, სხვა, არც თუ ისე ბევრი ფილმი არსებობს. ისინი შედევრებად არიან აღიარებულნი: ფრიც ლანგის „მეტროპოლისი“ (1927), მარსელ კარნეს „საღამოს მომსვლელები“ (1942), ფრანსუა ტრიუფოს „451 გრადუსი ფარენგეიტის მიხედვით“ (1966), ინგმარ ბერგმანის „სირცხვილი“ (1968), მილოშ ფორმანის „ვიღაცამ გუგულის ბუდეს გადაუფრინა“ (1975), ფოლკნერ შნელდორფის „თუნუქის დოლი“ (1979), მაიკლ რედფორდის „1984“ (1984), ტერრი გილლიამის „ბრაზილია“ (1985), ე. და ვ. ვაჩოვსკების „მატრიცა“ (1999, პირველი ნაწილი), კიმ ვიმერის „ეკვილიბრიუმი“ (2002) და სხვათა ფილმები.

...მაგრამ არის განსხვავება, აქ დასახელებულ ფილმებსა და თენგიზ აბულაძის „მონანიებას“ შორის. ზემოთ დასახელებული ფილმების ავტორებმა უჩვენეს ტოტალიტარული რეჟიმის ბოროტმოქმედება ადამიანისა და საზოგადოების მიმართ, თუ როგორ სპობს იგი ინდივიდუუმს საკუთარი ძალისა და იდეოლოგიის ტრიუმფისათვის.

ფილმში „მონანიება“, მათგან განსხვავებით, თენგიზ აბულაძემ ცოდვების მონანიებაზე გაამახვილა ყურადღება. იგი ამ ფილმით ინანიებს ცოდვებს, რომლებიც კაცობრიობის წინაშე, ისტორიის სხვადასხვა პერიოდში ჩაიდინეს ადამიანებმა. „მე, როგორც მხატვარი, ვალდებული ვარ, მივცე აღსარება... მოვინანიო ყველას სახელით, იმათი სახელით, ვინც ასე თუ ისე, ბრალდებულია“.[2] სწორედ ამაში გამოიხატება ბატონი თენგიზის საავტორო, მოქალაქეობრივი პოზიცია.

თენგიზ აბულაძის შემოქმედებაში, სწორედ ეს წახნაგი იყო გიუნტერ გრასის აღტაცების საფუძველი.

გიუნტერ გრასს, თავისი პოზიციის გამოსახატავად, მოჰყავს ალბერ კამიუს სიტყვები: „ვტოვებ სიზიფეს მთის ძირში! მის ქვას, თქვენ ყოველთვის ნახავთ! ამ სამყაროში, ყველაფერი იწყება თავიდან“. გიუნტერ გრასის შემოქმედებაშიც ასე ხდება. მისი გმირები, წინააღმდეგობებით აღსავსენი, ორაზროვნები არიან.

რომანის „თუნუქის დოლი“ გმირი ოსკარი, აბუჩად იგდებს ფაშიზმს და საერთოდ, ყოველგვარ მეშჩანურ, ობივატელურ ჩვეულებებს და ყოველგვარ იდეოლოგიას – „აბრახუნებს ყველას საწინააღმდეგოდ და ყოველთვის“. გიუნტერ გრასი ამხელს არა მარტო „მეშჩანის“, არამედ მხატვრის ბრალსაც.

ოსკარი წარმოდგენილია, როგორც XX საუკუნის მხატვრის სიმბოლო. იგი მწერლის ალტერეგოა, რომელიც იბრძვის „იდეოლოგიის“ „იდეალიზმის“ მიმართ, როგორც გაუმართლებელი სისტემის წინააღმდეგ.

გიუნტერ გრასი ამხელს იმ გარემოს და იმ ძალებს, რომლებმაც წარმოქმნეს და ააღორძინეს ფაშიზმი.

ნაშრომში „ლოკოკინის დღიურები“ – თენგიზ აბულაძე დაინტერესდა სკეფსისისა და მელანქოლიის ალეგორიული სახეებით. სკეფსისი, ეჭვი – ამ მოლაპარაკე სახელს ატარებს წიგნის პირველი ნაწილის გმირი. მელანქოლია კი წარმოადგენს ა. დიურერის ცნობილი გრავიურის პერსონაჟს: იგი ძლიერი, დიდებული ქალია, დაფნის გვირგვინით თავზე და მხრებზე ფრთე-

[2] თ. აბულაძის პირადი არქივიდან.

ბით. იგი ღრმად ჩაფიქრებული ზის, ცივილიზაციისა და პროგრესის სიმბოლური ატრიბუტების გარემოცვაში.

რეჟისორისათვის, ამავე სახელწოდების ნაწარმოებში მიმზიდველი და საინტერესო იყო კამბალას სახე. მას ჩვენ ვხედავთ „ქალთა ტრიბუნალის“ წინაშე. ამის მიზეზი კი ისაა, რომ ხალხური ზღაპრის თანახმად, იგი ყოველთვის ეხმარებოდა მეთევზეებს, მამაკაცს (კაცობრიობის მამაკაცთა ნაწილს), რათა აღასრულოს მეუღლის ახირება (და, შესაბამისად, კაცობრიობის ქალთა ნაწილის), რითაც მთელი კაცობრიობა ქაოსურ მდგომარეობაში, „დამტვრეული გობის სიტუაციამდე“ მიიყვანა.

ქაოსი კი ისეთი მდგომარეობაა, როდესაც სამყარო კარგავს თავის ბალანსს და წინააღმდეგობები ერთმანეთს ენაცვლებიან. ეს მდგომარეობა გრასმა შეუფარდა თავისი ეპოქის კრიზისს. თანამედროვე ადამიანის აზროვნების კრიზისი შემოქმედის მიერ აღიქმება არა როგორც დაშლა, არამედ როგორც უწესრიგობა, რომელიც არ გამორიცხავს ახალ შემოქმედებით შესაძლებლობებს.

თანამედროვე ეპოქის ქაოსის, ამბოხების, სულიერი კრიზისის ერთ-ერთი მიზეზი იყო არაკომუნიკაბელობა. რა სამყაროშიც არ უნდა ცხოვრობდეს ადამიანი, მას არ აწყობს სოციალური და სულიერი ცხოვრების ქაოსი. დროის ქაოსური მდგომარეობის რეალური მიზეზების გამორკვევა წონადი მასალაა. სწორედ ამ ფონზე აღმოჩნდა გიუნტერ გრასისა და თენგიზ აბულაძის მხატვრულ-შემოქმედებითი სამყარო ერთმანეთთან ახლოს.

ახლა კი, ვისაუბროთ რომანზე „ვირთხა“. 1988 წელს, ბატონი თენგიზის სამუშაო ოთახში პირველად ვნახე ამ რომანის გერმანული გამოცემა. წიგნზე დაფიქსირებული იყო გიუნტერ გრასის ავტოგრაფი, რომელიც დათარიღებულია 1988 წლის 15 ივლისით.

წიგნის სუპერყდაზე გამოსახულია ადამიანის თავის ქალა, რომელზეც დიდი ვირთხა ზის. იფიქრებ, თითქოს ეს-ესაა გამოღრღნა თავის ქალა და ემზადება გადახტეს სადღაც. კომპოზიცია გვაგონებს ფრაგმენტს ი. ბოსხის სურათიდან. ამასთან დაკავშირებით, თენგიზ აბულაძემ გამოთქვა თავისი აზრი: „შეიძლება ვირთხა იყოს უფრო კეთილშობილი, ვიდრე ადამიანი თავისი ქმედებებით? ამაზე უნდა ჩავფიქრდეთ“.[3]

რომანი გადაცემული იქნა სათარგმნელად ქართულ ენაზე. ბატონი თენგიზი ვარაუდობდა გიუნტერ გრასის ზემოთ დასახელებული პერსონაჟების სცენარში დაკავებას.

ფრიდრიხ ნიცშე თვლიდა, რომ არც ერთი მხატვარი არ გაურბის სინამდვილეს, რადგან შეუძლებელია მისი გვერდის ავლა. თენგიზ აბულაძე პატრიოტი ქართველი იყო და ფიქრობდა ქვეყნის მომავალზე. ამიტომ დააფიქრა იმ მოვლენებმა, რომელთაც ადგილი ჰქონდათ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ. თუკი სიღრმისეულად შევაფასებთ მის შემოქმედებას, შეიძლება ვთქვათ, რომ ოსტატმა, თავის ფილმებში, მკაფიოდ გამოთქვა აზრი სამყაროსა და დროის არასრულყოფილებასთან დაკავშირებით. მაგრამ ოსტატს იმიტომ ჰქვია ოსტატი, რომ მისი ხილვები თუ წარმოსახვა, უსასრულოდ ქმნის რაღაც ახალს და მიდის რისკზეც. რისკი კი ახალი ნაბიჯია, ახალი სიტყვაა შემოქმედებით გზაზე. გავიხსენოთ ბატონი თენგიზის მიერ, 1988 წელს წარმოთქმული ფრაზა: „ჩემი იდუმალი ოცნება, რომელსაც მთელი ცხოვრება ვეფერები, არის ის, რომ ვიყო თავისუფალი პიროვნება თავისუფალ სახელმწიფოში“. დიახ, თენგიზ აბულაძე მიისწრაფოდა ამისაკენ. და ეს იყო ფიქრები მომავალზე.

ბატონი თენგიზი ფიქრობდა შეექმნა ფილმი ილია ჭავჭავაძის „კაცია ადამიანის“ მოტივების მიხედვით. ამით მას სურდა გამოეთქვა თავისი აზრი ეპოქაზე, სახელმწიფო სტრუქტურის რბევაზე, კულტურის დაქვეითებაზე, ადამიანში პიროვნული თვისებების დაკნინებაზე.

დიდი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე, ილია ჭავჭავაძე გონების მაღალი შესაძლებლობებით გამოირჩეოდა. ბატონი თენგიზი ხედავდა მასში დიდ მოაზროვნეს, სოციალური

[3] თენგიზ აბულაძის პირადი საუბრებიდან.

უსამართლობის წინააღმდეგ მებრძოლს, ეროვნული კულტურის აღორძინებს მესვეურს. ყველაფერს ამას დიდი მწერალი უკავშირებდა მსოფლიო მნიშვნელობის გარდაქმნებს, დასავლეთის მოწინავე აზრებს. იგი ეროვნულ კულტურას აღიქვამდა მსოფლიოს ხალხთა კულტურულ მემკვიდრეობასთან კავშირში. მწერალი ლაპარაკობდა ისტორიაზე, როგორც მომავლის შემეცნების რეალურ საშუალებაზე. ამის შესახებ იგი წერდა – „ერის დაცემა იწყება მაშინ, როცა იგი იწყებს თავისი ისტორიის დავიწყებას“. ამიტომაც, ილია ჭავჭავაძის ისტორიული კონცეფცია დაკავშირებული იყო ცხოვრების რეალისტურ შეფასებასთან. აქ იგი ხედავდა ქართველი ერის, მისი კულტურისა და ენის შენარჩუნების გარანტიას.

ილია ჭავჭავაძის გმირები უსაქმური ბატონები არიან – ლუარსაბი და მისი მეუღლე დარეჯანი. მათ ბავშვები არ ჰყავთ. მისი უმოქმედო ლიტერატურული გმირები მომავალზე მზრუნველობისგან თავისუფალნი არიან. ისინი ცხოვრების მიზანს ხედავენ თავიანთი ცხოველური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაში, ღორმუცელობაში. დილიდანვე მათი კამათის თემა ერთი და იგივეა – რომელ კერძებს მიანიჭონ უპირატესობა. მათ არ გააჩნიათ არანაირი სულიერი ინტერესი, არა აქვთ წარმოდგენა სულიერ ფასეულობებზე. შთამბეჭდავია ფრაგმენტი, როცა დილდილაობით, ჩასუქებული ბატონები ბუზებს ითვლიან. თანაც კამათობენ, თუ ვინ უფრო სწრაფად და ზუსტად დაითვლის ჭვარტლიან ოთახში შემოფრენილ ბუზებს.

თენგიზ აბულაძის ჩანაფიქრით ფილმში მოვლენებს უნდა წარმოეჩინა, თანამედროვეობიდან გამომდინარე, XX საუკუნის პირველი ნახევრის ინტერესების სფეროები. ფილმი უნდა დაწყებულიყო ილია ჭავჭავაძის მკვლელობით და დასრულებულიყო ორმოცდაათიანი წლებით – ქართული პოეზიის გენიის – გალაკტიონ ტაბიძის თვითმკვლელობით.

ბატონ თენგიზს ლუარსაბი წარმოდგენილი ჰყავდა ფირმის პრეზიდენტად, დარეჯანი კი მის მდივან ქალბატონად (რემბრანდტის ქუდში ფრთით). მისი მსოფლმხედველობის, ყოფიერების, ურთიერთობის, საზოგადოებასთან და დროსთან დამოკიდებულებით, უნდა ჩამოყალიბებულიყო სახელმწიფოს ზნეობრივი რღვევა და აბსურდული სამყაროს სახე. ეს უნდა ყოფილიყო ფილმი იმათზე, რომლებიც ყველაფერს ანადგურებენ და როგორც ვირთხები, პირველნი გარბიან გემიდან, რომელიც იძირება.[4]

თუ სიღრმისეულად ჩავწვდებით თენგიზ აბულაძის მხატვრულ სამყაროს, უპირველესად უნდა შევაფასოთ მისი შემოქმედებითი პალიტრის მრავალფეროვნება. უპირველეს ყოვლისა, ის იყო მოაზროვნე-მხატვარი, ცხოვრების სოციალური და პოლიტიკური მოვლენების უნიჭიერესი ამსახველი. ამიტომაც მას ყოველთვის აღელვებდა სამყაროსა და ადამიანის ბედ-იღბალი.

თენგიზ აბულაძემ დაიმკვიდრა ადგილი მსოფლიო კინემატოგრაფიის იმ ელიტურ ოსტატთა შორის, რომელთა შემოქმედებაში იგავის ჟანრმა ჰპოვა სრულყოფილი ფორმა და არსი XX საუკუნეში. რეჟისორის მხატვრული სამყარო, ორგანულად დამკვიდრდა მსოფლიო კინემატოგრაფიულ პროცესში, რითაც ხელი შეუწყო კინოენის განახლებას.

XX საუკუნის კინოს კლასიკოსებმა განვლეს გრძელი და მდიდარი, შინაგანი, სულიერი კატაკლიზებით, ხიფათით აღსავსე ცხოვრების ეკლიანი გზა. ისინი თავიანთი ფილოსოფიური კინემატოგრაფიული ფორმებით ევროპელ მოაზროვნეებს გაუტოლდნენ. მათ კინოფირზე აღბეჭდეს საუკუნის სისხლიანი და ამორალური სახე. ისინი ეძებდნენ გზას ჭეშმარიტებისაკენ, ყველაფერში ეძებდნენ სილამაზეს და იმედით შეჰყურებდნენ მომავალს. ამ პროცესში ჩართულნი იყვნენ ქართული ნაციონალური კინოსკოლის მთელი თაობები. მათ შექმნეს შედევრები და ქართულ კინოს მოუტანეს უამრავი ჯილდო. მათ შორის ისე ბრწყინავს თენგიზ აბულაძის ტრილოგია, როგორც კაშკაშა ვარსკვლავი ცის კაბადონზე.

[4] თ. აბულაძესთან პირადი საუბრიდან.

ალექსანდრე ჭიჭინაძე

შეუცნობელის შეცნობის სურვილი თუ უფლის ნების გასხივოსნება?!

ასეთი აზრი ჩამოუყალიბდება მკითხველს ფრიდონ დავითაძის წიგნის „უფლის საგალობელის“ წაკითხვისას. მიანც საკითხავია, რა გახდა საფუძველი კაცთა გონიერების ამ საგანძურისადმი, ფსალმუნთა ისტორიისადმი, შუახეველი კაცის ესოდენ დაინტერესების მიზეზი?

ჩემეული ხედვით, სულიერების თავშესაფარს, ღმერთთან მიახლოების საიდუმლოებას, ყოველგვარი განწყობის მიუხედავად, ფსალმუნთა შინაარსში იპოვის ქრისტიანი ადამიანი და არა მარტო ქრისტიანი, იგი კაცობრიობის უდიდესი ნაწილის სულის საზიარო და მოოხების საშუალებაა, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ორ უდიდეს კულტურას, – ქრისტიანობას და იუდაიზმს. მასში მეტნაკლებად აისახება ყველა რელიგიური მიმდინარეობის ის შინაგანი ენერგია, რომელიც იდეური მსოფლმხედველობისათვის არის დამახასიათებელი, რასაც მატერიის წარმოშობის ღვთიურ ნებამოსილებამდე მივყავართ, ხოლო მის ქართულ ენაზე ლექსის კანონიკურ ჩარჩოში ჩასმას უდიდესი ძალისხმევა, შინაგანი მზაობა, პოეტური გამბედაობა და ასევე უფლის განსაკუთრებული სიყვარული სჭირდება, მარტო სურვილით ასეთი ღირებულებები არ იქმნება, იგი სულთა კირთების ნაყოფიცაა.

ცნობილია, თავდაპირველად ფსალმუნების წიგნს „განდიდება“ ერქვა, მოგვიანებით მას რაბინები „განდიდების წიგნად“ მოიხსენიებენ, ხოლო ებრაულად მას „განდიდების სიმღერას“ უწოდებენ, ახალ აღთქმაში ის მოყვანილია, როგორც „ფსალმუნების წიგნი“, ფსალმუნების სახელწოდება გამომდინარეობს ძველი მუსიკალური ინსტრუმენტიდან ფსალტერიდან, რომელზეც ფსალმუნებს სიმღერის, გალობის სახით ასრულებდნენ.



ქართულად ფსალმუნები პირველად IV-V საუკუნეებში უნდა იყოს თარგმნილი, ხანმეტ ლექციონარში VII საუკუნეში არის მითითებული ფსალმუნების გალობაზე, ხოლო VIII საუკუნის „ქართული დავითიანი“ მათ საბოლოო სახეს აძლევს, მასზე დაყრდნობით XI საუკუნეში გიორგი მთაწმინდელი ფსალმუნთა ახალ თარგმანს ქმნის, რითაც ისინი დაუახლოვა თავდაპირველი ტექსტის დედანს.

ფსალმუნთა შექმნის ისტორია ძველი წელთაღრიცხვით 900-1000 წელს ითვლის და მის შესაქმნელად იღვაწეს მრავალი თაობის ღვთის მორჩილებაში გამორჩეულმა გონებანათელმა შვილებმა, თუმცა ამ უძველესი ბიბლიის ყველაზე აღიარებულ ავტორად მეფე დავითია მიჩნეული.

იგი ახალ აღთქმაშიც ყველაზე ციტირებადი წიგნია და შეიცავს ყველაზე მეტ წინასწარმეტყველებას იესო ქრისტეს შესახებ, მათგან ყველაზე მკაფიოა: იესო ქრისტე, ღვთის ძე; იესო, როგორც ქვაკუთხედი; ქრისტეს გაცემა; ქრისტეს ჯვარცმა; ქრისტეს აღდგომა; ქრისტეს ამაღლება; ქრისტეს გამეფება; თითქმის მთელი სახარება ფსალმუნებშია გადმოცემული.

აღნიშნულის მოყვანა იმისათვის დაგვჭირდა, რომ გვეთქვა, რამდენად დიდია პასუხისმგებლობა ავტორისა, რომელიც გაბედავს კანონიკურ ჩარჩოში მოქცეული ამ სულიერ საგანძურზე საკუთარი აზრის, გამოთქმას, თუნდაც პოეტური მეტრით შეხებას.

უმთავრესი კი მაინც ის არის, რომ ფსალმუნები წარმოადგენენ საუკეთესო სახელმძღვანელოს ლოცვისათვის, ვისაც ღმერთთან მიახლოება სურს, მას შეუძლია ფსალმუნის მეშვეობით წარსდგეს ღმერთის წინაშე და ლოცვით გამოხატოს იმ სიტყვების არსი და სიღრმე, რომელიც შემოქმედის განდიდებას ეძღვნება, ეზიაროს უფალთან მიმართებაში კაცთა ცოდვების მონანიების ყველა იდუმალ ზრახვას.

ფსალმუნები ლოცვის გამოხატვის საუკეთესო ფორმაა, ლოცვა კი სულის ამოკვნესაა, მაშინ ქართულად, პოეზიის ენაზე ამეტყველებული ქართული ფსალმუნები, ყველა ქრისტიანი ქართველისათვის მისაღები და სულთათანობის საზიარო საშუალებაა.

ეს ავტორის დიდ იდეურ, მორალურ და სულიერ პასუხისმგებლობაზე მიგვანიშნებს, ვინც ფსალმუნთა პოეტური ამეტყველებისათვის უფალს ზრახვები გაანდო.

თამამად შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ ფრიდონ დავითაძეს მისი ჩანაფიქრი ღირსეულად გამოუვიდა, უფლის წინაშე მისეული პოეტური ვარიაციით აღვლენილი ლოცვა ღვთისადმი ქართული ენის უნიკალური თვისებების მადლით, მართლაც და ღვთის ენასავით იკითხება და აღიქმება. თუნდაც „მამაო ჩვენო“ ფსალმუნის ფ. დავითაძის პოეტური ნიმუში მოვიყვანოთ:

„რომელიცა ხარ ცათა შინა, მამაო ჩვენო!
სახელი შენი წმინდა იყავნ, ტკივილთა მრჩენო!
სუფევა შენი მოვიდეს და აღსრულდეს ნება!
ცათა შინა და სრულიადაც ქვეყანას ზედა!“

შემდგომ ლოცვად აღვლენილი რითმები: „თანანადებნი“, „ნადებნი“, „ბატონო“, პატრონო“, ვიცით ამ ფსალმუნის წმინდა ილიას ვარიანტი, უფლისადმი ლოცვისა და ვედრების ნიმუშს გვკარნახობს უწმინდესი და უნეტარესი, საქართველოს პატრიარქი ილია II, გვაქვს ჰაგიოგრაფიული მწერლობის უნიკალური ნიმუშები, თვით დავით აღმაშენებელის „გალობანი სინანულისანი“, რუსთაველმა კი ღმერთის ერთობისა და უძლეველობის თემა ღრმა ფილოსოფიურ განსჯამდე აიყვანა და შეუდარებელი პოეტური სამოსით წარმოგვიჩინა: „ჰე, ღმერთო ერთო, შენ შექმენ“... ან „რაცა ღმერთსა არა სწადდეს, არა საქმე არ იქნების“.

მეფე გიორგი ბრწყინვალემ კი ქართველთა წმინდა მიწისადმი დამოკიდებულება იმით დაადასტურა, რომ წმინდა ათონის ეკლესიის სალოცავთა კლიტენი ქართველ ქრისტიან მამებს დაუბრუნა, თვით ეგვიპტის სულთანის თანხმობითა და ნებით, ქრისტესადმი პოეტური აზრის უკვდავსაყოფად დ. გურამიშვილის „იესოსადმი“ აღვლენილი ლოცვა-გოდებაც იკმარებდა. ყოველივე ეს ადასტურებს იმას, რომ ქართველ მართმადიდებელთა სულის თავშესაფარი უძველესი დროიდან დღემდე დაკავშირებულია ფსალმუნით დამკვიდრებულ ღირებულებებზე. ამდენად, მათი ლექსად, პოეზიის ზღვა შესაძლებლობების ჭრილში დანახვა, დროის დაკვეთაც არის. იმ დროს, როცა საზღვარი დაკარგულია მორჩილებასა და თავისუფლებას შორის, ადამიანის უფალთან მიმართება სრული სულიერი თავშეუკავებლობის პირობებშია განსახილველი.

ქართველი მკითხველი ფსალმუნებს იცნობს უწმინდესი და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის, ილია მეორის ლოცვა კურთხევით გიორგი მთაწმინდელის დაბადებიდან 1000 წლისათვის აღსანიშნავად საი-

უბილეოდ 2012 წელს გამოცემული „ფსალმუნნი“-ს სახით, რომელიც თანამედროვე ქართულ ენაზე ადაპტირებული ტექსტის სრულყოფილი ვარიანტია, წიგნში წარმოდგენილია სამი პარალელურად განლაგებული ტექსტი – ძველი ქართული მხედრული, ძველი ქართული ნუსხური და თანამედროვე ქართული ადაპტირებული 151 ფსალმუნი.

წიგნის გამომცემელთა ავტორიტეტული ჯგუფის წევრთა აზრით, ფსალმუნთა კითხვის ქართული საუკუნოვანი ტრადიციის მიუხედევად, საზოგადოების სულიერ სისტემაში ფსალმუნების განსაკუთრებული მნიშვნელობიდან გამომდინარე, თანამედროვე ქართულ ენაზე ფსალმუნთა ტექსტის გამოცემა მოხსნის ენობრივ დონეზე არსებულ სირთულეებს, მათ დაუბრუნებს ბიბლიის, კერძოდ, ფსალმუნის წიგნის იმ შინაარსს, რაც მათ თავდაპირველი და უპირველესი დანიშნულება ჰქონდათ, იყოს მლოცველისა და მკითხველისათვის ღვთიური მადლის ზიარებისა და ბიბლიური სიბრძნის შეცნობის უშრეტი წყარო.

ფსალმუნის კანონიკურ ტექსტში იგულისხმება ის ტექსტი, რომელიც ეკლესიის მიერ დადგენილია საკითხავად და სალოცავად. „უფლის საგალობელის“ ავტორს პოეზიის ქურაში გატარებული და ქართული სიტყვა-კაზმული ფორმით თითოეულის დასათაურებით წარმოდგენილი ფსალმუნი კანონიკურობის პრეტენზიას არ აცხადებს, იგი ფსალმუნთა ინდივიდუალური გააზრების, მათი შინაარსიდან გამომდინარე პოეტური წარმოსახვისა და იდეისადმი სულიერი განწყობის, მსოფლმხედველობითი ორიენტაციის მხატვრული გააზრებაა. რამდენად თანხვედრილია იგი ფსალმუნთა დედნის შინაარსთან ეს კიდევ საკამათო და თეოლოგთა მსჯელობის საგანია, მაგრამ მცდელობა ფსალმუნთა იმგვარი წაკითხვისა, რასაც იგი გვთავაზობს, მათ უბრუნებს იმ პირველად ღირებულებებს, როგორადაც საუკუნეების განმავლობაში მლოცველნი სიმღერით, გალობით და საკრავ ინსტრუმენტებზე შესრულებით აღავლენდნენ. მართლაც, ცალკეული სტროფები იმღერება კიდეც და სიმღერა თუ სულის გალობაცაა, ლოცვად თქმული სიმღერაც ღვთის სასოება და რწმენის ღაღადია.

ამ თვალსაზრისით, ავტორის შრომა იმსახურებს მკითხველისაგან მადლობას და მოწონებას, ვინაიდან ღვთისადმი მისასვლელ გზასთან დადგენილი ნორმების გარდა, თითოეული ინდივიდუალურად ვეძებთ და მისაღებია, ამ გზაზე ფრიდონ დავითაძეს ყამირი გაუტეხია, თესლი ჩაუგდია და ნაყოფი სასარგებლო იქნება.

უთქმელობა არ იქნება, ჩვენს ისტორიულ მხარეს აჭარას ისტორიის ავბედითობით შეწყვეტილი სულიერი და კულტურული მემკვიდრეობის გამო, დღეს დედასამშობლოსთან წილნაყარობის აღორძინების პერიოდში აქვს უფლება და ვალდებულებაც იმისა, რომ ნაშიმშილარ სულიერ ძირებს მსგავსი შემოქმედებითი ფანტაზიით ის სიცოცხლის წყარო მოაპკუროს, რომელიც საუკუნეებში გამჯდარ ეროვნულ დვრიტას ახალ სიმძლავრეს და ღვთისგანფენილობას შესძენს.

აი, ეს მაფიქრებინა, ფრიდონ დავითაძის წიგნის „უფლის საგალობლის“ გაცნობამ.

თქვენ რას ფიქრობთ მკითხველო?!

დასასრულს დავსძენთ იმასაც, რომ წიგნი გამოცემულია მაღალი მხატვრული გაფორმებებით, გარეკანზე ბეწვის ხიდზე მიმავალი ადამიანისადმი ღვთის მზერაა დაჭერილი, რაც კაცობრიობის არსებობის სიმბოლური წარმოსახვაა, იმის გაცნობიერებით, რომ ჩვენ ამ გზაზე როგორი შიშით, თუ თავდაჯერებით არ უნდა მივდიოდეთ, უფლისკენ მივემართებით, ბეწვის ხიდი კი რამდენად საიმედოა მომავლისათვის ესეც განგების გადასაწყვეტია, რასაც ფსალმუნთა წაკითხვის აუცილებლობისაკენ მივყავართ. ამ ილუსტრაციის ავტორი წიგნში მითითებული არაა. იქნებ, ესეც ფრიდონის შემოქმედებაა?! – ცალკე აღნიშვნის ღირსია.

ჟურნალი 3

2024